



- I. შარლ – ლუი მონტესკიე. სოციოლოგიური შეხედულებები (მოკლე შინაარსი)*
- II. ჟან – ჟაკ რუსოს პოლიტიკური შეხედულებანი*
- III. ჟან-ჟაკ რუსოს პოლიტიკური შეხედულებანი (მოკლე შინაარსი)*
- IV. შარლ – ლუი მონტესკიე. სოციოლოგიური შეხედულებები (სრული ვარიანტი)*

I. შარლ – ლუი მონტესკიე. სოციოლოგიური შეხედულებები (მოკლე შინაარსი)

შესავალი.

1. შარლ – ლუი მონტესკიე – მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი.
2. მონტესკიეს სოციოლოგიური შეხედულებები: საზოგადოებისა და მისი კანონების შესახებ.
3. მონტესკიეს გეოგრაფიზმი.
4. მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე.

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

სპარსული წერილები, „განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის შესახებ“, გეოგრაფიული დეტერმინიზმი, „კანონთა გონი“, ფაქტორული თეორია, განმანათლებლობა, ხელისუფლების განაწილების თეორია, ფატალიზმი, დესპოტიზმი, ადამიანი და ოთხი ბუნებრივი კანონი.

შესავალი.

შარლ-ლუი მონტესკიე – გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე, ენციკლოპედიური გონების პატრონი. ისტორიაში აღორძინების ეპოქის მთავარ მოაზროვნეებს გონების სიძლიერის გამო ეპოქის ტიტანებს უწოდებდნენ. ასეთივე ტიტანად შეიძლება ჩაითვალოს მონტესკიეც. საფრანგეთის რევოლუციამდე საუკუნით ადრე დაბადებულმა, შეიძლება ითქვას, ბევრი რამ გააკეთა მისი იდეური შემზადებისათვის. შემთხვევითი არაა, რომ მარატისა და რობესპიერის თაოსნობით, ჟირონდისტებიც და იაკობინელებიც ერთნაირი მოწიწებით მიმართავდნენ მონტესკიეს. მონტესკიესა და მისი მომხრეების მისამართით იტყვის რობესპიერი – რევოლუციას მათ უნდა ვუმადლოდეთო. უდავოა მონტესკიეს ძლიერი გავლენა ეპოქის ფრანგ ენციკლოპედისტებზე, როგორებიცაა ჰელვეციუსი, დიდრო, ჰოლბახი, ასევე, XVIII საუკუნის სოციოლოგებზე – სოციალურ მოაზროვნეებზე, ტურგოსა და კონდორსეზე, განსაკუთრებით ბარნავზე. მონტესკიე გარდაიცვალა 1755 წელს, 10 თებერვალს, პარიზში. მისი უზარმაზარი მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობა შესულია კაცობრიობის პროგრესული კულტური საგანძურში. მათ შორის უმთავრესია: „სპარსული წერილები“ (1721), „განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის მიზეზების შესახებ“ (1734) და „კანონთა გონი“ (1748).



სპარსული წერილები – დაწერილია ხატოვნად, გაჯერებულია მშვენიერი სატირით, გასართობია და გონებახვილური – ნამდვილი მხატვრული შედეგია. „წერილები“ საშუალებას აძლევს მკითხველს გააკეთოს თეორიული და პრაქტიკული განზოგადებები, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული დასკვნები. Nნაწარმოების სიუჟეტი ასეთია: სპარსელი მოგზაურობს ევროპაში, საფრანგეთში. აკვირდება და სწავლობს ადგილობრივ სინამდვილეს, ცხოვრებას, კანონებს. დესპოტური ქვეყნიდან ჩამოსულს აოცებს საფრანგეთში გამეფებული დესპოტური წყობა და ყველაფერში თვალსაჩინო დესპოტიზმი.

„განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის შესახებ“. დიდი პროგრესული მნიშვნელობა ქონდა მონტესკიეს ამ ისტორიულ-ფილოსოფიურ ნაშრომს – ნაშრომში, რომის ისტორიის მაგალითზე, ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მხოლოდ იქ, სადაც მოქალაქეები დამოუკიდებელნი და თავისუფალნი არიან, სადაც გაბატონებულია რესპუბლიკური ზნეობა, საზოგადოება წარმატებით ვითარდება. საზოგადოება, რომლის მოქალაქენი უარს ამბობენ თავისუფალ აზროვნებაზე მიემართება მონობისაკენ. სახელმწიფო კარგავს ყველაფერს, კნინდება და საბოლოო ჯამში მარცხდება საშინაო და საგარეო მტრებთან ბრძოლაში. ამ ნაშრომიდან შესაძლებელია პირდაპირი დასკვნის გაკეთება: თუ ფრანგ ხალხს უყვარს სამშობლო, სამუდამოდ უნდა მოიცილოს მეფის დესპოტიზმი, ფეოდალური ურთიერთობები. ასეთ დასკვნებს მონტესკიე პირდაპირ არ აკეთებს, მაგრამ ასე მსჯელობდა ყველა, ვინც ეს ნაშრომი წაიკითხა. ეს ნაშრომი საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ერთ-ერთი იდეური წყაროა.

„კანონთა გონი“ – მონტესკიეს მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობის მწვერვალია რომელზეც ის 20 წელი მუშაობდა. ამ ნაშრომში მთლიანადაა დალაგებული მონტესკიეს ფილოსოფიურ – სოციოლოგიური ხედვა, სამართლებრივი, ეკონომიკური და ისტორიული შეხედულებები. აქ მონტესკიე ადრინდელი ბურჟუაზიული განმანათლებლობის სულისკვეთებით ანალიზებს საზოგადოებასა და მის კანონზომიერებებს, მისდამი რელიგიურ მიდგომას, რაც დამახასიათებელი იყო ფეოდალური ეპოქისათვის, ააშკარეებს ფეოდალური ეპოქის მონარქიის არსს, რეაქციულ–დინასტიურ ომებს და ა.შ.

„კანონთა გონის“ სირთულისა და დანაწევრიანობის მიუხედავად (ის შედგება 31 წიგნისაგან, სადაც ზოგიერთები 15-20 თავს შეიცავს) ადვილად რწმუნდები, რომ ის შეესაბამება ავტორის აღნიშნულ მიდგომას. კერძოდ: პირველი წიგნი ზოგადად ეხება კანონებს; მეორე-მეოთხე წიგნებში კანონები განხილულია მმართველობის პრინციპებთან მიმართებაში; მეცხრე და მეათე ეხება სახელმწიფოს სიძლიერის (დაცვითი და შეტევითი) ასპექტებს; მეთერთმეტე-მეცამეტე წიგნები დაკავშირებულია თავისუფლების საკითხებთან; მეოთხმეტე-მეთვრამეტე წიგნებში კანონები დახასიათებულია ქვეყნის ფიზიკურ მახასიათებლებთან მიმართებაში; მეცხრამეტე და ოცდამეხუთე წიგნებში განხილულია ხალხის სპეციფიკური თავისებურებები; ოცდამეექვსე წიგნი აზუსტებს ყოველი კანონის ქმედების საზღვრებს; ბოლო წიგნებში განხილულია კანონთა აღმოცენებისა კავშირი კონკრეტულ გარემოებებთან.



2. მონტესკიეს სოციოლოგიური შეხედულებები საზოგადოებისა და მისი კანონების შესახებ.

მონტესკიე თავიდანვე ცდილობს საზოგადოებას მიუდგეს საერო პოზიციებიდან, ის გადაჭრით უპირისპირდება ავგუსტინეს, რომელიც ისტორიას განიხილავს, როგორც ორი – მიწიერი და სულიერი – საწყისის ბრძოლას. ასევე გაგდაჭრით უარყოფს ის თომა აქვინელის შეხედულებებს, რომელსაც სახელმწიფო ძალაუფლება „ღვთიური ნებიდან“ გამოყავს და ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია „ღვთიურ სამართალზე“. მონტესკიე აღიარებს ღმერთს, როგორც სამყაროსათვის პირველი ბიძგის მიმცემს, ამავე დროს უაზროდ მიაჩნია ღვთიური განსაზღვრულობის ძიება სოციალურ მოვლენებში.

მონტესკიე აცხადებს, რომ ისტორიისადმი თეოლოგიურ მიდგომას პირდაპირ ფატალიზმისაკენ მივყავართ. თუ ღმერთი ყოველივეს განაგებს, ადამიანებს აღარაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ დასხდნენ გულხელდაკრეფილი, იყვნენ პასიური მჭვრეტელები. მაგრამ XVIII საუკუნეში, გონის საყოველთაო დუდილის, ბურჟუაზიული რევოლუციის მზადების პერიოდში, ყველაზე ზომიერი და მშვიდი განმანათლებლებიც კი გადაჭრით კიცხავდნენ ადამიანებს, რომლებიც ურიგდებიან სოციალურ სიცრუეს. „კანონთა გონში“ მონტესკიე აკრიტიკებს ფატალისტურ მსოფლმხედველობას: „მომღვრება ბედისწერის შესახებ, რომელიც ყველაფერს მართავს, მმართველსაც გადააქცევს აუღელვებელ მჭვრეტელად; მას გონია, რომ უკვე ყველაფერი გაკეთებულია და მას საქმე აღარა აქვს“.

ხელმწიფის ფატალიზმზე არანაკლებ საშიშია ქვეშევრდომთა ფატალიზმი. მონტესკიეს მიაჩნია, რომ უბრალო ადამიანს არა აქვს უფლება ხელი აწიოს მბრძანებელზე, მაგრამ მორალური პროტესტის, არა ცულით, არამედ კალმით, თავისი უფლებებისა და ინტერესების, ლეგალური უფლებებით დაცვის არათუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიცაა. დესპოტიზმთან შერიგებული მოქალაქე კარგავს მოქალაქედ წოდების უფლებას, გადაიქცევა მონად და ზიზღის ღირსია. მრავალწლიანი განაზრებების დასასრულს თავისი მთავარი ნაშრომის წინასიტყვაობაში მონტესკიე წერს: „მე დავიწყე ადამიანების შესწავლა და ვნახე რომ მათი კანონებისა და ზნეობის უსასრულო მრავალფეროვნება არაა გამოწვეული მხოლოდ მათი ფანტაზიით. მე დავადგინე ზოგადი საწყისები და ვნახე, რომ კერძო შენთხვევები თავისთავად ექვემდებარებიან მათ, რომ ყოველი ხალხის ისტორია, როგორც შედეგი, გამოდის მათგან და ყოველი კერძო კანონი დაკავშირებულია სხვა კანონთან ან დამოკიდებულია სხვა, უფრო ზოგად კანონზე“.

ამგვარად, ფრანგი განმანათლებელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება კანონზომიერი პროცესია, თანაც საზოგადოების კანონები არაა გარედან თავსმოხვეული, არამედ არსებობენ თვით მასში, როგორც ცალკეული სოციალური მოვლენების არსი. „კანონთა გონში“ ღრმა მიხვედრაა, რომ კანონების ობიექტურ საფუძვლად მიჩნეულია საგანთა ბუნებიდან გამომდინარე აუცილებელი მიმართებები.



ამავე დროს, მონტესკიე სხვა განმანათლებლების მსგავსად პიროვნებას ანიჭებს სოციალური დემიურგის როლს და სოციალურ კანონებს თვლის კანონმდებელთა თავისუფალი ქმედების პროდუქტად. აქ ის ფაქტობრივად ერთმანეთში აურევს კანონს, როგორც სამართლის მეცნიერების კატეგორიას იმ საზოგადოებრივ კანონებთან, რომლებიც არ არიან დამოკიდებული ადამიანების ნებასა და ცნობიერებაზე; მონტესკიეს ნაშრომებში მრავლადაა კანონების ვოლუნტარისტული, სუბიექტურ-იდეალისტური განსაზღვრებები. მაგალითად, „კანონთა გონის” მესამე თავში მონტესკიე ამტკიცებს, XVI თავში, სადაც კანონი გაიგივებულია კანონმდებლის დადგენილებასთან. ყველა სოციალური უბედურების მიზეზს მონტესკიე ხედავს იმაში, რომ „კანონმდებელთა უმრავლესობა ძალზე შეზღუდული ადამიანები არიან, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ ხელმძღვანელთა შორის და ითვალისწინებენ, მხოლოდ საკუთარ შეხედულებებსა და ფანტაზიას”. უნდა ითქვას, რომ მონტესკიე ხშირად ეჭვობს საკუთარი სეხედულებების მცდარობას. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა საზოგადოება გვეძლევა ქაოსად, ურთიერთგამომრიცხავ ნებათა შეჯახებების შედეგად. პროგრესის იდეა აქ გამორიცხულია. მეცნიერება საზოგადოების შესახებ ასევე შეუძლებელი გახდება.

ამგვარად, დასვა რა საკითხი საზოგადოების კანონების ობიექტურობის შესახებ, მონტესკიემ, როგორც ყველა სოციოლოგმა XIX საუკუნემდე ვერ შესძლო თანმიმდევრულად დაეცვა საკუთარი პოზიცია. ის მუდმივ წინააღმდეგობაშია, სოციალური კანონები მასთან ხან ობიექტურია, ხან სუბიექტურია, ე.ი. ხელოვნურად იქმნება კანონმდებლების მიერ. მონტესკიეს სუბიექტივიზმი იმ დროისათვის ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელია, რადგან საკითხი ეხება ფეოდალურ ურთიერთობებში ჩაკარგულ პიროვნებას და მის რეაბილიტაციას. მას მხედველობაში ყავს არა ფეოდალი „ყაჩაღი,” ან განდევნილი წმინდანი. ის უფრო მაღლა აყენებს პიროვნებას, რომელიც ქმნის კანონებს საზოგადოებრივი პროგრესისათვის, განათლებისა და კულტურისათვის. ამიტომ მისთვის კანონზომიერების პრობლემა ორგანულ კავშირშია კანონმდებელთა როლის პრობლემასა და იმ როლის დადგენასთან, რომელსაც საზოგადოებაში ასრულებს ადამიანთა მორალი და მორალური შეხედულებები. მონტესკიე ამტკიცებს, რომ ადამიანთა მორალს, ერთი მხრივ განაპირობებს გეოგრაფიული გარემო, მეორე მხრივ კი არსებული პოლიტიკური წყობა. ის აქ არ იცავს მონისტურ პოზიციას, მაგრამ ორივე შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრულობის რელიგიურ თეორიას უარყოფს. საბოლოო ჯამში, ადამიანთა ზნეობა, მონტესკიეს აზრით, ადამიანის ბუნებასა და საზოგადოებრივ გარემოს ეფუძნება. საზოგადოებრივი გარემო მასთან პოლიტიკური წყობისა და გაბატონებული კანონმდებლობის იგივეობრივია.

მამასადამე, მონტესკიე ამტკიცებს, რომ ზნეობრივ განსხვავებებს საფუძვლად გეოგრაფიული და საზოგადოებრივი პირობები უდევს, თუმც იმ გამორიცხავს კლასობრივი განსხვავების ფაქტორს. მისი თანამედროვე საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის იგნორირება სუსტი ადგილია მონტესკიესა და ბურჟუაზიული რევოლუციის სხვა წინამორბედთა ნააზრევში. ამ მხრივ ფრანგი განმანათლებლები ჩამორჩებოდნენ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, ადამ სმიტსა (1723-1790) და დავიდ რიკარდოს (1772-1823), რომლებიც ხედავენ, მაგრამ ცდილობენ შენიღბონ ან სულაც დამალონ საზოგადოების სტრუქტურის ეკონომიკური საფუძვლები. ფრანგი განმანათლებლები



ასევე ჩამორჩებიან ფრანგ ისტორიკოსებს – ტიერის (1795-1856), მინიეს (1796-1884) და გიზოს (1787-1874), რომლებიც ცდილობდნენ XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისათვის შეეხედათ კლასობრივი ბრძოლის პოზიციებიდან. მონტესკიესათვის კლასობრივი ბრძოლა არის პოლიტიკური პრინციპების ბრძოლის გამოვლენა. ის უპირატესად საუბრობს არისტოკრატის რღვევაზე, ვიდრე არისტოკრატის პრინციპზე, აკრიტიკებდა უფრო დესპოტიზმს, ვიდრე დესპოტიზმის იდეას. თუმცა მონტესკიე უკვე გრძნობს, რომ იდეებისა და პრინციპების შეჯახებების უკან რეალური საზოგადოებრივი ძალების წინააღმდეგობა დგას, იცის, რომ დემოკრატიზმისა და არისტოკრატიზმის პრინციპების განსხვავებისას, დემოკრატიის უკან ხალხი, ხოლო არისტოკრატის უკან ხალხის დამმონებელთა მცირე ჯგუფი დგას.

საზოგადოების პროგრესული განვითარება მონტესკიეს საკმაოდ ზედაპირულად და შეზღუდულად ესმის. ის ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისებს მიუდგეს ისტორიულად. ის შეეცადა გაეცა პასუხი ადამიანთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს აღმოცენების კონკრეტულ მიზეზებზე. აქ ის მთლიანად მოქცეულია ბუნებრივი სამართლის თეორიის ჩარჩოებში (სპინოზა ჰოლანდიაში, ჰობსი და ლოკი ინგლისში) და ამტკიცებს, რომ თავდაპირველ, ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანებმა არ იციან სახელმწიფო და მხოლოდ დროთა განმავლობაში მივიდნენ მისი ორგანიზების აუცილებლობის აღიარებამდე. ამავე დროს მონტესკიე ემხრობა ბუნებრივი სამართლის მიმდევრებს, რომელთა თანახმად თავდაპირველად ცხოვრება იყო მშვიდი, მეგობრული და მშვიდობიანი ყოველგვარი დაპირისპირების, მტრობისა და ურთიერთხოცვის გარეშე. პირველყოფილი საზოგადოებისა და ადამიანის იდეალიზირება მონტესკიესათვის მისი თანამედროვე ფეოდალური კულტურის კრიტიკაა.

პირველყოფილ ადამიანებს, ამტკიცებს მონტესკიე, არ სჭირდებოდათ ერთმანეთთან ბრძოლა. პირიქით, ძირეულად იყვნენ დაინტერესებული მშვიდობიან ურთიერთობებში. მათ სხვა ადამიანებზე ბატონობის სურვილიც კი არ გაუჩნდებოდათ, რადგან ეს სურვილები უფრო რთულ ურთიერთობებს უკავშირდება. ამიტომ მშვიდობა და არა ომი, ასკვნის მონტესკიე, იყო ადამიანის პირველი ბუნებრივი კანონი. მონტესკიეს ეს განცხადება უპირისპირდება იმ იდეოლოგიას, რომლის თანახმად ომი ადამიანის ბუნების აუცილებელი თვისებაა.

მეორე ბუნებრივ კანონად ფრანგი განმანათლებელი თვლის ადამიანის სწრაფვას მოიპოვოს საკვები. საზოგადოებისადმი იდეალისტური მიდგომა ხელს უშლის მონტესკიეს გააკეთოს სწორი დასკვნები საზოგადოების განვითარებისათვის მატერიალური წარმოების როლის შესახებ. წარმოება მას ესმის, როგორც საზოგადოებაზე გავლენის მქონე ერთ-ერთი ფაქტორი. მონტესკიესათვის ადამიანის სამეურნეო საქმიანობა მისივე ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდანაა წარმოებული. ის ამტკიცებს, რომ საზოგადოების აღმოცენების ერთ-ერთი მიზეზია ყოველი ცოცხალი ორგანიზმის სწრაფვა მისი ბუნების მეორე ცოცხალი ორგანიზმისაკენ და ამ სწრაფვას მონტესკიე ეძახის მესამე ბუნებრივ კანონს.

ამ სამი კანონის საფუძველზე საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის დაცვით მონტესკიეს გამოყავს მეოთხე – საზოგადოებაში ცხოვრების სურვილის კანონი, ანუ ადამიანის მიერ



საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის გაცნობიერება, რაც უშუალოდ გამომდინარეობს ადამიანის რაციონალური უნარიდან – გააკეთოს დასკვნები, მიიღოს გადაწყვეტილებები.

დიდ ინტერესს იმსახურებს მონტესკიეს გენიალური მიხვედრა პირველყოფილ საზოგადოებაში კერძო საკუთრების არარსებობის შესახებ. მონტესკიე აცხადებს, რომ უთხრეს რა უარი ბუნებრივ დამოუკიდებლობას, ადამიანებმა უარი უთხრეს ქონების ბუნებრივ ერთობასაც. ამგვარად, კერძო საკუთრებას ის განიხილავს, როგორც ისტორიული განვითარების შედარებით გვიანდელ პროდიუქტს. მაგრამ, რადგან მონტესკიე მომხრეა კერძომესაკუთრული ურთიერთობებისა, ამ მიხვედრიდან მონტესკიე აკეთებს რიგ დამახინჯებულ დასკვნებს. კერძო საკუთრება მასთან არის საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგი, ე.ი. დამოკიდებულია იურიდიულ ნორმებზე. მონტესკიესათვის ასეთი კერძო საკუთრება ცივილიზებულობის გამოვლენაა. ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრედ კერძოზე პრიმატის აღიარების დროსაც კი არავის არა აქვს უფლება ჩამოართვას ადამიანს მისი საკუთრების იოტისოდენა ნაწილიც კი.

3. მონტესკიეს გეოგრაფიზმი.

ცნობილია, რომ გეოგრაფიული თეორიის ბევრი თანამედროვე მომხრე რეაქციული შეხედულებებისაა. ისინი ირწმუნებიან, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ვერ შეიცვლება გეოგრაფიული გარემოს ცვლილებების გარეშე, ხოლო რადგან ეს უკანასკნელი საკმაოდ ნელი ტენპით იცვლება, ცხადია არალოგიკურად უნდა გამოცხადდეს სოციალური რევოლუციები.

მონტესკიე სხვაგვარად ფიქრობს. მან გეოგრაფიულ გარემოს მიმართა მხოლოდ იმიტომ, რომ დაემტკიცებინა – ისტორიის სვლა დამოკიდებულია არა მხოლოდ ღმერთზე, არამედ ბუნებრივ მიზეზებზე და ამიტომ არა რელიგიას, არამედ მეცნიერებას შეუძლია გაიგოს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებები.

როგორც აღინიშნა „კანონთა გონში“ მთელი წიგნები და თავები ეძღვნება ბუნებრივ ფაქტორებს – კლიმატს, ნიადაგს და ა.შ. მეთოთხმეტე წიგნის სათაურია – „კანონებისა და კლიმატთა თვისებებისადმი მათი მიმართების შესახებ“. აქ დეტალურადაა განხილული კლიმატის გავლენა ადამიანების ხასიათზე, მათ ადათ-წესბსა და ზნეობაზე, სახელმწიფოებრივი წყობის ფორმებზე.

კლიმატისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას განმანათლებელი იმით ასაბუთებს, რომ სხვადასხვა კლიმატურ პირობებში განსხვავდებიან გონის ხასიათი და გულის ვნებები. ცივი კლიმატი აყალიბებს ძლიერ და ე.ი. უფრო აქტიურებს, შრომისმოყვარეებსა და მიზანმიმართულებს. ცხელი ჰავა სიზარმაცეს, სიფაქიზეს, გულგრილობას უწყობს ხელს. რამდენადმე მიაბიძგურად, მაგრამ მატერიალისტური პოზიციით ასაბუთებს მონტესკიე ადამიანის სულიერი ცხოვრების დამოკიდებულებას მის ფიზიკურ ორგანიზაციაზე. მისი მსჯელობის ლოგიკა დაახლოებით ასეთია: სიცხე და სიცივე სახეს უცვლიან სხეულს, სხეული თავის მხრივ ზემოქმედებს სულზე.



ამიტომ ციკლიმატიან ქვეყნებში ადამიანები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ცხელ ქვეყნებში. ჯანმრთელი და ძლიერი ადამიანი უფრო ენდობა საკუთარ თავს, უფრო ვაჟკაცია, უსაფრთხოების თვალსაზრისით უფრო თვითდაჯერებულია, უფრო პირდაპირია, ნაკლებად ეჭვიანია, ნაკლებად პოლიტიკანია და ეშმაკი. „მოაქციეთ ადამიანი ცხელ და ჩაკეტილ ვითარებაში, ის ძალზე მოდუნდება და მოეშვება. თუ ამ ვითარებაში მას მოსთხოვთ რაიმე ვაჟკაცურ ნაბიჯს, ის აუცილებლად შეიკავებს თავს. მოდუნებული კაცი კარგვს სულიერ სიფხიზლეს, შიშით უყურებს ყველაფერს, თავს უმწეოდ გრძნობს. ცხელი ქვეყნების მკვიდრნი მოხუცებით არიან, ცივი ქვეყნების ადამიანები კი ყმაწვილებივით”.

მონტესკიე თამამად სვამს კითხვას სახელმწიფოს წყობის შესახებ, და იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს მასზე გავლენას კლიმატი. მისი მსჯელობებიდან ჩანს, რომ საფრანგეთში გავრცელებული მეფური დესპოტიზმი პირდაპირ ეწინააღმდეგება მის კლიმატს ე.ი. არაბუნებრივია. უნდა ითქვას, რომ კლიმატზე აქცენტს მეორე მხარეცაა აქვს. მას შეიძლება გაემართლებინა რეაქციული რეჟიმები, რომლებიც თითქოსდა პასუხობენ კიდეც თავიანთ გეოგრაფიულ გარემოს. კერძოდ, მონტესკიე ამართლებს აზიური ქვეყნების პოლიტიკური თვითნებობას, ირწმუნება, რომ ეს ცხელი ჰავის აუცილებელი შედეგია. ამ და სხვა მსგავსი მცდარი დასკვნების წინააღმდეგ გამოდიან XVIIIსაუკუნის მატერიალისტები ჰელვეციუსის მეთაურობით.

არანაკლებ შეცდომებს უშვებს მონტესკიე, როდესაც ეხება ნიადაგის როლს ადამიანთა მორალსა და სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში. მისი აზრით ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის ვაკე განფენილობა განაპირობებს დესპოტურ რეჟიმს, მაშინ როდესაც მთაგორიანი რელიეფი ხელს უწყობს თავისუფლებას. ზუსტად ასევე, მონტესკიე ღრმად და დარწმუნებული, რომ კუნძულის მცხოვრებლებს უფრო ახასიათებთ თავისუფლებისადმი მიდრეკილება, ვიდრე კონტინენტის მკვიდრთ. „კუნძულები – წერს ის – ჩვეულებრივ პატარები არიან და აქ ძნელია მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დაჩაგროს მეორე; დიდი იმპერიებისაგან ისინი ზღვით ან ოკეანით არიან დაცილებული და ტირანია მათგან ვერ მიიღებს მხარდაჭერას; ზღვა გზას უღობავს დამპყრობლებს; კუნძულის მცხოვრებთ არ ემუქრებათ დამორჩილება, ისინი ადვილად ინარჩუნებენ თავიანთ კანონებს”.

4. მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე.

ფეოდალური სახელმწიფოს გაქრობის წინახანებში საფრანგეთის ბურჟუაზია, პირველ რიგში, დაუფიქრდა სახელმწიფო ძალაუფლების ბუნებას. მონტესკიეს სოციოლოგიურ პრობლემებში დიდი ადგილი უკავია სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების პრობლემებს. მას არ სჯერა, რომ სახელმწიფო დამოკიდებულია ღვთიურ ნებაზე: ძალაუფლების ღვთიური წარმოშობის თეორიული აღიარება მიგვიყვანს ყველაზე დახვეწილ თეოლოგიურ შეხედულებებთან, როგორსაც იცავდნენ „ეკლესიის მამები” და თომა აქვინელი; პოლიტიკურად კი სამუდამოდ ამკვიდრებს დესპოტიზმს მისთვის დამახასიათებელ ვარიაციებში. შეიძლება დაუპირისპირდე სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას თუ ის ღვთაებრივი წარმოშობისაა, როგორც



არასამართლიანიც არ უნდა იყოს ის? ამიტომ განმანათლებლები, მათ შორის მონტესკიე, ამოდის ხელშეკრულების თეორიიდან და ამტკიცებს, რომ პოლიტიკურ წყობას ქმნის არა მიღმური ძალები, არამედ ადამიანები, ადამიანების ინტერესებისათვის. ანიჭებდა რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სახელმწიფოს წარმოშობის ბიოლოგიურ და გეოგრაფიულ წანამდღვრებს, მონტესკიე ამავე დროს დარწმუნებულია, რომ საბოლოო ჯამში სახელმწიფო არის ადამიანური გონის პროდუქტი. ადამიანებმა, გაიგეს, გააცნობიერეს, რომ სახელმწიფოს გარეშე ისინი ვერ შესძლებენ ნორმალურად არსებობასა და განვითარებას და ამიტომ მათ, ბუნებრივი მდგომარეობის საპირისპიროდ, უპირატესობა მიანიჭეს სახელმწიფოს.

მაგრამ, თუნდაც შეზღუდულად და ფორმალურად ის მაინც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ძალაუფლება არსებობს ხალხისათვის და შეესაბამება მის ხასიათს. მონტესკიეს ეზიზღება წყობა სადაც მასები ხმაჩაკმენდილია. მონტესკიეს მიაჩნია, რომ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია და საჭიროცაა ხალხისაგან რაღაცეები ისწავლო.

მონტესკიე მიუთითებს სახელმწიფოებრივი ძალაუფლების სამ ძირითად ფორმაზე, რომლებსაც, მისი აზრით, შეუძლიათ გარკვეული დოზით შეასრულონ აუცილებელი სოციალური ფუნქციები; ესაა – რესპუბლიკა, მონარქია და დესპოტია. რესპუბლიკა მონტესკიესათვის არის მმართველობა, რომლის უმაღლესი ძალაუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ ხალხის ხელშია. მონარქია მას ესმის, როგორც ერთი ადამიანის მმართველობა, რასაც ის ახორციელებს კანონების საშუალებით. რაც შეეხება დესპოტიას, ის განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოებრივი წყობა, რომელიც სრულად ემორჩილება ერთი ადამიანის სურვილებს და ადგილი აქვს კანონების სრულ იგნორირებას.

რესპუბლიკურ წყობაზე საუბრისას მონტესკიე იცავს საყოველთაო საარჩევნო უფლებებს. ის ამტკიცებს, რომ ხალხს შეუძლია ღირსეული ხელმძღვანელის არჩევა და მისი კონტროლი. ამავე დროს ის წინააღმდეგება ხალხიდან გამოსულების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნას. ეს უნდა გავიგოთ როგორც მისი კომპრომისი პრივილეგიებზე ფენებთან მიმართებაში. ხალხი, წერს მონტესკიე, ძალზე ჭკვიანურად ირჩევს თავის ხელმძღვანელს, ვისაც ანდობს ძალაუფლებას. მან იცის, მაგალითად, რომ ვიღაც კარგი მეომარია და ირჩევს მას სამხედრო ხელმძღვანელად, იცის, რომ ვიღაც სამართლიანი და პატიოსანი მოსამართლეა და ყოყმანის გარეშე ანდობს მას ამ სფეროს ხელმძღვანელობას. „მაგრამ, შესძლებს კი თავად შეასრულოს რაიმე დიდი საქმე – კითხულობს მონტესკიე – შეისწავლოს ადგილი, ვითარება, შესაძლებლობა, ხელსაყრელი მომენტები, გამოიყენოს ეს ცოდნა? არა ის ამას ვერ შესძლებს...

ისევე, როგორც მოქალაქეთა უმრავლესობას შეუძლია იყოს ამომრჩეველი, მაგრამ არა აქვს ყველა აუცილებელი თვისება იყოს არჩეული, ასევე ხალხს შეუძლია გააკონტროლოს სხვისი საქმიანობა, მაგრამ თავად ძალიან გაუჭირდება სხვისი წაძლოა, ნეგატიური შედეგები კი მასვე დაუბრუნდება.

რესპუბლიკის მთავარ ნაკლს მონტესკიე იმაში ხედავს, რომ მას უშუალოდ ხელმძღვანელობს ხალხთა მასები, რომელთა ქმედებები განისაზღვრებიან „ვნებებით და არა გონებით“, ამიტომ ის



უპირატესობას ანიჭებს გონიერ მონარქს, მაგრამ აღიარებს, რომ რესპუბლიკა რიგ შემთხვევებში არანაკლებ კანონზომიერია, ვიდრე მონარქია. ფრანგი განმანათლებლის ამ იდეას ქონდა ძალზე პროგრესული მნიშვნელობა.

მიუხედავად განათლებული მონარქისადმი თავისი თანაგრძნობისა, მსოფლიო ისტორიაში მონტესკიე პოულობს მონარქიულ წყობასთან შედარებით რესპუბლიკური წყობის უპირატესობების დასაბუთებებს. „სპარსულ წერილებში“ ის პოლემიკაშია ფეოდალურ ისტორიოგრაფებთან, რომლებიც ვერც კი ამჩნევდნენ მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას. ამისათვის ის მიმართავს არა მხოლოდ ძველ საბერძნეთს, ძველი რომის ან კართაგენის ისტორიებს, არამედ მიუთითებს, რომ განვითარების გარკვეულ სტადიაზე იტალიასა, ესპანეთსა და გერმანიაშიც არსებობდა მართვის რესპუბლიკური ფორმა. ძველი საბერძნეთის ისტორიას ის უყურებს, როგორც მონარქიული ძალაუფლებისაგან ბერძენი ხალხის თანდათანობით განთავისუფლების ისტორიას. მხოლოდ რესპუბლიკაში, ასკვნის მონტესკიე, შეიძინეს ძველმა ბერძნებმა ჭეშმარიტი თავისუფლება და მიაღწიეს მეურნეობისა და კულტურის აღმავლობას.

მონტესკიე წინააღმდეგია საფრანგეთის მონარქიის რევოლუციის გზით დამხობისა, მაგრამ იძულებულია აღიაროს ძველ სამყაროში არსებული რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობა. ის აღნიშნავს, რომ ძველ სამყაროში რესპუბლიკური წყობა დამკვიდრდა მონარქიის მხრიდან დაუნდობელი წინააღმდეგობის დამლევს შედეგად.

სუბიექტურად, მაგრამ მონტესკიეს არ სურს ასეთი ბრძოლა საფრანგეთში, აღნიშნავს კომპრომისს სამეფო ძალაუფლების მხრიდან. ბურჟუაზიული რევოლუციის მომხრენი სხვაგვარად აფასებენ მის გამოსვლებს. ისინი სწორედ მონტესკიეს შრომებზე დაყრდნობით ასაბუთებდნენ საფრანგეთში რესპუბლიკური წყობის დამკვიდრების აუცილებლობას.

„სპარსულ წერილებში“ გატარებულია მშვენიერი აზრი რესპუბლიკური რეჟიმის ეკონომიკური უპირატესობების შესახებ. მონტესკიე ღიად აცხადებს, რომ სამოქალაქო თანასწორობა ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობას, მაშინ როდესაც დესპოტიზმს მივეყვართ მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკებამდე. რესპუბლიკაში ქვეყნის სიმდიდრეს მივეყვართ მოსახლეობის ზრდისაკენ. „მართვის სირბილე – წერს მონტესკიე – საოცრად უწყობს ხელს ადამიანის მოდგმის გამრავლებას. ყველა რესპუბლიკა ამის დადასტურებაა, ყველაზე მეტად კი შვეიცარია და ჰოლანდია, ევროპის ყველაზე ცუდი ქვეყანა, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი ტერიტორიების ბუნებრივ პირობებს, და მაინც ყველაზე მეტად დასახლებული ქვეყნებია.

არაფერი ისე არ იზიდავს უცხოელებს, როგორც თავისუფლება და მისი მუდმივი თანმდევი სიმდიდრე: პირველი მიმზიდველია თავისთავად; ჩვენს მოთხოვნილებებს თავისით მივეყვართ მეორისაკენ.

ადამიანები მრავლდებიან იმ ქვეყნებში, სადაც ბარაქა იძლევა ბავშვების დაპურების შესაძლებლობას და რაც არანაირად არ ამცირებს მშობლების კეთილდღეობას.



სამოქალაქო თანასწორობასაც კი, რომელსაც მოყვება სიმდიდრის თანასწორობაც, ბარაქა და სიცოცხლე შეაქვს პოლიტიკური სხეულის ყველა ნაწილში და ავრცელებს ყველგან.

ეს არაა იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია უსამართლობა: მეფე, სამეფო კარი და კერძო პირთა შეზღუდული რაოდენობა ფლობს მთელ სიმდიდრეს, სხვა ყველა სიღარიბის მარწუხებშია მოქცეული.

თუ ადამიანი სიღარიბით იხრჩობა და გრძნობს, რომ მისი შვილებიც უარეს დღეში იქნებიან, ის არც დაქორწინდება ან თუ დაქორწინდა, შეეცდება ცოტა იყოლოს ბავშვები. მას არ სურს, რომ მისი მემკვიდრეები მასზე დაბლა იდგნენ ქონებრივი თუ სოციალური კიბის საფეხურებზე.

მონტესკიეს ეს სიტყვები პირდაპირ ასხამს წყალს მალთუსიანელების წისქვილზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მშრომელთა გაღარიბება შედეგია მათი ზედმეტი გამრავლებისა. მონტესკიეს ესმოდა, რომ სიღარიბის მიზეზები ეს არ არის, მაგრამ ვერ ჩაწვდა იდეას, რომ ფართო მასების კეთილდღეობა მიუღწეველია გარკვეული სოციალური წყობების ჩარჩოებში.

მნიშვნელოვანია მონტესკიეს იდეური დაპირისპირება საფრანგეთში დესპოტურ რეჟიმთან. „სპარსულ წერილებში“ ის ატარებს აზრს, რომ ფრანგი მეფეების არასამართლიანი, ხალხთა მასების საწინააღმდეგო ქმედებები აღემატება აღმოსავლეთის სულთანებისა და ფადიშახების ტირანულ ძალაუფლებებს. თუ სპარსელები უსიტყვოდ ემორჩილებიან თავიანთ მონარქს, მონტესკიეს აზრით, ისინი ამას აკეთებენ დაუფიქრებლად. საფრანგეთში კი მეფის მორჩილებაშია ადამიანთა აზრებიც. ესენი გააზრებულად ემსახურებიან თავიანთ დესპოტს, ანუ არიან მეფის მონები. ამავე დროს, მონტესკიეს აზრით, მასები არსებითად იგნორირებენ მეფეს. მისგან მომავალი არც სიკეთე და არც ბოროტება არ სჭირდებათ მათ, მესამე ფენას. „თუნდაც რომ ათმა მეფემ, ერთმანეთი ამოხოცოს ხალხი ვერავითარ სხვაობას ვერ დაინახავს, სულერთია, თითქოს აქამდე ათიოდე სული თანმიმდევრულად განაგებდა მათ“.

ფრანგი მეფე ყველაზე ძლიერი ხელმწიფეა ევროპაში – აგრძელებს მონტესკიე – მას არა აქვს ოქროს საბადოები ესპანელი მეფის მსგავსად, მაგრამ სხვა მეფეებზე მეტი სიმდიდრე აქვს, რადგან ის უნამუსოდ ძარცვავს მთელს ხალხს, სხვა ხალხების გასამარცვად ეწევა არასამართლიან ომებს, აწარმოებს თაღლითურ ფინანსურ ოპერაციებს. ფრანგი მეფე, ირონიულად შენიშნავს მონტესკიე, ერთნაირი გენიალობით მართავს თავის ოჯახსა და თავის სახელმწიფოს. ის აჯილდოვებს იმას, ვინც ემსახურება საფრანგეთს, ვინც მის წინაშე წარმატებით მლიქვნელობს, თან ეს ბოლო პირველს ურჩევნია.

„სპარსულ წერილებში“ მონტესკიე აკრიტიკებს დესპოტიზმს კონკრეტული ფაქტებითა და მათი ილუსტრირებით, როგორც წარსულის მაგალითებით, ასევე მისი თანამედროვე ეპოქიდან აღებული ფრაგმენტებით. „კანონთა გონში“ კი მონტესკიე ცდილობს თეორიულად გამოაშკარაოს დესპოტიზმის უვარგისობა, მისი ბოროტი ბუნება, მიუხედავად მმართველთა ხასიათისა. არცერთ დესპოტურ სახელმწიფოში, აცხადებს ის, არავითარი კანონი არ არსებობს.



თუმცა კანონები რომც არსებობდნენ მათ რეალურად ნოლზე დაიყვანდნენ, რადგან არ არსებობს დაწესებულება ამ კანონების დასაცავად. შეუზღუდავი მონარქი, როგორც წესი, თავის ძალაუფლებას ანდობს მატყუარებსა და უსინდისო ხალხს, რომლებიც ნაკლებ ფიქრობენ ქვეყნის სიკეთეზე, უფრო საკუთარ სიმდიდრეზე. რაც შეეხება თვით დესპოტს, ის იმდენად შეეჩვია მლიქვნელობას, უსინდისობასა, უმეცრებასა და სიცრუეს, რომ კარგავს ყველა დადებით თვისებებს და გადაიქცევა ამოროლაურ არსებად, ცხოველური ინსტინქტების ტყვედ. დესპოტურ სახელმწიფოში, თვლის მონტესკიე, ადამიანი, რომელსაც ყველა ხუთი გრძნობა ეუბნება, რომ ის არის ყველაფერი და სხვა არაფერს არ წარმოადგენს, ბუნებრივია არის ზარმაცი, უმეცარი და გახრწნილი. დესპოტური რეჟიმი, ამტკიცებს ის, იგივე ტერორისტული რეჟიმიც, რომელმაც მხოლოდ ერთი გზა იცის – მოქალაქეთა დაშინება. ამიტომ, ასკვნის მონტესკიე, დესპოტიზმი არ არის მყარი და სიცოცხლისუნარიანი.

„კანონთა გონის“ მეხუთე წიგნის XIII თავში მონტესკიე დესპოტურ მმართველობას ადარებს ლუიზიანას ჩვეულებრივ ველურებს, რომლებიც ნაყოფის მოსაწყვეტად ძირში ჭრიან ხეს. ასე მოქმედებს დესპოტური მმართველობა, ჭრის ტოტს, რომელზედაც თავადვე ზის.

ფეოდალურ – დესპოტურ რეჟიმს მონტესკიე უპირისპირებს კონსტიტუციურ მონარქიას ან რესპუბლიკურ რეჟიმს და ლოკის მსგავსად ანვითარებს ძალაუფლების დანაწილების კომპრომისულ თეორიას – ძალაუფლებას ანაწილებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ძალაუფლებად, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან. მონტესკიე დარწმუნებულია, რომ თუ მონარქი მართვისას არ ჩაერევა სასამართლო ფუნქციებში, ხოლო საკანონმდებლო ორგანო მხოლოდ კანონებს დაადგენს და არ მართავს ქვეყანას, ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენა კმაყოფილი დარჩება, კერძოდ, ბურჟუაზია არ გადაეკიდება მტრად არისტოკრატიულ ელიტას. ამ საკითხში მონტესკიე, ლოკის მსგავსად ორიენტირებულია ინგლისის 1688-1689 წლების სახელოვან რევოლუციაზე, როდესაც გაფორმდა კლასობრივი კომპრომისი ბურჟუაზიასა და ფეოდალურ არისტოკრაციას შორის. ასეთ კომპრომისზე ოცნებობდა მონტესკიე საფრანგეთისათვის. თავისთავად, ძალაუფლების დანაწილების თეორია პროგრესულ როლს ასრულებდა მონტესკიეს ეპოქაში, რადგან გარკვეული დოზით ზღუდავს მონარქის საკანონმდებლო და სასამართლო უფლებებს. მაგრამ არსებითად, ქონდა დიდი ნაკლი, რადგან ანადგურებდა სახელმწიფო ერთიანობის ძალას. აღმასრულებელ ძალაუფლებას ანიჭებდა დამოუკიდებლობას საკანონმდებლო ძალაუფლებისაგან და ფაქტობრივად კონტროლის გარეშე აყენებდა მას, ხოლო საკანონმდებლო ძალაუფლება გადააქცია ორგანიზაციად, რომელიც ქმნის კანონებს, ადევნებს ყურადღებას მათ ქმედითუნარიანობას, შესრულებას. ძალაუფლებებს შორის ჩნდებოდა კონფლიქტები. ძალაუფლების დანაწილების თეორია ფრანგი განმანათლებლის კომპრომისის ტიპიური მაგალითია.

ასევე მოზომილი და კომპრომისული ხასიათისაა მონტესკიეს მცდელობა პრინციპულად განეცალკეებინა მონარქიული და დესპოტური რეჟიმები. რესპუბლიკაში, ირწმუნებოდა მონტესკიე, ბატონობს სიკეთის პრინციპი, მონარქიაში – ღირსების პრინციპი, ხოლო დესპოტურ რეჟიმს ახასიათებს შიშის პრინციპი. მარქსი, ერთ-ერთ წერილში მკაცრად აკრიტიკებს მონტესკიეს ამ დებულებას. მონარქიის პრინციპია არაადამიანურობა და მონტესკიე არ არის



მართალი, როდესაც ღირსებას მონარქიის პრინციპად სახავს. ის ცდილობს გაექცეს სიმნელეს, როდესაც სურს განასხვავოს მონარქია, დესპოტია და ტირანია. მაგრამ ეს ერთი და იგივეა, უკეთეს შემთხვევაში მიუთითებს ზნეობის სხვადასხვაობაზე ერთსა და იმავე პრინციპის ჩარჩოებში. სადაც მონარქიულ პრინციპს უმრავლესობა ემხრობა იქ ადამიანი უმცირესობაშია, ხოლო სადაც მონარქიული პრინციპი ეჭვს არ იწვევს, იქ ადამიანი საერთოდ გამქრალია – თვლის კ.მარქსი.

როდესაც იცავს მონარქიის პრინციპს მონტესკიე, დემოკრატი რუსოსაგან განსხვავებით, ამოდის ბურჟუაზიული ზედაფენების ინტერესებიდან. ის თავადაც გულახდილად აღიარებს, რომ შეუძლებელია მოიაზრო მონარქიული მმართველობა პრივილეგირებული უმცირესობის გარეშე, მდიდარი ვაჭრების, მეწარმეების, დიდგვაროვნების არსებობის გარეშე. მაგრამ მთელი თავისი კლასობრივი შეზღუდულობის მიუხედავად მონტესკიე აქაც ბევრად მაღლა დგას ბურჟუაზიის უფრო გვიანდელ იდეოლოგიებთან შედარებით. ის იცავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებას და მოითხოვს, რომ მონარქიული ძალაუფლება მთელი პატივით მოეკიდოს ხალხს. მონარქიის პრინციპი იწყებს ლპობას, ამტკიცებს მონტესკიე, როდესაც სახელმწიფოში მაღალი თანამდებობები უკავიათ დიდგვაროვნებს, რომელთაც ხალხი არ ენდობა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ყველაფრით ვალში არიან ხელმწიფესთან და არავითარი ვალდებულება არ აკავშირებთ სახელმწიფოსთან. მონარქიული რეჟიმი ვალდებულია მისცეს ყოველ მოქალაქეს პოლიტიკური თავისუფლების მინიმუმი. ხელმწიფემ არ უნდა შეურაცხყოს მოქალაქეები და არ უნდა დაარღვიოს კანონები. თუ ხელმწიფე თავს დააყენებს კანონებზე მაღლა, ის გადაიქცევა დესპოტად.

პოლიტიკურ თავისუფლებასთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისების შედარებისას მონტესკიე აღნიშნავს, რომ ზოგიერთს პოლიტიკური თავისუფლება ესმის როგორც შესაძლებლობა დაამხონ ის ვისაც მათვე მიანიჭეს ტირანიული უფლებები, და ასევე თავისუფლება გონიათ იმის არჩევის უფლება, ვისაც თავად უნდა დაემორჩილონ. მონტესკიეს ამ განცხადებაში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ავტორები (მაგალითად, მარატი, სენ-ჟიუსტი და სხვები) ხედავენ საფრანგეთის მეფეთა ტირანული ძალაუფლების ჩამოგდების იდეურ საფუძველს.

თვით მონტესკიე ორიენტირებულია რევოლუციაზე ზემოდან, პროგრესულ კანონმდებლობაზე. მისი მთავარი ნაშრომი შემთხვევით არ იწოდება „კანონთა გონად“; აქ მონტესკიე დეტალურად აანალიზებს კანონმდებლობების სხვადასხვა ფორმებს ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე. ის ხაზს უსვამს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების აბსოლუტიზირების საშიშროებას, რომლის შემდეგაც ისინი გადაიქცევიან საქმისათვის უვარგის და გაყინულ რამედ. „ადამიანურ კანონებს – ასკვნის მონტესკიე – ბუნებრივად ახასიათებს სინამდვილის ყველა სახეცვლილებებისადმი დაქვემდებარება“.

ამით მონტესკიე გადჭრით ემხრობა ფეოდალური კანონების, როგორც მოძველებული კანონების ახლით შეცვლის იდეას, რომლებიც შეესაბამებოდა მესამე ფენის ინტერესებს, სხვა სიტყვებით,



საფრანგეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გადაქცევის ინტერესებს. ის ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე მოითხოვს მხოლოდ „კარგი“ კანონების შექმნას, ანუ კანონებისა, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებრივ სიკეთეს. თუ საზოგადოებრივი კანონები ეწინააღმდეგებიან ბუნებრივ სამართალს, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბუნებრივ სამართალს. სამაგიეროდ, თუ სამოქალაქო კანონები წინააღმდეგობაში აღმოჩნდებიან რელიგიის კანონებთან, პირველს უნდა მიეცეს პრივილეგია (მონტესკიე ათეისტია, ის უპირისპირდება შუასაუკუნეების რელიგიის ხასდიათს).

„კანონთა გონის“ ოცდამეექვსე წიგნში არის ერთი თავი საინტერესო სათაურით: „რომელ შემთხვევაში უნდა დაუჯერო სამოქალაქო კანონს, რომელიც გპასუხობს და არა რელიგიის კანონს, რომელიც გეკითხება“. არიან რა თავს დევნას რელიგიის მხრიდან, ფრანგი განმანათლებელი, ფორმალურად აღიარებს „რელიგიური ნორმების სიდიადეს, თუმცა იქვე დეტალურად ახსნის, თუ რატომაა აუცილებელი სახელმწიფო კანონების დაცვა ყველა მოქალაქის მიერ, ხოლო რელიგიის კანონებისა მორწმუნე ადამიანების მიერ ნებაყოფლობით და იმ ზომით, რა ზომითაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან დადგენილ საერთო კანონებს. „რელიგიის კანონები – წერს მონტესკიე – უფრო დიადია, სამოქალაქო კანონები კი უფრო ფართოა. რელიგიიდან აღებული ადამიანის სრულყოფის კანონებს მხედველობაში აქვთ არა იმდენად საზოგადოება, სადაც ამ კანონებს იცავენ, რამდენადაც ამ კანონების მიმდევარი ცალკეული ადამიანების თვისობრივი მხარეები; სამოქალაქო კანონებს კი პირიქით, მხედველობაში აქვთ ადამიანების ზნეობრივი ღირსებები ზოგადად, ვიდრე ცალკე ადამიანისა.

ამგვარად, რა ღირსეულიც არ უნდა იყვნენ რელიგიიდან წამოსული კანონები და ცნებები, ისინი ყოველთვის ვერ იქნებიან სამოქალაქო კანონებისათვის სახელმძღვანელო და დასაყრდენი, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის საწყისი სხვაა – ესაა მთლიანად საზოგადოება, მისი სიკეთე. აქ ფრანგი ცხადად გამოყოფს სამოქალაქო სამართლის პრინციპებს რელიგიური კანონებისაგან და ფაქტობრივად ამ თემის ლოგიკური გაგრძელების შემდეგი ეტაპი იქნება ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის საკითხი, რაც მონტესკიეს იდეაცაა.

არანაკლებ პროგრესულად მსჯელობს მონტესკიე კანონების შედგენის საშუალებებზე. ამ პრობლემას ეძღვნება ოცდამეცხრე წიგნი. აქ გადაჭრით იქნა დაგმოხილი აბსოლუტისტური რეჟიმი, როდესაც ბატონობს უკანონობა. ამავე დროს ავტორი არ ეთანხმება კანონმდებლებს, რომლებიც კანონებში ხედავენ რაღაც თვითნებურს და შემთხვევითს და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფორმალურ მხარეს. მონტესკიე მსჯელობს, რომ არ ღირს კანონების განხილვა მიზნისა და გარემოების გაუთვალისწინებლად, რომელთათვის და რომელთა გამოც ისინი არიან შექმნილი. ის აღშფოთებული კიცხავს არაადამიანურ კანონებს, რომლებიც არღვევენ მოქალაქეების ელემენტარულ უფლებებს; ასეთი ძველ ათენში იყო კანონი, რომელიც მოითხოვდა ქალაქის გარმოცვის (მტრის მიერ) შემთხვევაში დაეხოცათ ყველა მოქალაქე, ვინც უვარგისი იყო ქალაქის დასაცავად; ეს საზიზღარი პოლიტიკური კანონი შედეგია არანაკლებ საზიზღარი საერთაშორისო სამართლისა; ძველ საბერძნეთში დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობა კარგავდა სამოქალაქო თავისუფლებას და მონებად იყიდებოდნენ. ეს კანონი იწვევდა გარემოცვაში მყოფი მთელი მოსახლეობის სასტიკ წინააღმდეგობას, მათ კაპიტულაციას სიკვდილი ერჩიათ. ამგვარად, უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ კანონებს ზიანი მოაქვთ, როგორც დამარცხებულთათვის ასევე გამარჯვებულთათვის.



მრავალი საინტერესო გვერდი მიუძღვნა მონტესკიემ ინკვიზიციის ტრიბუნალში მოქმედ არაადამიანურ იურიდიულ ნორმებს. „ინკვიზიციის სასამართლო – მიუთითებდა ის – დაკანონებული ქრისტიანი ბერების მიერ და ორგანიზებული მსგავსად მონაწიე ცოდვილთა მიმართ უზენაესი სასამართლოსი, მიუღებელია ყოველგვარი სახის სამოქალაქო წესრიგისათვის. მან დაიმსახურა საყოველთაო ზიზღი და გახდებოდა კიდევ მის მიმართ აგორებული პროტესტის მსხვერპლი, რომ არა მისი მომხრეების უნარი შემოებრუნებინათ პროტესტი თავისი ინტერესების შესაბამისად.

ეს სასამართლო აუტანელია ნებისმიერი მმართველობისათვის; მონარქიაში ის ბადებს მხოლოდ ენატანიებსა და მოღალატეებს; რესპუბლიკაში აჩენს უსინდისო ადამიანებს; დესპოტურ სახელმწიფოში ისევე დამანგრეველია, როგორც თავად ეს სახელმწიფო.

საბოლოო ჯამში მონტესკიე მიდის დასკვნამდე: კანონი უნდა იდგას თავისუფლებისა და ყველა მოქალაქის, მიუხედავად მათი წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსისა, ფორმალური თანასწორობის, კერძო საკუთრებისა და თავისუფალი ვაჭრობის სადარაჯოზე. ეს დასკვნა მომავალი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციისა ერთ-ერთი გადამწყვეტი ლოზუნგი გახდა.

II. ჟან-ჟაკ რუსოს პოლიტიკური შეხედულებანი (სრული ვარიანტი)

რუსოს ნააზრევს მიმართ ინტერესი დღესაც დიდია. იგი არა მხოლოდ სოციოლოგი,პოლიტიკური მეცნიერიცაა. რუსო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ წრისათვის ცნობილი მას შემდეგ გახდა,რაც დიჟონის აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში,თემაზე: "ხელი შეუწყო თუ არა ხელოვნებისა და მეცნიერების აღორძინებამ ზნეობრივ განწმენდას"?, მიიღო მონაწილეობა. მან გაიმარჯვა და საყოველთაო ყურადღებაც მიიპყრო.

დასმულ კითხვაზე პასუხისას, რუსო აიდეალებს წარსულის საზოგადოებრივ წყობას."ზნეობის შესახებ ბჭობისას,- წერს იგი -,შეუძლებელია სიამოვნების გარეშე გავიხსენოთ პირველყოფილ ეპოქათა ჩვეულებების სიმარტივის სურათები.ესაა - მშვენიერი სანაპირო,მორთული მხოლოდ და მხოლოდ ბუნების მიერ და რომელზეც გამუდმებით მიმართულია ჩვენი ხედვა და რომელსაც მუდამ უხალისოდ შორდები. ხელოვნება და მეცნიერება ამტკიცებს,რუსო, არაბუნებრივია, უფრო მეტიც ბუნებრიობის საპირისპიროა და თავიანთ წარმოშობას ადამიანთა ნაკლოვანებებსა და მანკიერებებს უნდა უმაღლოდეს.

მეცნიერებისა და ხელოვნების აუცილებლობისა და პროგრესის უარყოფა რუსოს მიერ ზოგიერთი ავტორის მიერ განიხილება როგორც რეაქციული. რუსოს შეხედულებათა სწორი გაგება კი შესაძლებელია თუ დაკვირვებით განვიხილავთ მის შეხედულებებს კაცობრიობის პირველყოფილ ისტორიაზე.რუსო მიმართავს პირველყოფილ ისტორიას, რათა მისწვდეს ადამიანის ნამდვილ ბუნებას. ამ მიზნით იგი აუცილებლად მიიჩნევს მოიპოვოს ნათელი წარმოდგენები ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელშიც იმყოფებოდა ადამიანი მანამ, სანამ დაიწყებოდა მისი ისტორია. რუსოსათვის "ბუნებრივი ადამიანი"-ესაა იზოლირებული ადამიანი, რომელიც საზოგადოების გარეშე ცხოვრობს. ამ მდგომარეობაში ადამიანებს არ



ჰქონდათ არავითარი საჭიროება ურთერთდახმარებისა და მხარში ამოდგომისა, ისინი ერთმანეთს არ საჭიროებდნენ. ადამიანებს არ სჭირდებოდათ არავითარი ცოდნა და შემეცნება."მისთვის მხოლოდ ინსტიქტში შედიოდა ანუ ინსტიქტი მოიცავდა ყველაფერ იმას, რაც აუცილებელი იყო იმისთვის, რათა ეცხოვრა".

რუსი დაწვრილებით განიხილავს ცხოვრების პირობებს "ბუნებრივ მდგომარეობაში" და მიდის დასკვნამდე, რომ უთანასწორობას - თუნდაც ბუნებრივს ამ მდგომარეობაში რაიმე მნიშვნელობა არ ჰქონია. ამ პერიოდში შეუძლებელი იყო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა. იგი წერს: "რასაკვირველია, ადამიანს შეუძლია დაეუფლოს ნაყოფს-ხილს, რომელიც სხვამ მოკრიფა, ნანადირევს, რომელიც სხვამ მოკლა, გამოქვაბულს, რომელიც სხვისი თავშესაფარი იყო, მაგრამ როგორ შეუძლია მას მიაღწიოს იმას, რომ აიძულოს სხვა დაემორჩილოს მას? და როგორ შეიძლება იყო ადამიანებს შორის დამოკიდებულების ჯაჭვები, რომლებიც არაფერს არ ფლობენ?". რუსო გვიხატავს პირველყოფილი წყობისათვის შეუფერებელ და არც მთლად სიმართლის მსგავს ძლიერი ადამიანის სურათს, რომელიც აიძულებს სუსტს რათა მოუპოვოს მას საკვები. ასეთ შემთხვევაში ძლიერს მოუხდება არცერთი წამით არ გაუშვას მხედველობიდან სუსტი, ხოლო ღამით კი გულდასმით გაკოჭოს, რათა არ გაიქცეს ე. ი. თავის თავზე უფრო მეტ შრომას იღებს, ვიდრე იმას, რომლის თავიდან აცილებულ ძლიერს სურდა." ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ მონობის ბორკილები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებიდან და მათი ურთიერთმოთხოვნისა და ურთიერთ საჭიროების გაერთიანებისაგან წარმოიქმნებიან, ამიტომ შეუძლებელია რომელიმე ადამიანის დამონება, ისე თუ მას წინასწარ არ ჩავაყენებთ ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მას არ შეეძლება რაიმე გააკეთოს მეორე ადამიანის დახმარების ან ურთიერთობის გარეშე: ამ ვითარებას ადგილი არ აქვს ბუნებრივ მდგომარეობაში, და ამიტომ თითოეული ამ მდგომარეობაში უღლისაგან თავისუფალია, ხოლო უფრო ძლიერის კანონი იქ არ მოქმედებს".

თანდათანობით პირველყოფილმა ადამიანმა შეიძინა უნარი "იმ იშვიათი შემთხვევების განსხვავებისა, როდესაც საერთო ინტერესები საშუალებას აძლევდა მას ჰქონოდა მისივე მსგავსი ადამიანებისაგან დახმარების იმედი". ასეთ შემთხვევაში " იგი ერთიანდება მათთან ერთად ერთ ჯოგში ანუ ყველაზე დიდ თავისებური სახის თავისუფალ ასოციაციაში, რომელიც არავის არაფერში არ ავალდებულებდა, არავის არავითარ მოვალეობას არ აკისრებდა და რომელიც არსებობდა მანამდე, სანამ არსებობდა მისი გამომწვევი მოკლე ვადიანი მოთხოვნილება". ერთობლივი ცხოვრების ჩასახულმა ჩვევამ წარმოქმნა ოჯახი. თანდათანობით ყალიბდება ადამიანური საზოგადოება.

რუსოს მთელი სიმპატიები ადამიანური საზოგადოების არსებობის საწყის პერიოდს მიეკუთვნება: "მანამდე, სანამ - წერს იგი - ადამიანები კმაყოფილდებოდნენ თავიანთი უზადრუკი ქოხებით, სანამ ისინი იფარგლებოდნენ და იკმაყოფილებდნენ თავს, იმით, რომ იკერავდნენ ტანსაცმელს ნადირთა ტყავისაგან ხის ან თევზის ძვლის ნემსების დახმარებით, ილამაზებდნენ და ირთავდნენ თავს ფრთებითა და ნიჟარებით, იხატავდნენ ტანს სხვადასხვა ფერებით, სრულყოფდნენ და ამკობდნენ თავიანთ შვილდ-ისრებს, წამახულ თავიანთ ქვების დახმარებით ნავებს ან უხეშ მუსიკალურ ინსტრუმენტებს გამოჩორკნიდნენ, ერთი სიტყვით, სანამ ისინი მისდევდნენ მხოლოდ ისეთ შრომას, რომელიც არ აღემატებოდა ერთი ადამიანის



ძალას, ან ისეთ სარეწებს, რომლებიც არ მოითხოვდნენ მრავალი ხელის მონაწილეობას, ისინი ცხოვრობდნენ თავისუფლად, ჯანმრთელად, კეთილად და ბედნიერად იმდენად, რამდენადაც მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ ასეთად თავიანთი ბუნების მიხედვით, და ერთმანეთს შორის აგრძელებდნენ ურთიერთობების სიამებით ტკბობას, ისე რომ არ არღვევდნენ მათ დამოუკიდებლობას". ამ ეპოქას რუსო ყველაზე ბედნიერ და ყველაზე ხანგრძლივ ეპოქად თვლის კაცობრიობის ისტორიაში." ეს მდგომარეობა მსოფლიოს ნამდვილი ყმაწვილობისა და ახალგაზრდობის ხანაა, და მთელი მისი შემდგომი განვითარება წარმოგვიდგება თითქოს და ინდივიდის სრულყოფილებისაკენ მიმავალ ნაბიჯებად, სინამდვილეში კი - გვარის გახრწნისა და დაჩაჩანაკებისაკენ მიმავალი ნაბიჯებია".- დაასკვნის რუსო.

სავსებით ცხადია, რომ რუსოს მიერ სიმპათით აღწერილი საზოგადოება დაფუძნებულია გარემომცველ ბუნების საკმაოდ განვითარებულ ცოდნაზე და ხელოვნებასაც იცნობს. მოაზროვნე თვითონვე უსვამს ხაზს ამ მომენტს, როდესაც წერს, რომ "ცეკვა და სიმღერა... კაცთა და ქალთა გასართობ საშუალებებად" იქცა... ამ ცოდნისა და ხელოვნების საწყისებს რუსო სრულიადაც არ უარყოფს. მისთვის მანკიერია და მიუღებელია მხოლოდ ის ცოდნა და ხელოვნება, რომელებმაც აღწერილი საზოგადოებრივი წყობა დაანგრის, "უდიდესი საზოგადოებრივი გადატრიალება" მოახდინეს, რის შედეგადაც "გაქრა თანასწორობა, გაჩნდა საკუთრება, შრომა აუცილებლობად იქცა; ტყის ფართო მასივები ჯეჯილის ყანებად იქცნენ, რომელთა მორწყვაც საჭირო იყო ადამიანური ოფლით და რომლებზედაც მალე დათესილ იქნა და მოსავალთან ერთად მონობა და სიღატაკე" ამოიზარდა.

რუსოს მოყვანილი გამონათქვამები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების მისეული გაკიცხვა აბსოლუტური ხასიათის არ არის. აქ შეინიშნება წყალგამყოფი ისეთ განმანათლებელს როგორც ვოლტერია და რუსოს შორის, განმანათლებლები ფიქრობდნენ, რომ მეცნიერებათა განვითარება ბოლოს და ბოლოს ავტომატურად მიგვიყვანდა სოციალური უსამართლობის დამხობასთან. ასეთი პოზიცია რუსოსათვის მიუღებელია.

ბუნებრივ მდგომარეობიდან გამოსვლა, რუსოს აზრით, აღინიშნა იმით, რომ ადამიანებს შორის ფიზიკური თუ ბუნებრივი უთანასწორობის გვერდით ვლინდება უთანასწორობის ახალი სახე, რომელსაც რუსო პირობითს, ანუ პოლიტიკურს უწოდებს.

უთანასწორობის წარმოქმნის პირველი ეტაპი კერძო საკუთრების გაჩენა იყო, " პირველი, ვინც შემოღობა მიწის ნაკვეთი და განაცხადა: "ეს ჩემია", და იპოვა გულუბრყვილო ადამიანები, რომლებმაც ეს დაიჯერეს, იყო სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი დამფუძნებელი. რამდენი ომისაგან, დანაშაულებებისაგან, მკვლევლობებისაგან, უბედურებებისაგან და საშინელებებისაგან დაიცავდა ადამიანების მოდგმას ის, ვინც ამოადრობდა სოლს ან ამოავსებდა კვალს - თხრილს და შეუძახებდა ხალხს "უფრთხილდით ამ მატყუარას მოსმენას; თქვენ დაიღუპებით, თუ დაივიწყებთ, რომ დედამიწის ნაყოფი - ყველასია, ხოლო თვითონ კი - არავისია". - წერს რუსო. საკუთრების გაჩენამ გამოიწვია ადამიანთა ცხოვრების ღრმა გარდაქმნა, გაიზარდა ბუნებრივი უთანასწორობის მნიშვნელობა და წარმოიშვა უთანასწორობის ახალი ფორმა - **მდიდრებად და ღარიბებად გაყოფა**. საზოგადოებაში ჩნდება საშინელი ჯანყი და ბუნტი, ადამიანები ძუნწნი, პატივმოყვარენი და ბოროტნი გახდნენ, წარმოიქმნება მუდმივი შეტაკებანი, რომლებიც ომებითა და მკვლევლობებით სრულდება. ასეთ პირობებში "მდიდარმა ბოლოს და ბოლოს



შეადგინა აუცილებლობის დაწოლი შედეგად ყველა გეგმათა შორის ყველაზე გააზრებული, რომელიც კი როდისმე გაჩენილა ადამიანის თავში: **თავის სასარგებლოდ წარმართა იმათი ძალები, ვინც მას თავს ესხმოდა**, თავისი მოწინააღმდეგენი საკუთარ დამცველებად გადაექცია ". მდიდარმა შესთავაზა ხალხს შეექმნათ სასამართლო წესდებანი და მშვიდობიანი სასამართლოები, დაეწესებინათ ხელისუფლება, რომელიც მხარს დაუჭერდა საერთო შეთანხმებას." ყველანი პირდაპირ ბორკილებს ეცნენ - წერს რუსო.- დაიჯერეს რა, რომ ამით უზრუნველყოფდნენ საკუთარ თავისუფლებას". მაგრამ შედეგები ამგვარი შეთანხმებისა უცხო და სხვა აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. **საზოგადოებამ და კანონმა "სუსტებს დაადეს ახალი ბორკილები და ახალი ძალები შესძინეს მდიდარს, გაანადგურა ბუნებრივი თავისუფლება და სამუდამოდ დაადგინა საკუთრებისა და უთანასწორობის კანონი**, მოხერხებული და გაქნილი უზურპაცია გადააქციეს ურყევ სამართლად და უფლებად და რამდენიმე პატივმოყვარეთა სარგებლიანობის გულისთვის იმ პერიოდიდან მოყოლებული ადამიანთა მოდგმა შრომისა, მონობისა და სიღატაკისათვის გასწირეს.

კანონებისა და სასამართლოების გაჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სახელმწიფოს წარმოქმნას. რუსო ხაზს უსვამს, რომ ახალდაბადებულ მმართველობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მუდმივი ფორმები, მაგრამ განუწყვეტელმა უწესრიგობებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ **ადამიანებს გაუჩნდათ აზრი "მიენდოთ ცალკეული ადამიანებისათვის საშიში ნივთი - საჯარო ხელისუფლება და მაგისტრატებისათვის დავალებინათ ხალხის გადაწყვეტილებების შესრულებაზე ზედამხედველობა გაეწია "**. მაგისტრატების ბოროტად გამოყენებამ უფრო გააძლიერეს უთანასწორობა - წარმოიშვნენ ძლევაგამოსილი და დაუცველი-მიუსაფარი ადამიანები. უწესრიგობანი საზოგადოებაში გრძელდება და მათ შორის - წერს რუსო - მაღლა სწევს თავის სასიზღარ თავს დესპოტიზმი... ესაა უთანასწორობის უკანასკნელი საზღვარი და უკიდურესი წერტილი, რომელიც კეტავს წრეს და ეკვრის ჩვენს ამოსავალ წერტილს. აქ ცალკეული ადამიანები კვლავ თანასწორნი ხდებიან, ვინაიდან არარაობანი არიან".

"უთანასწორობის წარმოშობის შესახებ განაზრებებში" რუსო სახელმწიფოს წარმოშობის თეორიას ავითარებს. სახელმწიფოს წარმოშობას იგი კერძო საკუთრების გაჩენას უკავშირებს, აჩვენებს სახელმწიფოს საქმიანობის განპირობებულობას კერძო მესაკუთრეთა ინტერესებით. ამასთან ერთად რუსო სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების გაგებისაგან ძალიან შორსაა. მისთვის სახელმწიფო ეს არის საერთო სიკეთის-კეთილდღეობის განხორციელების იარაღი. სახელმწიფოს მიერ დამსჯელი ფუნქციების შესრულება, რუსოს მიერ განიხილება, როგორც სახელმწიფოს ნამდვილი დანიშნულებიდან გადახვევა, როგორც მდიდართა შეთქმულები შედეგი.

საკითხის გამოკვლევას, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული სახელმწიფო, რომ იგი პასუხობდეს თავის იდეალებს, რუსომ უძღვნა თავისი ძირითადი სოციალ-პოლიტიკური ტრაქტატი "საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები". საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში" რუსომ ამოცანად დაისახა "ეპოვა ასოციაციის ისეთი ფორმა, რომელიც მთელი თავისი საერთო ძალებით იცავს და იფარავს პიროვნებას და ასოციაციის ყოველი წევრის ქონებას, და რომლის წყალობითაც თითოეული პიროვნება სხვებთან გაერთიანებისას ექვემდებარება მხოლოდ საკუთარ თავს და იმდენადვე თავისუფალი



რჩება, როგორც ადრე იყო". მხოლოდ ასეთ ასოციაციაშია კანონიერი და მყარი მმართველობა შესაძლებელი.

მმართველობის დაფუძნება ძალაზე არ შეიძლება.ძალას არ შეუძლია შექმნას სამართალი, ხოლო ადამიანი კი ვალდებულია დაემორჩილოს კანონიერ ხელისუფლებას. "მუდამ იქნება დიდი განსხვავება ბრბოს დამორჩილებასა და საზოგადოების მართვას შორის. თუ ერთეულ ადამიანებს ერთი მეორეს მიყოლებით და ცალ-ცალკე იმონებს ერთი ადამიანი, მაშინ როგორც არ უნდა იყოს მათი რიცხვი, მე აქ მხოლოდ ბატონსა და მონებს ვხედავ და არავითარ შემთხვევაში ხალხსა და მის მეთაურს. ეს თუ გნებავთ – ადამიანთა გროვა და ბრბოა და არა ასოციაცია. აქ არც საერთო კეთილდღეობა და არც პოლიტიკური ორგანიზმი არ არსებობს".

რუსო ამტკიცებს, რომ "ყოველგვარი კანონიერი ხელისუფლების საფუძველი შეიძლება მხოლოდ შეთანხმება იყოს ". შეთანხმება აუცილებლობით იდება ადამიანებს შორის ბუნებრივი მდგომარეობიდან გამოსვლისას." მე ვფიქრობ, რომ ადამიანებმა მიაღწიეს ისეთ ზღვარს, როდესაც ბუნებრივ მდგომარეობაში დარჩენის ან შენარჩუნების დამაბრკოლებელმა ძალებმა გადააჭარბეს იმ ძალებს,რომლებიც ადამიანებს შეეძლოთ ბუნებრივ მდგომარეობაში დარჩენის მიზნით გამოეყენებინათ. ასეთ ვითარებაში ეს თავდაპირველი მდგომარეობა, შეუძლებელია კიდევ გაგრძელდეს და ადამიანთა მოდგმა დაილუპებოდა, რომ მას თავისი ცხოვრების წესი არ შეეცვალა".

ადამიანებს შორის დადებული შეთანხმება არ არის შეთანხმება მთავრობის არჩევის შესახებ. რუსო მკაცრად აკრიტიკებს ჰუგო გროციუსს, რომელიც ფიქრობდა,რომ ხალხს შეუძლია თავისი თავი მეფეს დაუქვემდებაროს. "მაშასადამე, გროციუსის აზრით - წერს რუსო - ხალხი ასეთია მანამდეც კი, სანამ იგი თავს მეფეს დაუქვემდებარებს. მაგრამ ასეთი მოქმედება წარმოადგენს მოქალაქეობის აქტს; იგი ხალხის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გულისხმობს. ამგვარად, სანამ განვიხილავთ აქტს, რომლის მეშვეობითაც ხალხი ირჩევს მეფეს, კარგი იქნებოდა გაგვეხილა ის აქტი, რომლის ძალითაც ხალხი ხალხად ყალიბდება, რამეთუ ეს აქტი, რომელიც გარდუვალაობით უსწრებს წინ პირველს, საზოგადოების ჭეშმარიტი საფუძველია."

როგორია ამ აქტის შინაარსი? არსებითად იგი, რუსოს აზრით, ერთ პირობაზე დაიყვანება, სახელდობრ "ასოციაციის ყველა წევრის მიერ საკუთარ უფლებებზე უარის თქმა მთელი თემის სასარგებლოდ; რამეთუ, პირველი, თუ ყოველი გასცემს თავის უფლებებს მთლიანად ,მაშინ იქმნება თანაბარი პირობები ყველასათვის. ხოლო თუ პირობები ყველასათვის თანაბარია, მაშინ არავინ არ იქნება დაინტერესებული იმით, რომ ეს პირობები სხვებისათვის დამამძიმებელი გახადოს".

უფლებათა ეს გაცემა – გაუცხოება, ხაზგასმით აღნიშნავს რუსო, უნდა იყოს სრული, ვინაიდან თუ ცალკეულ პიროვნებებს დარჩათ ზოგიერთი უფლება, მაშინ უზენაესი ხელისუფლების არარსებობის გამო, რომელსაც შეეძლებოდა გადაეჭრა კამათი მათსა და საზოგადოებას შორის, თითოეული,რომელიც თავის თავს ზოგიერთ საკითხების გარჩევისას საკუთარი თავის მსაჯულად მიიჩნევს, სწრაფად დაიწყებდა პრეტენზიის გაცხადებას იმის თაობაზე, რომ ყველა სხვა საკითხების გადაწყვეტაშიც მოსამართლედ და მსაჯულად ქცეულიყო. ამგვარად,ბუნებრივი მდგომარეობა გააგრძელებდა არსებობას და ასოციაცია აუცილებლობით ან ტირანიად, ან ფუჭ ამაო საქმედ იქცეოდა".



საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად ხელშეკრულების დამდები პირები ერთიან საზოგადოებრივ პირად იქცევიან. "ასოციაციის ეს აქტი ყოველი ხელშეკრულებაში მონაწილე ცალკეული პიროვნების ნაცვლად დაუყონებლივ ქმნის მორალურ და კოლექტიურ მთელს, რომელიც იმდენი წევრისაგან შედგება,რამდენი ხმაც კრებულს,-მთელს აქვს, რომელიც თვით ამ აქტის მეშვეობით იძენს ერთიანობას საკუთარ საერთო-ზოგად მე-ს,სიცოცხლესა და ნებას. ამ საზოგადოებრივ პირს, რომელიც ყველა დანარჩენი პიროვნებებისგანაა შედგენილი, ადრინდელ პერიოდებში სამოქალაქო საზოგადოებას, თემს უწოდებდნენ, ახლა კი რესპუბლიკად ან პოლიტიკურ სხეულად იწოდება, თავისი წევრების მიერ სახელმწიფოდ იწოდება,როდესაც იგი აქტიურია, და სუვერენად, როდესაც იგი აქტიურია, ხოლო სამეფოდ, როდესაც მას მის მსგავს გაერთიანებებს ადარებენ. მონაწილეები კოლექტიურად იღებენ ხალხის სახელს, ხოლო ცალკე კი იწოდებიან მოქალაქეებად - როგორც სუვერენული ძალაუფლების მონაწილენი და ქვეშევრდომებად - როგორც სახელმწიფოს კანონებისადმი დაქვემდებარებულნი".

ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოქმნილ ახალ მდგომარეობას, რუსო სამოქალაქო მდგომარეობას უწოდებს. აქ უკვე იგი ბუნებრივ მდგომარეობას ისე მაღალ შეფასებას აღარ აძლევს. ადამიანი, მართალია, სამოქალაქო მდგომარეობაში კარგავს მრავალ უპირატესობას,რომელიც მას ბუნებისაგან აქვს მიღებული, მაგრამ იგი ამავე დროს იძენს და სხვა ფრიად მნიშვნელოვანი უპირატესობებით ჯილდოვდება. მისი უნარები ვარჯიშდებიან და ვითარდებიან, მისი წარმოდგენები ფართოვდებიან, გრძნობები კეთილშობილნი ხდებიან და მთელი მისი სული ისეთ დონემდე მაღლდება, რომ ამ ახალ მდგომარეობის შეცდომებს ადამიანები ხშირად რომ არ დაყავდეს იმაზე უფრო დაბალ მდგომარეობაზე, საიდანაც იგი გამოვიდა, იგი გამუდმებით უნდა ადიდებდეს იმ წამს, რომელმაც სამუდამოდ გამოიყვანა იქიდან და რომელშიც გონებამ ჩლუნგი და შეზღუდული ცხოველისაგან გონიერი არსება – ადამიანი შექმნა". აქაა საზოგადოებრივი განვითარების პროცესისადმი რუსოს ნამდვილი დამოკიდებულება გამოხატული. მხოლოდ ბოროტმოქმედებას დაყავს ადამიანი იმაზე დაბალ დონემდე, საიდანაც იგი გამოვიდა - ანუ ბუნებრივ მდგომარეობაზე დაბლა. ამ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრას, რომლის გზებსაც იგი თავის "საზოგადოებრივი ხელშეკრულებებში" ეძებს, შეუძლია ზნეობრივი სრულყოფის ფართო გზაზე ადამიანის გამოყვანა.

ახალი სოციალური სიტემის საფუძველი საზოგადოებრივი ხელშეკრულების ნამდვილი რეალიზება და განხორციელება უნდა გახდეს. "პირველადი შეთანხმება,-წერს რუსო - არა მხოლოდ არ სპობს ადამიანთა ბუნებრივ თანასწორობას, არამედ პირიქით ცვლის მას, როგორც პიროვნებების თანასწორობით კანონის წინაშე და ცვლის ყველა იმ უთანასწორობას,რომელიც მათ ფიზიკურ არსებაში ბუნებამ შეიტანა; და თუმცა ადამიანები შეიძლება არათანასწორნი იყვნენ ნიჭის, ან ძალის მხრივ, მაგრამ შეთანხმების შედეგად ისინი ყველა უფლებრივად თანასწორნი ხდებიან ".

საზოგადოებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე რუსო ჰქმნის მოძღვრებას ხალხის სუვერენიტეტის შესახებ. "მხოლოდ საერთო ნებას შეუძლია მართოს სახელმწიფოს ძალები მისი წარმოქმნის მიზნის შესატყვისად, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობაში მდგომარეობს". ყოველ ინდივიდს, როგორც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კერძო ნება-სურვილი, დაპირისპირებული, ან განსხვავებული საერთო ნება-სურვილებისაგან, რომელიც მას, როგორც



მოქალაქეს აქვს. ამ კერძო ინტერესმა შეიძლება მას სხვა რაიმე უკარნახოს, ვიდრე საერთო ინტერესმა.

ამ გარემოებამ შეიძლება ყველას ნებასა და საერთო ნებას შორის დიდ განსხვავებებთან მიგვიყვანოს. "საერთო ნება - წერს რუსო - იცავს მხოლოდ საერთო ინტერესებს; ყველას ნება კი კერძო ინტერესებს და მხოლოდ კერძო პირთა ნების განაცხადთა ჯამს წარმოადგენს. მაგრამ თუ ამ ნებათა გამოვლინებებიდან ურთიერთგამანადგურებელ და გამომრიცხველ უკიდურესობებს მოვიშორებთ, მაშინ დარჩენილ განსხვავებათა შეკრების შედეგად საერთო ნება-სურვილს მივიღებთ".

სუვერენიტეტი, რუსოს მიხედვით, ესაა საერთო ნების განხორციელება. აქედან სუვერენიტეტის ორი მნიშვნელოვანი თვისება - განუყოფლობა და გაუსხვისლობა გამომდინარეობს. "მე ვამტკიცებ, -წერს რუსო, -რომ სუვერენიტეტი, რომელიც არის საერთო საყოველთაო ნების მხოლოდ განხორციელება, არასდროს არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს და რომ სუვერენი, რომელიც სხვა არაფერია თი არა კოლექტიური არსება, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ თავისი თავით. გადაცემა შესაძლებელია ძალაუფლების წყლისუფლების, მაგრამ ნების არავითარ შემთხვევაში". სუვერენიტეტის გაუსხვისებლობას რუსო მმართველობის წარმომადგენლობითი ფორმის უარყოფასთან მიყავს. სუვერენიტეტი განსაკუთრებით საყოველთაო და საერთო ნებაში მდგომარეობს, რომელიც შეუძლებელია წარმოდგენილი იქნეს ვინმეს მიერ. დეპუტატები არ შეიძლება ხალხის წარმომადგენლები იყვნენ, ისინი მხოლოდ მათი კომისრები არიან, რომელთაც არაფრის დადგენა არ შეუძლიათ სავსებით და საბოლოოდ". ყოველი კანონი, თუ იგი უშუალოდ თავით ხალხმა არ დაამტკიცა, არაა ნამდვილი. იგი სრულებითაც არ არის კანონი".

"საზოგადოებრივ ხელშეკრულებაშიც" სუვერენიტეტის განუყოფლობის პრინციპს ასეთივე კატეგორიულობით ამტკიცებს. "იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც სუვერენიტეტი გაუსხვისებადია, იგი განუყოფელიცაა, ვინაიდან ნება-სურვილი, ან საერთო და საყოველთაოა, ან არ არის ასეთი. იგი, ან ხალხის, როგორც მთელის ნებას, ან მხოლოდ მისი ნაწილის ნებას წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში ეს გაცხადებული ნება არის სუვერენიტეტის აქტი და ქმნის კანონს, მეორე შემთხვევაში ესაა მხოლოდ კერძო ნება, ან მაგისტრატურის აქტი; ყველაზე დიდი რაც მას შეუძლია მოგვცეს ესაა დეკრეტი. რუსო ძალაუფლების განაწილების თეორიის მომხრეთა სასტიკი წინააღმდეგია, რამეთუ მის ეპოქაში ეს თეორია ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ფენებს შორის კომპრომისის გამოხატულება იყო. რუსო კი როგორც სახალხო მმართველობის თანმიმდევრული მომხრე უარყოფდა ყოველგვარ კომპრომისებს. ძალაუფლების განაწილება მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ფანტასტიკური არსება, რომელიც აგებულია სხვადასხვა ადგილებიდან აღებული ნაწილებისაგან, რომელთაც სინამდვილეში არაფერი საერთო არ აკავშირებთ.

სუვერენიტეტი ვლინდება კანონების გამოცემაში. "სუვერენს აქვს მხოლოდ საკანონმდებლო ძალაუფლება". წერს იგი. კანონის განსაზღვრებაში იგი უწინარეს ყოვლისა ხაზს უსვამს იმას, რომ კანონი არის საყოველთაო ნების ნაყოფი. "ბრძანებები, გამოცემული ერთი ადამიანის მიერ, ვინც არ უნდა იყოს იგი - თავისი თავის სახელით არ არის კანონები". მაგრამ კანონის მხოლოდ გენეტიკური განსაზღვრება არ არის საკმარისი. "საერთო- საყოველთაო ნება, რათა იყოს ასეთი, საყოველთაო და საერთო უნდა იყოს, როგორც თავის ობიექტთან ისე თავის არსებასთან



მიმართებაში, იგი უნდა ყველასაგან ამოდოდეს,რათა მისაღები იყოს ყველასათვის, ის კარგავს თავის ბუნებრივ სამართლიანობას, როდესაც იგი მიმართულია რომელიმე განსაზღვრულ და ინდივიდუალურ ობიექტზე".

სახელმწიფოში საკანონმდებლო ხელისუფლების გვერდით უნდა არსებობდეს აღმასრულებელი ძალაუფლებაც. რუსო ამტკიცებს, რომ აღმასრულებელი ძალაუფლება არ შეიძლება მთელ საზოგადოებას, როგორც კანონმდებელს, ან სუვერენს ეკუთვნოდეს, რამეთუ ეს ძალაუფლება მხოლოდ კერძო აქტებში გამოიხატება, რომლებიც არ არიან კანონები და მამასადაძამე არ ეხებიან სუვერენის მოქმედების სფეროს, სუვერენისა,რომლის ყველა აქტი შეიძლება იყვეს მხოლოდ კანონები.

აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს მთავრობას,რომლის ქვეშაც რუსოს ", ქვეშევრდომებსა და სუვერენს შორის ურთიერთობისათვის დადგენილი, გამაშუალებელი-შუალედური ორგანიზმი ესმის, რომელსაც უფლებამოსილება აქვს მოიყვანოს კანონები შესრულების მდგომარეობაში, შეასრულოს და განახორციელოს კანონები და როგორც სამოქალაქო,ისე პოლიტიკურ თავისუფლებებს მხარი დაუჭიროს," რუსო ხაზს უსვამს იმას,რომ მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აგვერიოს სუვერენტან, მთავრობა სუვერენის ნების მხოლოდ და მხოლო აღმასრულებელია.

მთავრობა შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს ორგანიზებული: დემოკრატიულად, არისტოკრატიულად და მონარქიულად. სანამ ამ ფორმებს გავარკვევდეთ, მანამ საჭიროა რუსოს მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიის თავისებურებებზე გავეჩრდეთ. "საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში" იგი განასხვავებს სახელმწიფოს ორ ფორმას: რესპუბლიკას ე.ი. სახელმწიფოს, რომელიც კანონების მეშვეობით იმართება(იგულისხმება,რომ კანონი საყოველთაო ნების ნაყოფია) და დესპოტიას ე.ი. სახელმწიფოს მართულს დესპოტის მიერ,რომელიც თავის თავს კანონებზე მაღლა აყენებს. ამასთანავე აღნიშნულია, რომ დესპოტია ესაა გადაგვარებული სახელმწიფო. რაც შეეხება ტერმინებს "დემოკრატია", "არისტოკრატია" და "მონარქია", მას რუსო თავის "საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში" იყენებს არა მმართველობის ფორმების, არამედ მთავრობის ორგანიზაციის დასახასიათებლად. დემოკრატიული მთავრობა ყველა მოქალაქისაგან, არისტოკრატიული მოქალაქეთა მცირე რაოდენობისაგან, მონარქიული კი ერთი ადამიანისაგან შედგება.

იყენებს რა "დემოკრატიის" ცნებას ამ ვიწრო მნიშვნელობით, რუსო დემოკრატიული მთავრობის კატეგორიული წინააღმდეგია. იგი შენიშნავს, რომ სახელმწიფოში, რომელსაც ასეთი მთავრობა ჰყავს სუვერენი და მთავრობა არ არიან ერთმანეთისაგან გაყოფილი. ასეთ სახელმწიფოს, ამტკიცებს იგი, ფაქტიურად არც ჰყავს მთავრობა. "თუ ამ ტერმინს ავიღებთ მისი ზუსტი მნიშვნელობით - აგრძელებს რუსო - მაშინ არასდროს არსებულა ნამდვილი დემოკრატია და არასდროსაც ასეთი არც იქნება". ამის დასასაბუთებლად იგი მოიხმობს მრავალ მაგალითსა და სიძნელეს, რომელიც დაკავშირებულია თვით ყველაზე წვრილმანი საქმეების გადაწყვეტასთან,როდესაც იგი წყდება მოქალაქეთა საერთო შეკრებაზე.

რაც შეეხება არისტოკრატიულსა და მონარქიულ მთავრობებს, აქ საუკეთესო არჩევანი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. ერთ სახელმწიფოს პირველი სხვას - მეორე ფორმა შეეფერება, მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი: მთავრობა უმრავლესობის ინტერესთა გათვალისწინებით და არა საკუთარი ინტერესებით უნდა მოქმედებდეს. პრინციპში ეს



ადვილად მიიღწევა არისტოკრატიაში. მთავრობის მონარქიული ფორმისას კერძო ნება ბატონობს ყველა დანარჩენ ნებაზე და ამგვარად ძალიან დიდია იმის შესაძლებლობა, რომ რესპუბლიკა დესპოტიად იქცეს.

რუსო დაწვრილებით განიხილავს სახალხო სუვერენიტეტის განხორციელების საშუალებების შესახებ საკითხს. არ არის საკმარისი მისი აზრით, ის, რომ შეკრებილმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ დაადგინოს სახელმწიფოებრივი წყობა, სანქცია დაადოს კანონთა კრებულს. ასევე არაა საკმარისი, რომ მან დაადგინოს მუდმივი მთავრობა, ან ერთხელ და სამუდამოდ აირჩიოს თანამდებობის პირები. გარდა საგანგებო თავყრილობებისა, რომლებიც შეიძლება გაუთვალისწინებელი შემთხვევებით იქნას გამოწვეული, აუცილებელია აგრეთვე, რათა პერიოდული თავყრილობებიც არსებობდეს.

როგორც კი ხალხი, როგორც სუვერენული ორგანო შეიკრიბება, მთავრობის ყოველგვარი იურისდიქცია წყდება. მთავრობის მხრიდან სუვერენული ძალაუფლების უზურპაციის თავიდან აცილების მიზნით სახალხო ყრილობა იწყება ორი საკითხის განხილვითა და მათზე კენჭისყრით: "ნებავს თუ არა სუვერენს მთავრობის არსებული ფორმა შეინარჩუნოს" და "ნებავს თუ არა ხალხს მმართველობა დაუტოვოს მათ, რომელსაც ახლა აქვთ იგი დაკისრებული?"

მოქალაქეთა ყრილობისათვის "სახელმწიფოში არ არსებობს არავითარი ძირითადი კანონი, რომლის გაუქმებაც შეუძლებელი იქნებოდა, თვით საზოგადოებრივი შეთანხმებაც კი არაა გამორიცხული". "იმ მომენტში, როდესაც მთავრობამ მოახდინა სუვერენიტეტის უზურპაცია, საზოგადოებრივი შეთანხმება დარღვეულია და ყველა უბრალო მოქალაქე, რომელთაც უფლება აქვთ თავიანთ ბუნებრივ თავისუფლებას დაუბრუნდენ, იძულებულნი და არა მოვალენი არიან დაემორჩილონ მას".

რუსოს საზოგადოებრივი იდეოლოგია ეგალიტარიზმია. მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ქონების ცნობილი თანასწორობა, შესაძლებელია საყოველთაო და საერთო ნების წარმოქმნა-ჩამოყალიბება. თავისუფლება შეუძლებელია არსებობდეს თანასწორობის გარეშე, ხაზს უსვამს მოაზროვნე, ამიტომ "არცერთი მოქალაქე არ უნდა ფლობდეს იმდენ შეძლებას, რომ შეეძლოს მეორეს ყიდვა და არცერთი არ უნდა იყოს - იმდენად ღარიბი, რომ იძულებული იყოს გაყიდოს საკუთარი თავი: ეს მდიდრებისა და დიდებულების ქონებისა და გავლენის სიდიდის შეზღუდვას გულისხმობს". რუსო არ ფიქრობს, რომ ქონების შეზღუდვის ასეთი კანონი ყველა ქვეყნისათვის გამოსადეგი იქნება, რამდენადაც მისი აზრით, კანონები ადგილობრივი პირობებისა და მცხოვრებლების თავისებურებების გათვალისწინებით სახეს უნდა იცვლიდნენ. არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს რუსოს იდეამ, იმის შესახებ, რომ თავისუფლების განხორციელებისათვის არაა საკმარისი მხოლოდ პოლიტიკური თანასწორობა; რამაც შემდეგ დიდი გავლენა იქონია, როგორც სოციალ-პოლიტიკურ აზრის შემდგომ განვითარებაზე, ისე საფუძვლად დაედო პრაქტიკულ სახელმწიფოებრივ საქმიანობას, უწინარეს ყოვლისა კანონმდებლობის სფეროში.

ამგვარად, რუსოც აგრძელებს "რობინზონიადის" ტრადიციას საზოგადოებათმცოდნეობაში, რომლის ამოსავალია იზოლირებული ინდივიდი. რუსოს თანახმად ადამიანი ბუნებრივ მდგომარეობაში ჰარმონიულ დამოკიდებულებაშია ბუნებასთან. აქ ადამიანს არ სჭირდება არც მყარი საზოგადოებრივი კავშირ-ურთიერთობები, არც შრომა, არც გონება და არც მორალი. მაგრამ მას ასევე ახასიათებს თანაგრძნობა და თვით შენახვისაკენ მისწრაფება. ამიტომ



განსხვავებით ჰობსისაგან რუსო "ომს ყველა ყველას წინააღმდეგ" არ თვლის ბუნებრივ მდგომარეობად. მოსახლეობის ზრდა და გეოგრაფიული მიზეზები იწვევს ადამიანთა უნარების განვითარებას, თანამშრომლობისა და მეტოქეობის წარმოშობას. ახალი უნარების წარმოშობა ხელს უწყობენ ახალი მოთხოვნებისა და პირიქით წარმოშობას, "სხეულის ბუნებრივი მოთხოვნილებების" გვერდით "სულის ხელოვნური მოთხოვნილებების" განვითარებას. ბუნებრივი ანთროპოლოგიური უთანასწორობის პოლიტიკური ე.ი. საზოგადოებრივი უთანასწორობით შეცვლაში გადამწყვეტი როლი კერძო საკუთრების დადგენამ ითამაშა. კერძო საკუთრების არსებობის პირობებში ადამიანთა ნიჭისა და უნარების უთანასწორობას მიეყვარათ საკუთრებით უთანასწორობასთან, რომელიც შემდეგ თვით ახდენს განმსაზღვრულ ზემოქმედებას საზოგადოებაში უთანასწორობის ზრდაზე. მქონებელთა და უქონელთა მუდმივი შეტაკებანი ძირითად მქონებელთა და მესაკუთრეთა შორის სამოქალაქო მშვიდობის - ზავის მოთხოვნილებას იწვევს, რასაც საზოგადოებრივი ხელშეკრულების დადება უზრუნველყოფს კიდევ. ბუნებრივ მდგომარეობაზე დაბრუნება უკვე შეუძლებელია. უთანასწორობის განვითარება გადის სამ ეტაპს: სიმდიდრისა და სიღარიბის, ძღვევამოსილებისა და უმწიფობის, ბატონობისა და მონობის, დადგენისა და დაკანონების ეტაპებს. ეს კი უკვე არის უთანასწორობის უკანასკნელი საფეხური და ის ზღვარი, რომელთანაც ბოლოს და ბოლოს მიეყვარათ უთანასწორობის ყველა დანარჩენ საფეხურს მანამ, სანამ ახალი გადატრიალებანი საბოლოოდ არ გაანადგურებენ ხელისუფლებას, ან და არ დაახლოვებენ მას კანონიერ დადგენილებებს, საზოგადოდ კანონიერებასა და სამართალს . ამგვარ კანონიერ დადგენილებას მხედველობაში მუდამ აქვს ორი მომენტი: თავისუფლება, როგორც ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი განსაზღვრების გაუსხვისებადობა. სახალხო სუვერენიტეტის გაუუცხოებლობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული ჩვენთაგანი საერთო ნებაში გადასცემს და საერთო ნების უზენაესი ხელმძღვანელობის ქვეშ აყენებს თავის პიროვნებას და მთელი თავის ძალების შედეგადაც თითოეული ჩვენთაგანი მთელის განუყოფელ ნაწილად იქცევა. საზოგადოებრივი ხელშეკრულების მიხედვით ადამიანი კარგავს თავის ბუნებრივ თავისუფლებას და შეუზღუდველ უფლებას იმაზე, რაც მას ხიბლავს, იზიდავს და რისი დაუფლება მას ძალუძს. სანაცვლოდ კი იძენს სამოქალაქო თავისუფლებას და ყველაფერ იმაზე საკუთრების უფლებას, რასაც ფლობს. საერთო ნება არ არის ყველას ნების იგივეობრივი: ხალხს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზმსა და სუვერენს შეიძლება სხვა ინტერესები ჰქონდეს, ვინემ ცალკეული ადამიანების ინტერესთა ერთობლიობას, ამგვარად, ყოველგვარ პოლიტიკურ ძალაუფლებას კანონიერი ძალა მხოლოდ რაღაც "პირველადი, თავდაპირველი შეთანხმების" წყალობით აქვს. ყოველი მმართველი მხოლოდ ხალხის მიერ არის უფლებამოსილი და ნდობით აღჭურვილი - მემკვიდრეობა, ესაა ხელისუფლებიანობა. მმართველობის ყველაზე გადაგვარებული და მახინჯი ფორმების შეცვლა ხალხის, როგორც სუვერენის კომპეტენციაა, რომელიც დროის ყოველ მომენტში უფლებამოსილია უარი თქვას ნებისმიერ საკანონმდებლო გადაწყვეტილებებზე და მიიღოს ახალი პოლიტიკური ორგანიზმი.

რუსოს იდეალია - პატარა სახელმწიფო, რომლის მცხოვრებნი უშუალოდ ავლენენ საკუთარი ნებას და უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით მმართველობის ულებამოსილებების კონტროლი ძალუძს, იგი ქონებრივ თანასწორობას მოითხოვს. ასეთი დემოკრატიული წყობა შეუძლებელია. რუსო უფრო არისტოკრატიისაკენ იხრება. სწორედ ის წყობა იქნება ყველაზე



უკეთესი და ყველაზე ბუნებრივი, როდესაც ბრძენნი მართავენ უმრავლესობას. ისინი მართავენ არა საკუთარი ინტერესების, არამედ მთელი მოქალაქეების ინტერესების სასარგებლოდ.

III. ჟან-ჟაკ რუსო სოციალური შეხედულებები (მოკლე შინაარსი)

1. ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მიიღო დიჟონის აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, თემაზე: "ხელი შეუწყო თუ არა ხელოვნებისა და მეცნიერების აღორძინებამ ზნეობრივ გაწმენდას?" – ისინი ეწინააღმდეგებიან ადამიანის ბუნებას.

2. რუსოსთვის "ბუნებრივი ადამიანი" – ესაა იზოლირებული ადამიანი, რომელიც საზოგადოების გარეშე ცხოვრობს. – არ ესაჭიროებათ დახმარება, არც ცოდნა და შემეცნება, მხოლოდ "ინსტიქტი".

3. ბუნებრივ მდგომარეობაში – უთანასწორობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ვინაიდან ისინი არაფერს არ ფლობენ, არც შეუძლიათ სხვისი დამორჩილება. ძლიერს არ უღირს სუსტის ექსპლოატაცია, ვინაიდან ეს უფრო მეტი უჯდება, ვიდრე მორჩილს შეუძლია მას მისცეს.

4. აი, როდესაც ადამიანმა შეიძინა უნარი დაენახა საერთო ინტერესები და მის საფუძველზე ჰქონოდა მისივე მსგავსი ადამიანებისაგან დახმარების იმედი – იგი ერთიანდება თავისუფალ სიტუაციაში, რომელიც არსებობს მანამ, სანამ ეს მოკლევადიანი მოთხოვნილება არსებობს. აქ ადგილი არ აქვს ვალდებულებას, მოვალეობას. ერთობლივი ცხოვრების ჩასახულმა ჩვევამ წარმოქმნა ოჯახი. თანდათანობით ყალიბდება საზოგადოებაც.

5. სანამ ადამიანები მისდევდნენ ისეთ შრომას, რომელიც არ აღემატებოდა ერთი ადამიანის ძალას, ან ისეთ სარეწებს, რომლებსაც მრავალი ხელი სჭირდებოდა, მანამ ისინი ცხოვრობდნენ თავისუფლად – ანუ თავისი ბუნების მიხედვით.

6. მისთვის მიუღებელია მხოლოდ ისეთი ხელოვნება და ცოდნა, რომლებმაც დაანგრეს აღწერილი საზოგადოებრივი წყობა, რის შედეგადაც "გაქრა თანასწორობა, გაჩნდა საკუთრება, შრომა აუცილებლობად იქცა რასაც მონობა და სიღარიბე მოჰყვა.

7. ბუნებრივი მდგომარეობიდან გამოსვლა აღნიშნა იმით, რომ ადამიანებს შორის ფიზიკური თუ ბუნებრივი უთანასწორობის გვერდით გამოვლინდა **პოლიტიკური უთანასწორობაც**.

8 უთანასწორობის წარმოქმნის პირველი ეტაპი იყო საკუთრების გაჩენა. პირველი, ვინც შემოიღო მიწის ნაკვეთი და განაცხადა გულუბრყვილების წინაშე "ეს ჩემია", იყო სამოქალაქო საზოგადოების დამფუძნებელი. **დედამიწის ნაყოფი ყველასია, ხოლო თვითონ არავისია**. საკუთრების გაჩენა უკვე ზრდის ბუნებრივი უთანასწორობის მნიშვნელობას და წარმოიშვება უთანასწორობის ახალი ფორმა – **მდიდრებად და ღარიბებად** დაყოფა. ამან გამოიწვია ხალხის შიგნით დაპირისპირება, შეტაკებანი, ასეთი მდგომარეობიდან გამოსასვლელად მდიდრებმა



შეადგინეს ყველაზე მზაკვრული გეგმა, რითაც მან თავისი მოწინააღმდეგენი საკუთარ დამცველებად აქცია. მდიდარმა შესთავაზა ხალხს შეექმნათ სასამართლო წესები, დაეწესებინათ ხელისუფლება, რომელიც მხარს დაუჭერდა საერთო შეთანხმებას. მათ დაიჯერეს, რომ ამით უზრუნველყოფდნენ თავისუფლებას. შეთანხმების შედეგი კი საპირისპირო აღმოჩნდა, საზოგადოებამ და კანონმა სუსტებს ახალი ბორკილები დაადო და ახალი ძალები შესძინეს მდიდრებს, ამით განადგურდა ბუნებრივი თავისუფლება და სამუდამოდ დადგინდა საკუთრებისა და უთანასწორობის კანონი. უთანასწორობის განვითარება სამ ეტაპს მოიცავს:

1. სიმდიდრის და სიღარიბის,
2. ძლევამოსილებისა და უმწეობის,
3. ბატონობისა და მონობის.

9. კანონებისა და სასამართლოების გაჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სახელმწიფოს წარმოქმნას. ახალდაბადებულ მმართველობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მუდმივი და რეგულარული ფორმები, მაგრამ განუწყვეტელმა უწესრიგობებმა ეს ჩემია, ეს შენი არ არის, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ადამიანებს გაუჩნდათ აზრი – "მიენდოთ ცალკეული ადამიანებისათვის საშიში ნივთი – საჯარო ხელისუფლება და დაევალებინათ მათთვის ზედამხედველობა გაეწიათ ხალხის გადაწყვეტილებების შესრულებაზე". საჯარო ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა უთანასწორობა – წარმოიშვნენ ძლევამოსილი და დაუცველი – მიუსაფარი ადამიანები, რომელთა შორის დაპირისპირებანი ხელს უწყობს **დესპოტიზმის** გაჩენას, როცა ფაქტობრივად ცალკეული ადამიანები თანასწორნი არიან იმიტომ, რომ არარაობანი არიან.

10. კერძო საკუთრება, რუსოს მიხედვით, კი არის სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზი, მაგრამ კლასობრიობისგან ძალიან შორსაა, რადგან მას სახელმწიფო საერთო სიკეთის – კეთილდღეობის განხორციელების იარაღად მიაჩნია.

11. "საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში" რუსომ ამოცანად დაისახა "ეპოვა ასოციაციის ისეთი ფორმა, რომელიც მთელი თავისი საერთო ძალებით იცავს და იფარავს პიროვნებას და ასოციაციის ყოველი წევრის ქონებას, და რომლის წყალობითაც თითოეული პიროვნება სხვებთან გაერთიანებისას, ექვემდებარება მხოლოდ საკუთარ თავს და იმდენადვე თავისუფალი რჩება, როგორც ადრე იყო".

12. მმართველობის დაფუძნება ძალაზე არ შეიძლება. ძალას არ შეუძლია შექმნას სამართალი, ხოლო ადამიანი კი ვალდებულია დაემორჩილოს მხოლოდ კანონიერ ხელისუფლებას. მუდამ იქნება დიდი განსხვავება ბრბოს დამორჩილებასა და საზოგადოების მართვას შორის. ბატონი და მონა – ხალხი და მისი მეთაური.

– რუსო ამტკიცებს, რომ "ყოველგვარი კანონიერი ხელისუფლების საფუძველი მხოლოდ შეთანხმება შეიძლება იყოს". ასეთი შეთანხმება აუცილებლობით იდება ადამიანებს შორის ბუნებრივი მდგომარეობიდან გამოსვლისას.



– ადამიანებს შორის დადებული შეთანხმება არ არის შეთანხმება მთავრობის არჩევის შესახებ. ანუ უნდა განვიხილოთ ის აქტი, რომლის ძალითაც ხალხი ხალხად ყალიბდება, ვინაიდან ეს აქტი საზოგადოების ჭეშმარიტი საფუძველია.

– როგორია ამ აქტის შინაარსი? არსებითად იგი ერთ პირობაზე დაიყვანება, ესაა "ასოციაციის ყველა წევრის მიერ საკუთარ უფლებებზე უარის თქმა მთელი თემის სასარგებლოდ".

– უფლებათა ეს გაცემა – გაუცხოება უნდა იყოს სრული, არავის არ უნდა დარჩეს რაიმე უფლება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქცეოდა თავისი თავის მსაჯულად და სხვებზეც გაცხადებდა პრეტენზიას.

– საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად ხელშეკრულების დამდები პირები იქცევიან ერთიან საზოგადოებრივ პირად. "ასოციაციის ეს აქტი ყოველი ხელშეკრულებაში მონაწილე ცალკეული პიროვნების ნაცვლად, დაუყოვნებლივ ქმნის მორალურ და კოლექტიურ მთელს" – ამ საზოგადოებრივ პირს ადრინდელ პერიოდებში უწოდებდნენ **სამოქალაქო საზოგადოებას, თემს**, ახლა კი იწოდება **რესპუბლიკად**, ან **პოლიტიკურ სხეულად**, ხოლო თავისი წევრების, ქვეშევრდომების მიერ იწოდება **სახელმწიფოდ**, როდესაც იგი პასიურია, და სუვერენად, როდესაც იგი აქტიურია, ხოლო ქვეყანად, სამეფოდ", როდესაც მას მის მსგავს გაერთიანებებს ადარებენ. მონაწილეები კოლექტიურად იღებენ ხალხის სახელს, ხოლო ცალ-ცალკე იწოდებიან მოქალაქეებად – როგორც სუვერენული ძალაუფლების მონაწილენი და **ქვეშევრდომებად** – როგორც სახელმწიფოს კანონებისადმი დაქვემდებარებულნი".

– ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილ ახალ მდგომარეობას, რუსო **სამოქალაქო მდგომარეობას** უწოდებს და მას ძალიან დიდ შეფასებას აძლევს.

– ადამიანი გამუდმებით უნდა ადიდებდეს იმ წამს, რომელმაც სამუდამოდ გამოიყვანა იქიდან(ბუნებრივი მდომარეობიდან) და რომელმაც გონებაჩლუნგი და შეზღუდული ცხოვრებისაგან შექმნა გონიერი არსება – ადამიანი. მხოლოდ ბოროტმოქმედებს დაყავს ადამიანი იმაზე დაბალ დონემდე, საიდანაც იგი გამოვიდა – ანუ ბუნებრივ მდგომარეობაზე დაბლა. ამ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრას, რომლის გზებსაც იგი ეძებს თავის "საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში" შეუძლია ადამიანის გამოყვანა ზნეობრივი სრულყოფის ფართო გზაზე.

– ახალი სოციალური სისტემის საფუძველი უნდა გახდეს საზოგადოებრივი ხელშეკრულების ნამდვილი რეალიზება და განხორციელება. "პირველადი შეთანხმება არა მხოლოდ არ სპობს ადამიანთა ბუნებრივ თანასწორობას, არამედ პირიქით, ცვლის მას როგორც პიროვნების თანასწორობით კანონის წინაშე, და ცვლის ყველა იმ უთანასწორობას, რომელიც ბუნებამ შეიტანა მის ფიზიკურ არსებაში, ადამიანები შეიძლება იყვნენ არათანასწორნი ნიჭის, ან ძალის მხრივ, მაგრამ ყველა ისინი უფლებრივად თანასწორნი ხდებიან შეთანხმების შედეგად".

13. ხალხის სუვერენიტეტი: "მხოლოდ საერთო ნებას შეუძლია მართოს სახელმწიფოს ძალები მისი წარმოქმნის მიზნის შესატყვისად, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობაში მდგომარეობს".

საერთო ნება არ უდრის ყველას ნებას, რამეთუ იგი კერძო ინტერესებს წარმოადგენს.

– სუვერენიტეტი ეს საერთო ნების განხორციელებაა. აქედან გამომდინარეობს სუვერენიტეტის ორი თვისება – ესაა **განუყოფლობა და გაუსხვისებლობა**. გადაცემა შეიძლება ძალაუფლების, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნებისა".



- ამას იგი მმართველობის წარმომადგენლობითი ფორმის უარყოფასთან მიყავს. დეპუტატები – კომისრებია.
- ყოველი კანონი, თუ იგი უშუალოდ თვით ხალხმა არ დაამტკიცა, არაა ნამდვილი. იგი სრულებითაც არ არის კანონი".
- ძალაუფლების განაწილების მოწინააღმდეგეა.
- სუვერენიტეტი ვლინდება კანონების გამოცემაში "მხოლოდ სუვერენს აქვს საკანონმდებლო ძალაუფლება". კანონი კი საყოველთაო ნების ნაყოფია. იგი ყველასაგან უნდა ამოდიოდეს.
- მთავრობა არაა სუვერენი, მთავრობა სუვერენის (ხალხის) ნების მხოლოდ და მხოლოდ აღმასრულებელია.
- რესპუბლიკა და დესპოტია – ანუ გადაგვარებული სახელმწიფო.

14. გარდა საგანგებო თავყრილობებისა, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იქნას გაუთვალისწინებელი შემთხვევებით, აუცილებელია არსებობდეს პერიოდული თავყრილობებიც.

- როგორც კი ხალხი შეიკრიბება როგორც სუვერენული ორგანო, მთავრობის ყოველგვარი იურისდიქცია წყდება. მთავრობის მხრიდან სუვერენული ძალაუფლების უზურპაციის თავიდან აცილების მიზნით სახალხო ყრილობა იწყება ორი საკითხის განხილვით და მასზე კენჭის ყრით:

1. ნებავს თუ არა სუვერენს შეინარჩუნოს მთავრობის არჩეული ფორმა? და
2. ნებავს თუ არა ხალხს მმართველობა დაუტოვოს მათ, რომელთაც ახლა აქვს იგი დაკისრებული?

მოქალაქეთა ყრილობისათვის "სახელმწიფოში არ არსებობს არავითარი ძირითადი კანონი, რომლის გაუქმებაც შეუძლებელი იქნებოდა თვით საზოგადოებრივი შეთანხმებითაც კი არაა გამორიცხული".

- იმ მომენტში, როდესაც მთავრობამ მოახდინა სუვერენიტეტის უზურპაცია, საზოგადოებრივი შეთანხმება დარღვეულია და ყველა უბრალო მოქალაქენი, რომელთაც უფლება აქვთ დაუბრუნდნენ თავის ბუნებრივ თავისუფლებას იძულებულნი და არა მოვალენი არიან დაემორჩილონ მას".

15. რუსოს საზოგადოებრივი იდეალი ეგალიტარიზმია.

- მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ქონების ცნობილი თანასწორობა, შესაძლებელია საყოველთაო და საერთო ნების წარმოქმნა-ჩამოყალიბება. თავისუფლება შეუძლებელია არსებობდეს თანასწორობის გარეშე. ამიტომ "არჩეული მოქალაქე არ უნდა ფლობდეს იმდენ შეძლებას, რომ შეეძლოს მეორეს ყიდვა, და არცერთი არ უნდა იყოს – იმდენად ღარიბი, რომ იძულებული იყოს გაყიდოს საკუთარი თავი. ეს გულისხმობს მდიდრებისა და დიდებულების ქონების და სიდიდისა და გავლენის შეზღუდვას.



შარლ – ლუი მონტესკიე.სოციოლოგიური შეხედულებები.(სრული ვარიანტი)

შესავალი.

1. შარლ-ლუი მონტესკიე _ მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი.
2. მონტესკიეს სოციოლოგიური შეხედულებები: საზოგადოებისა და მისი კანონების შესახებ.
3. მონტესკიეს გეოგრაფიზმი.
4. ეკონომიკა საზოგადოების ცხოვრებაში.
5. მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე.
6. ომი და სამხედრო ხელოვნება.
7. საზოგადოება და ოჯახი.
8. აღზრდისა და მორალის პრობლემები.

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:

სპარსული წერილები, „განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის შესახებ“, გეოგრაფიული დეტერმინიზმი, „კანონთა გონი“, ფაქტორული თეორია, განმანათლებლობა, ხელისუფლების განაწილების თეორია, ფატალიზმი, დესპოტიზმი, ადამიანი და ოთხი ბუნებრივი კანონი.

შესავალი.

შარლ - ლუი მონტესკიე (1689-1755) _ გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე, ენციკლოპედიური გონების პატრონი. ისტორიაში აღორძინების ეპოქის მთავარ მოაზროვნეებს გონების სიძლიერის გამო ეპოქის ტიტანებს უწოდებდნენ. ასეთივე ტიტანად შეიძლება ჩაითვალოს მონტესკიეც. საფრანგეთის რევოლუციამდე საუკუნით ადრე დაბადებულმა, შეიძლება ითქვას, ბევრი რამ გააკეთა მისი იდეური შემზადებისათვის. შემთხვევითი არაა, რომ მარატისა და რობესპიერის თაოსნობით, ჟირონდისტებიც და იაკობინელებიც ერთნაირი მოწიწებით მიმართავდნენ მონტესკიეს. მონტესკიესა და მისი მომხრეების მისამართით იტყვის რობესპიერი _ რევოლუციას მათ უნდა ვუმაღლოდეთო. უდავოა მონტესკიეს ძლიერი გავლენა ეპოქის ფრანგ ენციკლოპედისტებზე, როგორებიცაა ჰელვეციუსი, დიდრო, ჰოლბახი, ასევე, XVIII საუკუნის სოციოლოგებზე - სოციალურ მოაზროვნეებზე, ტიურგოსა და კონდორსეზე, განსაკუთრებით ბარნავზე. ისენი თუმც აკრიტიკებდნენ „სპარსულ წერილებს“ და „კანონთა გონს“, მაგრამ იძულებული იყვნენ ავტორის უზარმაზარი პროგრესული როლი ეღიარებინათ.

თანამედროვე საფრანგეთში მონტესკიეს აფასებენ პრეზიდენტის პიროვნული ძალაუფლების წინააღმდეგ გამოსაყენებელი არგუმენტების წინასწარ მომზადების გამო. ნეოთომისტებიც და ათეისტებიც ერთნაირად იყენებენ მონტესკიეს შემოქმედებას. ნეოთომისტთა ლიდერი მარიტენი „დემონის შვილად“ მოიხსენიებდა მონტესკიეს, მიაჩნდა რომ მისი ცოდვები დღესაც



აწუხებს საფრანგეთს. მონტესკიესთან პოლემიკა გამართა გაბრიელ მარსელმა, ფილოსოფოსმა, ესთეტიკოსმა და დრამატურგმა, ფრანგული ექსისტენციალიზმის წარმომადგენელმა – ის ვერ იტანდა მონტესკიეს მისი გონების კულტისა და ძლიერი ოპტიმიზმის გამო, ადამიანის ძალისა და უნარისადმი რწმენის გამო.

მონტესკიესთან ღია თუ ფარული პოლემიკის ავტორები იძულებული არიან აღიარონ მისი უზარმაზარი ერუდიცია ფილოსოფიისა და სოციოლოგიის საკითხებში, ისტორიასა და სამართლის მეცნიერებაში. მონტესკიეს ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია გამოკვლევებს ბუნებათმეცნიერებების სფეროში – სიმძიმის, ზღვის მოქცევის, მოძრაობის ფარდობითობის და სხვა საკითხებში. ბუნებათმეცნიერებების სფეროში შექმნილ ნაშრომებში არ კეთდება რაიმე დიდი აღმოჩენები ფიზიკის, მექანიკის თუ მათემატიკის კუთხით, მაგრამ ნათლად ავლენს ავტორის გონებრივი ჰორიზონტის გაშლილობასა და სიღრმეს, რაც მუდმივად თან სდევს მის ფილოსოფიურ_სოციოლოგიურ განაზრებებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მონტესკიემ, როგორც ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა, როგორც მწერალმა ღრმა კვალი დატოვა პროგრესული აზრის ისტორიაში.

ჩვენ მონტესკიეს მხოლოდ სოციოლოგიური შეხედულებებით შემოვიფარგლებით, მის ამოწურვაზე ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე. ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ, რომ მისი ნაშრომებიდან მხოლოდ რამდენიმეს მოვიხსენიებთ და დავეყრდნობით. მხედველობაში გვაქვს „სპარსული წერილები“, „კანონთა გონი“, „განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის მიზეზებზე“.

შარლ-ლუი მონტესკიე დაიბადა საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, ჟირონდის დეპარტამენტის მთავარ ქალაქ ბრედაში (ბორდოს მახლობლად) 1689 წლის 18 იანვარს. მამა, ცნობილი ფეოდალური გვარის წარმომადგენელი და ღრმად დარწმუნებული, რომ გლეხების ხელმძღვანელობა მისი ღვთიური დავალებაა. მონტესკიეთა საგვარეულოში გაბატონებულია პატრიარქალური ზნეობა. შემონახულია სალოცავი წიგნი გლეხის ქალის წარწერით, რომელიც მან გააკეთა შარლ მონტესკიეს ნათლობაზე: „დღეს მონათლეს ჩვენი სენიორის ვაჟიშვილი; ნათლიად აირჩიეს ერთი საწყალი ვინმე, შარლის სამრევლოდან, რათა მთელი სიცოცხლე ახსოვდეს, რომ ღარიბები მისი ძმებია. აკურთხოს ყოვლადკეთილმა უფალმა ეს ბავშვი“.

განცალკევებულ შუასაუკუნეობრივ სასახლეში გაატარა მომავალმა ფილოსოფოსმა ცხოვრების პირველი წლები. შარლი რვა წლისაც არ იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა; მონტესკიეს ზრდიდნენ კათოლიკური ეკლესიის ერთგულად; 1700_1711 წლებში ის სწავლობდა ჟულის სამონასტრო სკოლაში. აქ ის გაეცნო არა მხოლოდ შუასაუკუნეების სქოლასტიკოსთა შრომებს, ასევე ანტიკური ავტორების ნაწარმოებებს, რომლებმაც მასში სკეპტიკური ცნობიერების ელემენტები დატოვეს.

მიუხედავად საკუთარი პრივილირეგირებული წარმომავლობისა, მონტესკიემ ადრიდანვე დაიწყო უკმაყოფილების გამოხატვა სამეფო ძალაუფლების მიმართ. შეიძლება ეს იყო პროვინციელი თავადაზრაურობის ტრადიციული წინააღმდეგობა ცენტრალიზებული აბსოლუტური მონარქიისადმი. მონტესკიეთა გვარი ყოველთვის ოპოზიციაში ედგა სამეფო დინასტიას. შარლ მონტესკიეს ესმის, რომ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა სათავადაზნაურო პოზიციებიდან, რომელსაც აინტერესებს მხოლოდ სახელმწიფოებრივი წყობის დეცენტრალიზაცია და თავადაა აქვს ბევრად უფრო მეტი



პრეტენზიები. ბრძოლა უნდა აწარმოოს ფრანგი ხალხის მოწინავე ანუ მესამე ფენამ, არსებითად იმ ეპოქის საფრანგეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიამ, რომელიც იმ დროისათვის რევოლუციურ როლს ასრულებდა. როგორც განმანათლებელთა უმრავლესობა, მონტესკიეც ბურჟუაზიაში ადამიანთა მნიშვნელოვან წოდებრივ-სამართლებრივ ჯგუფს ხედავს, რომელსაც დამამცირებლად შეუსაბამო დაბალი ადგილი უკავია მონარქიულ საფრანგეთში. მიუხედავად ამ პოზიციისა, მონტესკიესთან არის მომენტები, როდესაც თავს იჩენს კომპრომისის იდეა თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის.

მონტესკიეს სოციალური მდგომარეობა ხელს უწყობს მის სწრაფ ადმინისტრაციულ კარიერას. ბიძამისს, მდიდარ არისტოკრატს ბორდოში უკავია პარლამენტის პრეზიდენტის მემკვიდრეობითი თანამდებობა. მონტესკიე ერთადერთი მემკვიდრე იყო და მიიღო ეს, უპირატესად სასამართლო ფუნქციებთან დაკავშირებული თანამდებობა. მონტესკიეს მეცნიერული საქმიანობა არასოდეს არ შეუწყვეტია, დიდ ყურადღებას უთმობს მეცნიერულ მოღვაწეობას და მალევე ბორდოს აკადემიის წევრად აირჩიეს. როგორც აკადემიის წევრი ის ფიზიკა-მათემატიკის სფეროში მოღვაწეობს, გეოლოგიური გამოკვლევებისა და ექსპედიციებისათვის გეგმებს.

1726 წელს მონტესკიე ტოვებს პარლამენტის პრეზიდენტის თანამდებობას და დროსა და ენერგიას მთლიანად სამეცნიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობას უთმობს. მკვეთრად კლებულობს მისი ინტერესები ბუნებათმეცნიერებების მიმართ და ძირითადად ფილოსოფიას, სოციოლოგიას, იურიდიულ მეცნიერებებს, ხელოვნებას და ლიტერატურას ეთმობა. რამდენიმე წელს მონტესკიე დაუთმობს მოგზაურობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. იტალიაში მოგზაურობისას აინტერესებს არა მხოლოდ ხელოვნების შედეგები, ასევე ფინანსური კანონმდებლობაც აინტერესებს. რომში მას შეხვედრები და საუბრები თვით რომის პაპთან, ბენედიქტ XII-სთან აქვს.

1728-1731 წლებში, მონტესკიე ცხოვრობს ლონდონში, აღფრთოვანებულია მისი კონსტიტუციით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხან განცალკევდება საგვარეულო სასახლეში და აწვდის საზღვარგარეთ მიღებულ შთაბეჭდილებებს, ხან მიემგზავრება პარიზს და სამშობლოს გამოჩენილ მოღვაწეებთან უშუალო ურთიერთობები აქვს.

მონტესკიე გარდაიცვალა 1755 წელს, 10 თებერვალს, პარიზში. მისი უზარმაზარი მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობა შესულია კაცობრიობის პროგრესული კულტურის საგანძურში. მათ შორის უმთავრესია: „სპარსული წერილები“ (1721), „განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის მიზეზების შესახებ“ (1734) და „კანონთა გონი“ (1748).

სპარსული წერილები – დაწერილია ხატოვნად, გაჯერებულია მშვენიერი სატირით, გასართობია და გონებახვილური – ნამდვილი მხატვრული შედეგია. „წერილები“ საშუალებას აძლევს მკითხველს გააკეთოს თეორიული და პრაქტიკული განზოგადებები, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული დასკვნები. ნაწარმოების სიუჟეტი ასეთია: სპარსელი მოგზაურობს ევროპაში, საფრანგეთში. აკვირდება და სწავლობს ადგილობრივ სინამდვილეს, ცხოვრებას, კანონებს. დესპოტური ქვეყნიდან ჩამოსულს აოცებს საფრანგეთში გამეფებული დესპოტური წყობა და ყველაფერში თვალსაყვამი დესპოტიზმი.

სპარსულ წერილებს კითხულობდნენ ყველგან დაწყებული მდიდრული სალონებიდან და დამთავრებული ქუჩებით. მესამე ფენისათვის ეს იყო სახელმძღვანელო, იდეური იარაღი ახალი



სინამდვილისათვის ბრძოლაში, ფეოდალური მორალისა და ტრადიციების წინააღმდეგ, მონარქიისა და მეფის წინააღმდეგ. თუმცა მონტესკიეს უფრო უნდოდა წარმოჩენილიყო როგორც ზომიერი რეფორმატორი, და არა დახვეწილი რევოლუციონერი. პარიზი ალბათ – წერს მონტესკიე – გრძნობებით ყველაზე დატვირთული, ემოციური ქალაქია დედამიწაზე, სადაც მხოლოდ ყოფნა უკვე დიდი სიამოვნებაა, მაგრამ, ამავე დროს, აქ ალბათ ცხოვრებაც ძნელია, რადგან ერთის განცხრომისათვის აუცილებელია სხვა ასი ადამიანის თავდადებული შრომა.

მონტესკიეს ეს იდეები ეხმაურება XVII საუკუნის გლეხური მოძრაობის ლოზუნგებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თვით მონტესკიე მის მიერ ფეოდალიზმის შეუწყვეტელი კრიტიკისაგან არავითარ დასკვნებს არ აკეთებს. სხვა განმანათლებლების მსგავსად, მონტესკიე არ ანიჭებს ხალხთა ფართო მასებს გადამწყვეტ როლს ისტორიაში, მეტიც, ამ, თემას იშვიათად ეხება. მისთვის საფრანგეთის ხსნა, მისი საუკეთესო პერსპექტივა არის ინგლისური ტიპის კონსტიტუციური მონარქია. თუმცა, მონტესკიეს შეხედულებების ამ ისტორიულმა გაპირობებულობამ, ვთქვათ, შეზღუდულობამ ხელი ვერ შეუშალა მას გამხდარიყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საფრანგეთისათვის ერთ-ერთი ძირითადი იდეური მებრძოლი.

„რა ღრმა აზრია – წერს მარატი – „სპარსული წერილების“ ერთ-ერთი თავის შესახებ, სადაც მონტესკიე, თითქოსდა სხვათაშორის ჩამოაყალიბებს იმ ძირეულ საწყისებს, რომლებზედაც უნდა აიგოს ამ სამყაროს არცთუ საიმედო კეთილდღეობა. მის მიერ გამოთქმული ჭეშმარიტეტები გაუგებარია უმეცრებისათვის, თანამედროვე ფილოსოფოსებს კი მივიწყებული აქვთ“.

„განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის შესახებ“. დიდი პროგრესული მნიშვნელობა ქონდა მონტესკიეს ამ ისტორიულ-ფილოსოფიურ ნაშრომს – ნაშრომში, რომის ისტორიის მაგალითზე, ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მხოლოდ იქ, სადაც მოქალაქეები დამოუკიდებელი და თავისუფალი არიან, სადაც გაბატონებულია რესპუბლიკური ზნეობა, საზოგადოება წარმატებით ვითარდება. საზოგადოება, რომლის მოქალაქენი უარს ამბობენ თავისუფალ აზროვნებაზე მიემართება მონობისაკენ. სახელმწიფო კარგავს ყველაფერს, კნინდება და საბოლოო ჯამში მარცხდება საშინაო და საგარეო მტრებთან ბრძოლაში. ამ ნაშრომიდან შესაძლებელია პირდაპირი დასკვნის გაკეთება: თუ ფრანგ ხალხს უყვარს სამშობლო, სამუდამოდ უნდა მოცილოს მეფის დესპოტიზმი, ფეოდალური ურთიერთობები. ასეთ დასკვნებს მონტესკიე პირდაპირ არ აკეთებს, მაგრამ ასე მსჯელობდა ყველა, ვინც ეს ნაშრომი წაიკითხა. ეს ნაშრომი საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ერთ-ერთი იდეური წყაროა.

„კანონთა გონი“ – მონტესკიეს მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობის მწვერვალია რომელზეც ის 20 წელი მუშაობდა. ამ ნაშრომში მთლიანადაა დალაგებული მონტესკიეს ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ხედვა, სამართლებრივი, ეკონომიკური და ისტორიული შეხედულებები. აქ მონტესკიე ადრინდელი ბურჟუაზიული განმანათლებლობის სულისკვეთებით ანალიზებს საზოგადოებასა და მის კანონზომიერებებს, მისდამი რელიგიურ მიდგომას, რაც დამახასიათებელი იყო ფეოდალური ეპოქისათვის, ააშკარეებს ფეოდალური ეპოქის მონარქიის არსს, რეაქციულ-დინასტიურ ომებს და ა.შ.

მეცნიერების მთელი შესაძლებლობებით ებრძვის მონტესკიე ძველ წესრიგს. რა თქმა უნდა ის ვერ შეედრება თავის თანამემამულე ვოლტერს ბრწყინვალეობითა და მჭერმეტყველებით,



განსხვავდება მისგან ზომიერებითა და კომპრომისებისადმი მიდრეკილებით, მაგრამ, ამავე დროს არაფერს უთმობს მას ფეოდალური წყობის წინააღმდეგ მიმართული ცოდნის ფუნდამენტურობაში, არგუმენტების წყობასა და ლოგიკურ დასკვნებში. მონტესკიე, ვოლტერთან ერთად შეიძლება ჩაითვალოს ფრანგული განმანათლებლობის მთავარ წარმომადგენლებად.

„კანონთა გონი“ არის ძალზე რთული სტრუქტურის მქონე სპეციფიკური ენციკლოპედია. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ავტორი ძალზე ქაოსურად გადაადის ერთი საგნიდან მეორეზე, ერთი მოვლენებიდან სხვა მოვლენებზე; ზოგჯერ, მკითხველისათვის მოულოდნელად, უბრუნდება წინა თავებში განხილულ პრობლემებს. გადმოცემის ეს სპეციფიკური მანერა რამდენადმე აძნელებს კითხვას და აზრის თანმიმდევრულობის დაჭერას. მასალის რამდენადმე დაფანტულობა სულაც არ ნიშნავს ავტორის უნიჭობას თანმიმდევრულად და მკაცრად დაალაგოს თავისი პოზიცია. აქ სხვა მიზეზია. თავის დროზე XVII საუკუნის ინგლისელი მატერიალისტების ბეკონისა და ჰობსის განხილვისას, რომელთაც მოიხსენიებენ გამოჩენილ პროგრესულ მოაზროვნეებად, მარქსმა ჰობსს უწოდა ბეკონის მატერიალიზმის სისტემატიზატორი. ბეკონი არ მიისწრაფოდა მოეცა ცოდნის სისტემა, მისი მიზანი იყო შეემუშავებინა შემეცნების სწორი მეთოდი; და მიაღწია კიდეც თავის მიზანს – ბეკონის დამსახურებაა მატერიალისტური ინდუქციის მეთოდის დამუშავება. ზუსტად ასევე მონტესკიეც, პირველ რიგში მიისწრაფის სოციალური მოვლენებისათვის მეთოდის შექმნისაკენ. ამ მხრივ ის უფრო ბეკონის სტილის მკვლევარია, ვიდრე ჰობსისა. ეს არ გამორიცხავს ფრანგი მოაზროვნის წიგნის სპეციფიკურ მთლიანობას საზოგადოებისა და მისი კანონზომიერებების შესახებ ცოდნის თვალსაზრისით. ამ წიგნის წინასიტყვაობაში მონტესკიე წერს, მე ბევრჯერ დავიწყე და მივანებე თავი ამ ნაშრომს, ათასჯერ გამიყოლებია ქარისათვის დაწერილი ფურცლები და ყოველ დღე ვგრძნობდი თუ როგორ მეშვებოდნენ ხელები უძლურებისაგან. ვიკვლევდი ჩემს საგანს ყოველგვარი წინასწარგანზრახული გეგმის გარეშე, არ ვიცოდი არც წესები, არც გამონაკლისები, და თუ მივადგებოდი ჭეშმარიტებას მხოლოდ იმიტომ, რომ იქვე მიმეტოვებინა; მაგრამ როდესაც აღმოვაჩინე ჩემი ზოგადი საწყისები, ყველაფერი რასაც ვეძებდი წინ მედო და ოცი წლის განმავლობაში მე ვუყურებდი როგორ აღმოცენდა, გაიზარდა, განვითარდა და დასრულდა ჩემი ნაშრომი.

ზოგად საწყისებში მონტესკიე გულისხმობს კანონზომიერებებს, რომლებმაც ნათელი მოფინეს კერძო, კონკრეტულ ფაქტებს. ამით ის ცდილობდა დაედგინა ვიწრო ემპირიზმი, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, აპრიორული, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მიდგომა მოვლენებისადმი. აქედან გამომდინარე, ავტორის ძირითადი მეთოდოლოგიურ წანამძღვრს ასე გვაწვდის – საკუთარი პრინციპები მე გამომყავს საგანთა ბუნებიდან და არა საკუთარი ცრურწმენებიდან. მონტესკიესაგან განსხვავებით მრავალ, ანტიკური ეპოქის, შუასაუკუნეების ან უფრო გვიანდელი ეპოქის მოაზროვნეებს (სოციოლოგებს) საზოგადოებრივი კანონები, მათი კლასიფიკაცია გამოყავდათ ამა თუ იმ აბსტრაქტულ-ლოგიკური პოსტულატებიდან და არა თვით „საგანთა ბუნებიდან“, ე.ი. არა რეალური ისტორიული პროცესიდან.

ასეთი გამოკვლევების შედეგებია ყოველ ნაბიჯზე არსებული აბსტრაქტული სქემები, გარეგნულად სავსებით ლოგიკური, მაგრამ სინამდვილეში კი მხოლოდ ავტორთა თავებში



(გონებაში) არსებული.. მონტესკიე კი ცდილობს გაიაზროს ობიექტური კანონები; დეტალურად შეისწავლოს ფაქტები, მოახდინოს მათი კლასიფიცირება.

ისტორიის ობიექტური კანონების კვლევიდან მონტესკიე გადადის იმ კანონების კვლევაზე, რომლებსაც ადამიანები ქმნიან და მიაჩნია, რომ ეს კანონები უნდა შეესატყვისებოდნენ პოლიტიკური წყობის ხასიათს, ქვეყნის ფიზიკურ პირობებს (კლიმატს, ნიადაგს, ტერიტორიის სიდიდეს), ხალხის თავისებურებებს (რაოდენობას, ადათწესებს, რელიგიას, საქმიანობას და ა.შ.), ასევე უნდა იყოს თანხმობაში სხვა კონკრეტულ თავისებურებებთან. ამგვარად, ფრანგი განმანათლებელი საზოგადოების კანონებს ანალიზებს მთელი რიგი საგნების, პრობლემების, პირობების გათვალისწინებით და მათთან შესაბამისობაში. სწორედ ამიტომ აღნიშნავს მონტესკიე, რომ მას აინტერესებს კანონების მიმართება განსხვავებულ საგნებთან; შესასწავლი მასალის თანმიმდევრობის განსაზღვრისას ის „ვალდებული იყო თანხმობაში ყოფილიყო არა იმდენად კანონთა წესრიგთან, რამდენადაც იმ მიმართებებისა და საგნების ბუნებრივ წესრიგთან”.

„კანონთა გონის” სირთულისა და დანაწევრიანობის მიუხედავად (ის შედგება 31 წიგნისაგან, სადაც ზოგიერთები 15-20 თავს შეიცავს) ადვილად რწმუნდები, რომ ის შეესაბამება ავტორის აღნიშნულ მიდგომას. კერძოდ: პირველი წიგნი ზოგადად ეხება კანონებს; მეორე-მეოთხე წიგნებში კანონები განხილულია მმართველობის პრინციპებთან მიმართებაში; მეცხრე და მეათე ეხება სახელმწიფოს სიძლიერის (დაცვითი და შეტევითი) ასპექტებს; მეთერთმეტე-მეცამეტე წიგნები დაკავშირებულია თავისუფლების საკითხებთან; მეთოთხმეტე-მეთვრამეტე წიგნებში კანონები დახასიათებულია ქვეყნის ფიზიკურ მახასიათებლებთან მიმართებაში; მეცხრამეტე და ოცდამეხუთე წიგნებში განხილულია ხალხის სპეციფიკური თავისებურებები; ოცდამეექვსე წიგნი აზუსტებს ყოველი კანონის ქმედების საზღვრებს; ბოლო წიგნებში განხილულია კანონთა აღმოცენებისა კავშირი კონკრეტულ გარემოებებთან.

მონტესკიეს მცდელობას გაიგოს ურთიერთობა ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურ კანონზომიერებებსა და ადამიანების მიერ შედგენილ კანონებს შორის და განსაკუთრებულ ინტერესს საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობების მიმართ – აქვს ძალზე პროგრესული ხასიათი. რა თქმა უნდა აქ მონტესკიე კვლავ რჩება ფოლოსოფიური ტრადიციების ტყვეობაში და როგორც განმანათლებლობის ჭეშმარიტი პირმშრო და წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ „ადამიანის გონება მართავს დედამიწის ყველა ხალხებს”.

ნაშრომში მონტესკიე ეხება ისეთ ფილოსოფიურ საკითხებს, როგორებიცაა ყოფიერების დამოკიდებულება ცნობიერებისადმი, მოვლენათა მიზეზობრივი კავშირები და ა.შ. ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ ბუნებისა და საზოგადოების ყველა მოვლენები ურთიერთკავშირშია, თანაც ამ კავშირს, თეოლოგების საწინააღმდეგოდ, ბუნებრივი ხასიათი აქვს. ცალკეული ნაწილები ეხება სახელმწიფოს წარმოშობას. დახასიათებულია სახელმწიფოებრივი წყობის სხვადასხვა ფორმები. თავისი ეპოქის ბევრი მოაზროვნისაგან განსხვავებით მონტესკიე ერკვევა ეკონომიკის საკითხებში, ის წერს საშინაო და საგარეო ვაჭრობის, ფულის, გადასახადების, მიწათმოქმედების, ხელოსნობის შესახებ.

მეოთხე წიგნი ეხება აღზრდის პრობლემებს. აქ საუბარია არა ზოგადად აღზრდაზე, არამედ აღზრდის სისტემის დამოკიდებულებაზე საზოგადოებრივ წყობასთან. ეს ნაშრომი მთლიანად შეიძლება ჩაითვალოს „ტრაქტატად” მორალის შესახებ. მონტესკიეს ეპოქის არც-ერთ



წარმომადგენელს არ დაუსვამს და ასეთ მეცნიერულ დონეზე არ განუხილავს ოჯახის პრობლემები.

ყურადღებას მიიქცევს ამ ნაშრომში მოყვანილი ისტორიული ცნობების სიჭარბე. მონტესკიემ გამოავლინა თავი ძველი საზოგადოების, შუასაუკუნეების ბრწყინვალე მცოდნედ, მან მშვენივრად იცის აღმოსავლეთისა და რუსეთის ისტორიის ძიორითადი ეტაპები.

მონტესკიეს ნაშრომები _ XVIII საუკუნის განმამათლებლობის ფილოსოფიის ფასდაუდებელი განძია.

მონტესკიეს სოციოლოგიური შეხედულებები

3. საზოგადოებისა და მისი კანონების შესახებ.

მონტესკიეს ფილოსოფიური შეხედულებების კვლევა დღეისათვის ჩვენი მიზანი არაა, მაგრამ რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს, მონტესკიე მაინც განეკუთვნება განმანათლებელთა იმ რაზმს რომელთათვის პირველხარისხოვან ყურადღებას იმსახურებდა სოციოლოგიის საკითხები. ეს აიხსნება არა მხოლოდ მისი პირადი გამოცდილებით, სიმპათიითა და ინტერესებით, არა მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (პირველ რიგში იურისპუდენციაში, ისტორიასა და პოლიტიკურ ეკონომიკაში) ფუნდამენტური ერუდიციით, არამედ ობიექტური პირობებით და უპირველეს ყოვლისა იმ ვითარებით, რომ მისი ეპოქის საფრანგეთში იგრძნობოდა საფუძვლიანი სოციალური ცვლილებების აუცილებლობა. ფრანგ მოაზროვნეთა დიდი ნაწილი თავის პირველად მოვალეობად მიიჩნევდა საზოგადოებრივი ცხოვრების არსის წვდომას; მისი მამოძრავებელი ძალებისა და კანონზომიერების გააზრებას. შემთხვევითი არ არის, რომ XVIII საუკუნის განმანათლებლებსა და ფილოსოფოსებს აინტერესებდათ ბუნების ფილოსოფიაც და საზოგადოების განვითარების პრობლემებიც. გავიხსენოთ დიდრო, ჰობსი, ლამეტრი და ჰელვეციუსი, ვოლტერზე რომ არაფერი ვთქვათ. რაც შეეხება მონტესკიეს, ის რუსოს მსგავსად, უფრო სოციოლოგია და სახელი გაითქვა ძირითადად სოციოლოგიური გამოკვლევებით. მონტესკიე უზარმაზარი ინტელექტუალური ჰორიზონტის პატრონია. გაცნაობით მის „განაზრებებს რომაელთა აღზევებისა და დაცემის მიზეზების შესახებ“ და „კანონთა გონს“, სადაც მოცემულია უამრავი ცნობები სამოქალაქო ისტორიის, სამართლის, სახელმწიფოს, ყოფისა და ოჯახური ურთიერთობების შესახებ. ის მშვენივრად იცნობს ძველ საბერძნეთსა და რომს, სირიას და ეგვიპტეს, ნაწილობრივ იცნობს ჩინეთის ისტორიას. მას აინტერესებდა ინგლისის, რუსეთის ესპანეთის, პორტუგალიის ისტორია. მან საფუძვლიანად იცოდა საკუთარი ქვეყნის წარსული. მონტესკიე სისტემატურად მიმართავს სხვადასხვა წყაროებს. ჰომეროსის „ოდისეას“ და „ილიადას“ ის აფასებს არა მხოლოდ, როგორც ბრწყინვალე შედევრებს, არამედ განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან წყაროებს მონობის ჩასახვის ისტორიის შესასწავლად. პოლიბიოსის ნაშრომი „საყოველთაო ისტორია“ იზიდავს მას როგორც ფაქტობრივი მასალის სიმდიდრით, ასევე ისტორიის პროცესზე განაზრებების კუთხით. ისტორიკოსი დიონისე ჰალიკარნასელი მას აინტერესებს, როგორც „რომაული არქეოლოგიის“ ავტორი. მაღალ შეფასებას აძლევს მონტესკიე ტიტუს ლივიუსის გამოკვლევებს, პლუტარქეს თხზულებებს, ასევე ციცერონის ტრაქტატებს. ძნელია მოიძიო ისტორიკოსი გვიანდელ ეპოქებში, რომლებიც ვერ მოხვდნენ მონტესკიეს ყურადღების ცენტრში. მან ბრწყინვალედ იცოდა გრიგორი ტურსკის „ფრანკების ისტორია“, მან



კლასიკურ სტილში განიხილა ჟან-ბატისტ დუბოს ნაშრომი „გალიაში საფრანგეთის მონარქიის დამკვიდრების კრიტიკული ისტორია“.

ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა დიდ უპირატესობას ანიჭებს მონტესკიეს მის თანამედროვეებთან შედარებით. მონტესკიე მიისწრაფის სწორედ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით გააკეთოს თეორიული დასკვნები და განზოგადებები. შეიძლება მისი განზოგადებები მოიკოჭლებენ ზოგიერთ ასპექტებში, მაგრამ სწრაფვა განეხილა სოციალური ცხოვრება არსებითად, შეესაწავლა წარსული და აწმყო ისე, როგორც იყო და არის ობიექტურად და არა როგორც რომელიმე განყენებული პროგრამის პოზიციიდან და ყოველივე ეს იყო ახალი და მნიშვნელოვანი ფურცელი ეპოქის პროგრესული სოციოლოგიური აზრის ისტორიაში.

მონტესკიემ, როგორც სოციოლოგმა მალევე მიაღწია აღიარებას სხვა ქვეყნებშიც, მისი იდეები გაითავისა მოწინავე ბურჟუაზიულმა ფენებმა და გამოიყენა საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ შუასაუკუნეების თეორიის წინააღმდეგ.

საჭიროა კონკრეტულად შევეხოთ იმ ზოგადთეორიულ საკითხებს, რომლებიც წინ წამოსწია მონტესკიემ თავის სოციოლოგიურ და ისტორიულ შრომებში.

მონტესკიე თავიდანვე ცდილობს საზოგადოებას მიუდგეს საერო პოზიციებიდან, ის გადაჭრით უპირისპირდება ავგუსტინეს, რომელიც ისტორიას განიხილავს, როგორც ორი – მიწიერი და სულიერი – საწყისის ბრძოლას. ასევე გადაჭრით უარყოფს ის თომა აქვინელის შეხედულებებს, რომელსაც სახელმწიფო ძალაუფლება „ღვთიური ნებიდან“ გამოყავს და ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია „ღვთიურ სამართალზე“. მონტესკიე აღიარებს ღმერთს, როგორც სამყაროსათვის პირველი ბიძგის მიმცემს, ამავე დროს უაზროდ მიაჩნია ღვთიური განსაზღვრულობის ძიება სოციალურ მოვლენებში.

მონტესკიე აცხადებს, რომ ისტორიისადმი თეოლოგიურ მიდგომას პირდაპირ ფატალიზმისაკენ მიყვავართ. თუ ღმერთი ყოველივეს განაგებს, ადამიანებს აღარაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ დასხდნენ გულხელდაკრეფილი, იყვნენ პასიური მჭვრეტელები. მაგრამ XVIII საუკუნეში, გონის საყოველთაო დუდილის, ბურჟუაზიული რევოლუციის მზადების პერიოდში, ყველაზე ზომიერი და მშვიდი განმანათლებლებიც კი გადაჭრით კიცხავდნენ ადამიანებს, რომლებიც ურიგდებიან სოციალურ სიცრუეს. „კანონთა გონში“ მონტესკიე აკრიტიკებს ფატალისტურ მსოფლმხედველობას: „მოდვრება ბედისწერის შესახებ, რომელიც ყველაფერს მართავს, მმართველსაც გადააქცევს აუღელვებელ მჭვრეტელად; მას გონია, რომ უკვე ყველაფერი გაკეთებულია და მას საქმე აღარა აქვს“.

ხელმწიფის ფატალიზმზე არანაკლებ საშიშია ქვეშევდრომთა ფატალიზმი. მონტესკიეს მიაჩნია, რომ უბრალო ადამიანს არა აქვს უფლება ხელი აწიოს მბრძანებელზე, მაგრამ მორალური პროტესტის, არა ცულით, არამედ კალმით, თავისი უფლებებისა და ინტერესების, ლეგალური უფლებებით დაცვის არათუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიცაა. დესპოტიზმთან შერიგებული მოქალაქე კარგავს მოქალაქედ წოდების უფლებას, გადაიქცევა მონად და ზიზღის ღირსია. მრავალწლიანი განაზრებების დასასრულს თავისი მთავარი ნაშრომის წინასიტყვაობაში მონტესკიე წერს: „მე დავიწყე ადამიანების შესწავლა და ვნახე რომ მათი კანონებისა და ზნეობის უსასრულო მრავალფეროვნება არაა გამოწვეული მხოლოდ მათი ფანტაზიით. მე დავადგინე ზოგადი საწყისები და ვნახე, რომ კერძო შენთხვევები თავისთავად ექვემდებარებიან მათ, რომ



ყოველი ხალხის ისტორია, როგორც შედეგი, გამოდის მათგან და ყოველი კერძო კანონი დაკავშირებულია სხვა კანონთან ან დამოკიდებულია სხვა, უფრო ზოგად კანონზე”.

ამგვარად, ფრანგი განმანათლებელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება კანონზომიერი პროცესია, თანაც საზოგადოების კანონები არაა გარედან თავსმოხვეული, არამედ არსებობენ თვით მასში, როგორც ცალკეული სოციალური მოვლენების არსი. „კანონთა გონში” ღრმა მიხვედრაა, რომ კანონების ობიექტურ საფუძვლად მიჩნეულია საგანთა ბუნებიდან გამომდინარე აუცილებელი მიმართებები.

ამავე დროს, მონტესკიე სხვა განმანათლებლების მსგავსად პიროვნებას ანიჭებს სოციალური დემიურგის როლს და სოციალურ კანონებს თვლის კანონმდებელთა თავისუფალი ქმედების პროდუქტად. აქ ის ფაქტობრივად ერთმანეთში აურევს კანონს, როგორც სამართლის მეცნიერების კატეგორიას იმ საზოგადოებრივ კანონებთან, რომლებიც არ არიან დამოკიდებული ადამიანების ნებასა და ცნობიერებაზე; მონტესკიეს ნაშრომებში მრავლადაა კანონების ვოლუნტარისტული, სუბიექტურ-იდეალისტური განსაზღვრებები. მაგალითად, „კანონთა გონის” მესამე თავში მონტესკიე ამტკიცებს, XVI თავში, სადაც კანონი გაიგივებულია კანონმდებლის დადგენილებასთან. ყველა სოციალური უბედურების მიზეზს მონტესკიე ხედავს იმაში, რომ „კანონმდებელთა უმრავლესობა ძალზე შეზღუდული ადამიანები არიან, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ ხელმძღვანელთა შორის და ითვალისწინებენ, მხოლოდ საკუთარ შეხედულებებსა და ფანტაზიას”. უნდა ითქვას, რომ მონტესკიე ხშირად ეჭვობს საკუთარი შეხედულებების მცდარობას. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა საზოგადოება გვეძლევა ქაოსად, ურთიერთგამომრიცხავ ნებათა შეჯახებების შედეგად. პროგრესის იდეა აქ გამორიცხულია. მეცნიერება საზოგადოების შესახებ ასევე შეუძლებელი გახდება.

ამგვარად, დასვა რა საკითხი საზოგადოების კანონების ობიექტურობის შესახებ, მონტესკიემ, როგორც ყველა სოციოლოგმა მე-XIX-ე საუკუნემდე ვერ შესძლო თანმიმდევრულად დაეცვა საკუთარი პოზიცია. ის მუდმივ წინააღმდეგობაშია, სოციალური კანონები მასთან ხან ობიექტურია, ხან სუბიექტურია, ე.ი. ხელოვნურად იქმნება კანონმდებლების მიერ. მონტესკიეს სუბიექტივიზმი იმ დროისათვის ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელია, რადგან საკითხი ეხება ფეოდალურ ურთიერთობებში ჩაკარგულ პიროვნებას და მის რეაბილიტაციას. მას მხედველობაში ყავს არა ფეოდალი „ყჩაღი,” ან განდეგილი წმინდანი. ის უფრო მაღლა აყენებს პიროვნებას, რომელიც ქმნის კანონებს საზოგადოებრივი პროგრესისათვის, განათლებისა და კულტურისათვის. ამიტომ მისთვის კანონზომიერების პრობლემა ორგანულ კავშირშია კანონმდებელთა როლის პრობლემასა და იმ როლის დადგენასთან, რომელსაც საზოგადოებაში ასრულებს ადამიანთა მორალი და მორალური შეხედულებები. მონტესკიე ამტკიცებს, რომ ადამიანთა მორალს, ერთი მხრივ განაპირობებს გეოგრაფიული გარემო, მეორე მხრივ კი არსებული პოლიტიკური წყობა. ის აქ არ იცავს მონისტკურ პოზიციას, მაგრამ ორივე შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრულობის რელიგიურ თეორიას უარყოფს. საბოლოო ჯამში, ადამიანთა ზნეობა, მონტესკიეს აზრით, ეფუძნება ადამიანის ბუნებასა და საზოგადოებრივ გარემოს. საზოგადოებრივი გარემო მასთან პოლიტიკური წყობისა და გაბატონებული კანონმდებლობის იგივეობრივია.

მაშასადამე, მონტესკიე ამტკიცებს, რომ ზნეობრივ განსხვავებებს საფუძვლად უდევს გეოგრაფიული და საზოგადოებრივი პირობები, თუმც ის გამორიცხავს კლასობრივი



განსხვავების ფაქტორს. მისი თანამედროვე საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის იგნორირება სუსტი ადგილია მონტესკიესა და ბურჟუაზიული რევოლუციის სხვა წინამორბედთა ნააზრევში. ამ მხრივ ფრანგი განმანათლებლები ჩამორჩებოდნენ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, ადამ სმიტსა (1723-1790) და დავიდ რიკარდოს (1772-1823), რომლებიც ხედავენ, მაგრამ ცდილობენ შენიღბონ ან სულაც დამალონ საზოგადოების სტრუქტურის ეკონომიკური საფუძვლები. ფრანგი განმანათლებლები ასევე ჩამორჩებიან ფრანგ ისტორიკოსებს – ტიერის (1795-1856), მინიეს (1796-1884) და გიზოს (1787-1874), რომლებიც ცდილობდნენ XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისათვის შეეხედათ კლასობრივი ბრძოლის პოზიციებიდან. მონტესკიესათვის კლასობრივი ბრძოლა არის პოლიტიკური პრინციპების ბრძოლის გამოვლენა. ის უპირატესად საუბრობს არისტოკრატის რღვევაზე, ვიდრე არისტოკრატის პრინციპზე, აკრიტიკებდა უფრო დესპოტიზმს, ვიდრე დესპოტიზმის იდეას. თუმცა მონტესკიე უკვე გრძნობს, რომ იდეებისა და პრინციპების შეჯახებების უკან დგას რეალური საზოგადოებრივი ძალების წინააღმდეგობა, იცის, რომ დემოკრატიზმისა და არისტოკრატის პრინციპების განსხვავებისას, დემოკრატიის უკან დგას ხალხი, ხოლო არისტოკრატის უკან ხალხის დამმონებელთა მცირე ჯგუფი.

„კანონთა გონში“ მონტესკიეს აქვს ასეთი თავი „თავადაზნაურობის სწრაფვა ტახტის დასაცავად“. მოგვიანებით ინგლისში მოგზაურობისას და ინგლისური კონსტიტუციით აღფრთოვანებული მონტესკიე ასეთ პარალელს გაავლებს. საფრანგეთის ელიტა იცავს ტახტს, ხოლო ინგლისურმა ელიტამ კარლ I-თან ერთად დამარხა საკუთარი თავის ტახტის ნანგრევებში. მაშასადამე, იდეალისტური ტრადიციების მიხედვით, დაყავს რა საზოგადოებაში გაბატონებული რეალური ურთიერთობები იდეების ბრძოლაზე, მონტესკიეს რიგ შემთხვევებში აქვს საინტერესო მიხვედრები, კერძოდ, თვით რეალობიდან, ცხოვრებიდან იდეების გამოყვანის შესახებ. ის აღიარებს, რომ იდეებს უკან იმალება ცალკეული ფენების ინტერესები, ხოლო საფრანგეთთან მიმართებაში ესმის, რომ საქმე ეხება უუფლებო მესამე ფენის ბრძოლას ფეოდალური საზოგადოების ორ პრივილეგიურულ – სათავადაზნაურო და სასულიერო – ფენებთან ბრძოლას.

საზოგადოებრივი ზნეობისა და ადათ-წესების დახასიათებისას მონტესკიე ზოგ შემთხვევებში არისტოკრატის უპირისპირებს მესამე ფენას: გლეხებს, ხელოსნებს, ვაჭრებს და მეწარმეებს. ის მაღალ შეფასებას აძლევს მესამე ფენის დამოკიდებულებას შრომისადმი და აკრიტიკებს საერო და სასულიერო ფეოდალებს პარაზიტის დაბრალებით. „სპარსულ წერილებში“ მონტესკიე უარყოფს დებულებას ფრანგების არასერიოზულობისა და სიზარმაცის შესახებ, რომელთაც, თითქოს, მხოლოდ ლხინი და გართობა აინტერესებთ. სინამდვილეში ფრანგების უმრავლესობა თავდადებულად შრომობს. ფრანგი ხალხი, წერს მონტესკიე, შრომისმოყვარეა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნებოდა ფრანგული კულტურა, საფრანგეთის ქალაქები და სოფლები, არქიტექტურული ძეგლები, მანუფაქტურული მრეწველობა, შრომის გარეშე არ გვექნებოდა თვით პარიზიც.

მაგრამ მონტესკიე ბურჟუაზიის იდეოლოგია და არ ძალუძს არ გამოააშკაროს თვით მესამე ფენისათვის დამახასიათებელი ანტაგონიზმი. მან ვერ გაიაზრა პრინციპული განსხვავება მშრომელსა და ექსპლოატატორს შორის, მანუფაქტურის მუშასა და ამ საწარმოოს პატრონს



შორის. მონტესკიე არ აკრიტიკებს ექსპლოატატორულ წყობას, ამავე დროს მკაცრად სჯის მონობას, მის ყოველნაირ გამოვლენაში.

„კანონთა გონის“ მეთხუთმეტე წიგნი ეძღვნება მონობის კრიტიკას, თანაც მონებში გლეხებსაც გულისხმობს. სამოქალაქო მონობის გვერდით, რომელსაც ფრანგი განმანათლებელი განსაზღვრავს, როგორც ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანსა და მის ქონებაზე უპირობო ბატონობას, მონტესკიე აღნიშნავს აგრეთვე პოლიტიკური მონობას, ანუ მოქალაქეთა უფლებობას სახელმწიფოს წინაშე. ამგვარად, უნდა ითქვას, აქ ის გამოდის ფეოდალური წყობის, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების წინააღმდეგ.

სამოქალაქო მონობა თვით თავისი ბუნებითაა ბოროტება – ამტკიცებს მონტესკიე. მას ზიანი მოაქვს მთელი საზოგადოებისათვის, რადგან ამახინჯებს, როგორც მონებს, ასევე მონათმფლობელებს. პოლიტიკური მონობა ართმევს ხალხებს ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს.

მონტესკიე ეკამათება რომის სამოქალაქო სამართალს, რომელიც უფლებას აძლევს მევალეს (ვისაც აქვს ვალი), გაყიდოს საკუთარი თავი მონობაში (ასე გადაიხადოს ვალი). ფორმალური იურიდიული თვალსაზრისიდან გამომდინარე მონტესკიე მოსწრებულად შენიშნავს. არაა სიმართლე, თითქოს თავისუფალ ადამიანს შეუძლია თავის გაყიდვა. გაყიდვა გულისხმობს გადახდას. მაგრამ, რადგან ნაყიდი მონა მთელი თავისი სიმდიდრით თავისი ბატონის საკუთრება ხდება, გამოდის, რომ ბატონი არაფერს არ აძლევს და მონა არაფერს არ ღებულობს.

მონტესკიე გადაჭრით ეწინააღმდეგება მამის უფლებას გაყიდოს შვილი მონობაში. თუ ადამიანს არა აქვს უფლება გაყიდოს თავისი თავი, მით უფრო ნაკლები უფლება აქვს გაყიდოს თავისი მემკვიდრე.

მონობისა და ბატონყმობის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ამ ინსტიტუტების კეთილი ბუნება თითქოსდა იმაში მდგომარეობდეს, რომ მონათმფლობელი და ფეოდალი ცხოვრების საშუალებას აძლევს მონებსა და გლეხებს. ამ არგუმენტების საწინააღმდეგოდ მონტესკიე მოსწრებულად განაცხადებს, რომ თუ ასეა, მაშინ მონობა და გლეხოება უნდა შეიზღუდოს ან შემოიფარგლოს შრომისუუნარო ადამიანებით, მაგრამ ერთიც და მეორეც დაინტერესებულია ყავდეთ შრომისუნარიანი და ჯამრთელი მონები.

მონტესკიე უკუაგდება მონათმფლობელობისა და ბატონობის სასარგებლოდ მოყვანილ ეკონომიკურ არგუმენტებს, რაც იმაზე დაიყვანება, რომ თავისუფალი ადამიანი არასოდეს არ მოკიდებს ხელს განსაკუთრებით ძნელ საქმეს. მოიშველიებს რა ისტორიას, მონტესკიე იხსენებს დროს, როდესაც საბადოებში მართლაც მხოლოდ მონები და დამნაშავეები მუშაობდნენ. მაგრამ ჩვენს დროში, აცხადებს ის, ნებაყოფლობით მუშაობენ თავისუფალი ადამიანები და ძალიანაც უყვართ თავიანთი პროფესია. მონტესკიე არა მხოლოდ აფიქსირებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას მონობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ამავე დროს იძლევა ექსპლოატატორთა და ექსპლუატირებულთა ფორმალური თანასწორობის პოზიტიურ პროგრამას. მონებსა და ყმებს ის უპირისპირებს თავისუფალ ადამიანებს, რომელთა ქვეშ გულისხმობს მათ, ვისაც აქვს უფლება თავისი სურვილით შეირჩიონ საქმიანობის ნებისმიერი სფერო.

იძულებითი შრომის აუცილებლობის წინააღმდეგ მონტესკიეს აქვს მეორე, უფრო დამაჯერებელი არგუმენტი. არ არსებობს ისეთი ძნელი საქმიანობა, რომლის მანქანით შეცვლა



შეუძლებელი იყოს. დამიანის მიერ მართული წარმოების შრომის იარაღების სრულყოფა მისცემს ადამიანებს ბედნიერ და მდიდარ ცხოვრებას.

როგორც ახალგაზრდა პროგრესული ბურჟუაზიის იდეოლოგი, მონტესკიე თამამად აყალიბებს იდეას: მეცნიერება და ტექნიკა უნდა ემსახუროს ისტორიულ პროგრესს და ხელი შეუწყოს ადამიანის განთავისუფლებას ფიზიკური შრომის უმძიმესი ფორმებისაგან.

კიცხავს რა ფეოდალურ წესრიგს, მონტესკიე ამავე დროს მიიჩნევს, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე მას ქონდა აზრი, ის სამართლიანი იყო. აქედან მისი უშუალო განცხადება იმის შესახებ, რომ ფეოდალური კანონები საფუძველია „მრავალი სიკეთისა და ბოროტებისა“. ეს ალბათ არის მონტესკიეს მორიდებული მცდელობა დაინახოს ისტორიაში პროგრესული გადასვლა ერთი ფაზიდან მეორეზე, საზოგადოების აღმავალი მოძრაობის ხაზგასმა, გარკვეული კანონზომიერების არსებობის აღიარება. მონტესკიე ვარაუდობს, რომ ძველმა წყობამ ობიექტურად ამოწურა თავისი თავი და ადგილი უნდა დაუთმოს ახალ წყობას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არისტოკრატისა და მესამე ფენას შორის კომპრომისის გზით, კანონმდებლის დახმარებით, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი მომავალი. საზოგადოებისადმი ტრადიციულმა იდეალისტურმა მიდგომამ, რა თქმა უნდა ხელი შეუშალა მონტესკიეს დაეკავებინა სწორი პოზიცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორცაა პროგრესისა და რეაქციის ძალების ურთიერთმიმართება.

საზოგადოების პროგრესული განვითარება მონტესკიეს საკმაოდ ზედაპირულად და შეზღუდულად ესმის. ის ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისებს მიუდგეს ისტორიულად. ის შეეცადა გაეცა პასუხი ადამიანთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს აღმოცენების კონკრეტულ მიზეზებზე. აქ ის მთლიანად მოქცეულია ბუნებრივი სამართლის თეორიის ჩარჩოებში (სპინოზა ჰოლანდიაში, ჰობსი და ლოკი ინგლისში) და ამტკიცებს, რომ თავდაპირველ, ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანებმა არ იციან სახელმწიფო და მხოლოდ დროთა განმავლობაში მივიდნენ მისი ორგანიზების აუცილებლობის აღიარებამდე. ამავე დროს მონტესკიე ემხრობა ბუნებრივი სამართლის მიმდევრებს, რომელთა თანახმად თვდაპირველად ცხოვრება იყო მშვიდი, მეგობრული და მშვიდობიანი ყოველგვარი დაპირისპირების, მტრობისა და ურთიერთხოცვის გარეშე. პირველყოფილი საზოგადოებისა და ადამიანის იდეალიზირება მონტესკიესათვის არის მისი თანამედროვე ფეოდალური კულტურის კრიტიკა.

პირველყოფილ ადამიანებს, ამტკიცებს მონტესკიე, არ სჭირდებოდათ ერთმანეთთან ბრძოლა. პირიქით, ძირეულად იყვნენ დაინტერესებული მშვიდობიან ურთიერთობებში. მათ სხვა ადამიანებზე ბატონობის სურვილიც კი არ გაუჩნდებოდათ, რადგან ეს სურვილები უფრო რთულ ურთიერთობებს უკავშირდება. ამიტომ მშვიდობა და არა ომი, ასკვნის მონტესკიე, იყო ადამიანის პირველი ბუნებრივი კანონი. მონტესკიეს ეს განცხადება უპირისპირდება იმ იდეოლოგიას, რომლის თანახმად ომი ადამიანის ბუნების აუცილებელი თვისებაა.

მეორე ბუნებრივ კანონად ფრანგი განმანათლებელი თვლის ადამიანის სწრაფვას მოიპოვოს საკვები. საზოგადოებისადმი იდეალისტური მიდგომა ხელს უშლის მონტესკიეს გააკეთოს სწორი დასკვნები საზოგადოების განვითარებისათვის მატერიალური წარმოების როლის შესახებ. წარმოება მას ესმის, როგორც საზოგადოებაზე გავლენის მქონე ერთ-ერთი ფაქტორი. მონტესკიესათვის ადამიანის სამეურნეო საქმიანობა მისივე ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდანაა წარმოებული. ის ამტკიცებს, რომ საზოგადოების აღმოცენების ერთ-



ერთი მიზეზია ყოველი ცოცხალი ორგანიზმის სწრაფვა მისი ბუნების მეორე ცოცხალი ორგანიზმისაკენ და ამ სწრაფვას მონტესკიე ეძახის მესამე ბუნებრივ კანონს.

ამ სამი კანონის საფუძველზე საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის დაცვით მონტესკიეს გამოყავს მეოთხე – საზოგადოებაში ცხოვრების სურვილის კანონი, ანუ ადამიანის მიერ საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის გაცნობიერება, რაც უშუალოდ გამომდინარეობს ადამიანის რაციონალური უნარიდან – გააკეთოს დასკვნები, მიიღოს გადაწყვეტილებები.

დიდ ინტერესს იმსახურებს მონტესკიეს გენიალური მიხვედრა პიველყოფილ საზოგადოებაში კერძო საკუთრების არარსებობის შესახებ. მონტესკიე აცხადებს, რომ უთხრეს რა უარი ბუნებრივ დამოუკიდებლობას, ადამიანებმა უარი უთხრეს ქონების ბუნებრივ ერთობასაც. ამგვარად, კერძო საკუთრებას ის განიხილავს, როგორც ისტორიული განვითარების შედეგით გვიანდელ პროდიუქტს. მაგრამ, რადგან მონტესკიე მომხრეა კერძომესაკუთრული ურთიერთობებისა, ამ მიხვედრიდან მონტესკიე აკეთებს რიგ დამახინჯებულ დასკვნებს. კერძო საკუთრება მასთან არის საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგი, ე.ი. დამოკიდებულია იურიდიულ ნორმებზე. მონტესკიესათვის ასეთი კერძო საკუთრება ცივილიზებულობის გამოვლენაა. ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრედ კერძოზე პრიმატის აღიარების დროსაც კი არავის არა აქვს უფლება ჩამოართვას ადამიანს მისი საკუთრების იოტისოდენა ნაწილიც კი.

კერძო საკუთრების უფლების წინაშე ქედის მოხრა ახასიათებდა არა მხოლოდ მონტესკიეს, არამედ რევოლუციის წინა პერიოდის ფრანგ განმანათლებელთა უმრავლესობა. რუსოც კი, რომელიც აკრიტიკებდა დიდ კერძო საკუთრებას, მომხრე იყო მცირე კერძო საკუთრების დაკანონებისა. მონტესკიე მიაბიტურად ვარაუდობდა, რომ კერძო საკუთრების შემთხვევაში ყოველი ადამიანი მიაღწევს მატერიალურ კეთილდღეობასა და ჭეშმარიტ თავისუფლებას.

მონტესკიე არის ადრინდელი ბურჟუაზიული ჰუმანიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი იდეოლოგი. მისი ჰუმანიზმი, ყოველნაირი კლასობრივი შეზღუდულობის მიუხედავად, კლასიკური ბურჟუაზიისათვის წარმოადგენს საბრალდებულო განაჩენს, რადგან აქ ადამიანი განიხილება, როგორც მხოლოდ ექსპლოატაციის ობიექტი. ბურჟუაზიის განვითარების მაღალი ეტაპებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ერთი – ლტოლვა მაქსიმალური მოგებისაკენ.

როგორც ხელისუფლებისაკენ მიმავალი ახალგაზრდა კლასის ინტერესების გამომხატველი, მონტესკიეს ხალასად სჯერა, რომ იცავს მთელი ფრანგი ხალხის ინტერესებს.

1. მონტესკიეს გეოგრაფიზმი.

საზოგადოების განვითარების ზოგიერთ ფუნდამენტურ კანონებს მონტესკიე ანიჭებდა ობიექტურობის სტატუსს, თუმცა ფაქტობრივად მათ განიხილავდა, როგორც ბუნების კანონებს, როგორც ბუნებრივ კანონებს, რომლებიც საზოგადოებაზეც ავრცელებდნენ თავიანთ გავლენას. მონტესკიე არის გეოგრაფიული თეორიის ერთ-ერთი ძირითადი წარმომადგენელი, ანუ თეორიისა, რომლის მიხედვით სახელმწიფო ძალაუფლებისა და კანონმდებლობის განსხვავებული ფორმების აღმოცენებისა და არსებობის მთავარი მიზეზია გეოგრაფიული გარემო.



ცნობილია, რომ გეოგრაფიული თეორიის ბევრი თანამედროვე მომხრე რეაქციული შეხედულებებისაა. ისინი ირწმუნებიან, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ვერ შეიცვლება გეოგრაფიული გარემოს ცვლილებების გარეშე, ხოლო რადგან ეს უკანასკნელი საკმაოდ ნელი ტენპით იცვლება, ცხადია არალოგიკურად უნდა გამოცხადდეს სოციალური რევოლუციები.

მონტესკიე სხვაგვარად ფიქრობს. მან გეოგრაფიულ გარემოს მიმართა მხოლოდ იმიტომ, რომ დაემტკიცებინა _ ისტორიის სვლა დამოკიდებულია არა მხოლოდ ღმერთზე, არამედ ბუნებრივ მიზეზებზე და ამიტომ არა რელიგიას, არამედ მეცნიერებას შეუძლია გაიგოს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებები. ამიტომ, ალბათ, არ უნდა გავაიგივოთ მონტესკიეს გეოგრაფიული თეორია გვიანდელ და რეაქციულ გეოგრაფიულ მოძღვრებებთან.

ფრანგი განმანათლებლის დაინტერესებამ გეოგრაფიული გარემოთი პროგრესული როლი შეასრულა კიდევ იმიტომ, რომ მასში ჩანს ახალგაზრდა ბურჟუაზიის პრაქტიკული ინტერესი, განავითაროს საზოგადოების მწარმოებლური სფერო და გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები.

როგორც აღინიშნა „კანონთა გონში” მთელი წიგნები და თავები ეძღვნება ბუნებრივ ფაქტორებს _ კლიმატს, ნიადაგს და ა.შ. მეთოთხმეტე წიგნის სათაურია _ „კანონებისა და კლიმატთა თვისებებისადმი მათი მიმართების შესახებ”. აქ დეტალურადაა განხილული კლიმატის გავლენა ადამიანების ხასიათზე, მათ ადათ-წესბსა და ზნეობაზე, სახელმწიფოებრივი წყობის ფორმებზე. მეთხუთმეტე თავში „სამოქალაქო მონობის კანონების მიმართება კლიმატის ხასიათთან”, მონტესკიე მონობის პრობლემას კონკრეტულად აკავშირებს ზოგიერთი ქვეყნების კლიმატურ პირობებთან. მეთექვსმეტე წიგნის სათაურია „კლიმატის მიმართება საოჯახო მონობის დამარეგულირებელ კანონებთან”. ანალოგიურ პრობლემას ეძღვნება შემდეგი წიგნიც, რომლის მესამე თავში გაანალიზებულია აზიის კლიმატი. ბოლოს, დიდი მოცულობის მეთვრამეტე წიგნში მონტესკიე ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას, თუ როგორ ზემოქმედებს ნიადაგი საზოგადოებრივ კანონებზე.

კლიმატისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას განმანათლებელი იმით ასაბუთებს, რომ სხვადასხვა კლიმატურ პირობებში განსხვავდებიან გონის ხასიათი და გულის ვნებები. ცივი კლიმატი აყალიბებს ძლიერ და ე.ი. უფრო აქტიურებს, შრომისმოყვარეებსა და მიზანმიმართულებს. ცხელი ჰავა სიზარმაცეს, სიფაქიხეს, გულგრილობას უწყობს ხელს. რამდენადმე მიამიტურად, მაგრამ მატერიალისტური პოზიციით ასაბუთებს მონტესკიე ადამიანის სულიერი ცხოვრების დამოკიდებულებას მის ფიზიკურ ორგანიზაციაზე. მისი მსჯელობის ლოგიკა დაახლოებით ასეთია: სიცხე და სიცივე სახეს უცვლიან სხეულს, სხეული თავის მხრივ ზემოქმედებს სხეულზე.

ამიტომ ცივკლიმატიან ქვეყნებში ადამიანები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ცხელ ქვეყნებში. ჯანმრთელი და ძლიერი ადამიანი უფრო ენდობა საკუთარ თავს, უფრო ვაჟკაცია, უსაფრთხოების თვალსაზრისით უფრო თვითდაჯერებულია, უფრო პირდაპირია, ნაკლებად ეჭვიანია, ნაკლებად პოლიტიკანია და ეშმაკი. „მოაქციეთ ადამიანი ცხელ და ჩაკეტილ ვითარებაში, ის ძალზე მოდუნდება და მოეშვება. თუ ამ ვითარებაში მას მოსთხოვთ რაიმე ვაჟკაცურ ნაბიჯს, ის აუცილებლად შეიკავებს თავს. მოდუნებული კაცი კარგვს სულიერ სიფხიზლეს, შიშით უყურებს ყველაფერს, თავს უმწიოდ გრძნობს. ცხელი ქვეყნების მკვიდრნი მოხუცებით არიან, ცივი ქვეყნების ადამიანები კი ყმაწვილებივით”.



ამ განაზრებებისა და მოყვანილი მაგალითებზე დაყრდნობით რეაქციულმა სოციოლოგებმა გააკეთეს რასისტული დასკვნები – ერთი რასის მეორეზე ზეობის შესახებ. განმანათლებელი მონტესკიე საპირისპირო პოზიციაზეა. მას მიაჩნია, რომ ადამიანები დაბადებიდან თანაბარუფებიანები არიან, არ არსებობს არავითარი არგუმენტი ერთი რასის მეორეზე უპირატესობის დასასაბუთებლად. კეთილ, ბუნებრივ გარემოში ყოველ ადამიანზე ძალუმს პატიოსანი და კეთილი ქცევები. სამხრეთელი ადამიანები ჩრდილოეთში ადგილობრივებისგან მოიქცევიან და პირიქით, ჩრდილოეთელები სამხრეთში სამხრეთელებს დაემგვანებიან. დაბოლოს, და ეს მთავარია მონტესკიესთან – ის ვარაუდობს, რომ ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, ჭკვიანსა და განათლებულ კანონმდებლებს შეუძლიათ ღირსეული ადამიანების აღზრდა. კონკრეტულ ისტორიულ მაგალითებზე აჩვენებს მონტესკიე, რომ სხვადასხვა ხალხები მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში ხან დიდ წარმატებებს აღწევდნენ, ხანაც სულაც კი იშლებოდნენ. რომაელებზე ნაშრომის XXII თავში მონტესკიე ეხება იმ სიჩლუნგეს, რომელმაც მოიცვა ერთდროს ნიჭიერი ძველი ბერძნები. იქვე საუბრობს არაბების გარკვეულ უპირატესობებზე რომაელებთან შედარებით, რომლებიც ერთ დროს ყველაზე ნიჭიერ ხალხად ითვლებოდა. ფრანგი მონტესკიე არაერთხელ აღფრთოვანებულა ინგლისელებით. დეტალური ანალიზისას აღმოჩნდა რომ ეს აღფრთოვანება, პირველ რიგში, გამოწვეულია ინგლისელთა ბურჟუაზიული კონსტიტუციით.

მონტესკიე თამამად სვამს კითხვას სახელმწიფოს წყობის შესახებ, და იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს მასზე გავლენას კლიმატი. მისი მსჯელობებიდან ჩანს, რომ საფრანგეთში გავრცელებული მეფური დესპოტიზმი პირდაპირ ეწინააღმდეგება მის კლიმატს ე.ი. არაბუნებრივია. უნდა ითქვას, რომ კლიმატზე აქცენტს მეორე მხარეცაა აქვს. მას შეიძლება გაემართლებინა რეაქციული რეჟიმები, რომლებიც თითქოსდა პასუხობენ კიდეც თავიანთ გეოგრაფიულ გარემოს. კერძოდ, მონტესკიე ამართლებს აზიური ქვეყნების პოლიტიკური თვითნებობას, ირწმუნება, რომ ეს ცხელი ჰავის აუცილებელი შედეგია. ამ და სხვა მსგავსი მცდარი დასკვნების წინააღმდეგ გამოდიან XVIII საუკუნის მატერიალისტები ჰელვეციუსის მეთაურობით.

არანაკლებ შეცდომებს უშვებს მონტესკიე, როდესაც ეხება ნიადაგის როლს ადამიანთა მორალსა და სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში. მისი აზრით ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის ვაკე განფენილობა განაპირობებს დესპოტურ რეჟიმს, მაშინ როდესაც მთაგორიანი რელიეფი ხელს უწყობს თავისუფლებას. ზუსტად ასევე, მონტესკიე ღრმადაა დარწმუნებული, რომ კუნძულის მცხოვრებლებს უფრო ახასიათებთ თავისუფლებისადმი მიდრეკილება, ვიდრე კონტინენტის მკვიდთ. „კუნძულები – წერს ის – ჩვეულებრივ პატარები არიან და აქ ძნელია მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დაჩაგროს მეორე; დიდი იმპერიებისაგან ისინი ზღვით ან ოკეანით არიან დაცილებული და ტირანია მათგან ვერ მიიღებს მხარდაჭერას; ზღვა გზას უღობავს დამპყრობლებს; კუნძულის მცხოვრებთარ არ ემუქრებათ დამორჩილება, ისინი ადვილად ინარჩუნებენ თავიანთ კანონებს”.

მონტესკიეს ამ დასკვნების უკუგდება ადვილია მისივე არგუმენტებით. ისევე, როგორც ძალზე განსხვავებული იყო ადამიანთა ისტორიული პერიპეტიები, მიუხედავად მათი უცვლელი გეოგრაფიული პირობებისა, ასევე უცვლელი იყო ინგლისელთა მდგომარეობა, თუმცა ამან არ შეუშალა ხელი ერთ ისტორიულ პირობებში მათ ყოლოდათ დესპოტები, ხოლო სხვა



შემთხვევაში _ თავიანთ უფლებებში შეზღუდული კონსტიტუციური მონარქები. მონტესკიეს თვალწინ იცვლებოდა ევროპის კონტინენტალური ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური პირობები. თვით მონტესკიე, როდესაც აკრიტიკებს საფრანგეთის მეფის თვითნებობას არ უპირისპირდება თავის გეოგრაფიულ კონცეფციას. ამიტომ მონტესკიეს გეოგრაფიზმი მისი სოციოლოგიის სუსტი ადგილა. როგორც ჩანს, ფრანგი განმანათლებელი თავადვე ამჩნევდა რომ გეოგრაფიული პირობები ვერ პასუხობს ხალხების ისტორიის ბევრ კითხვებს, ამიტომ ის ეძიებს საზოგადოების განვითარების სხვა, ობიექტურ საფუძვლებს, აყენებს მათ გეოგრაფიული გარემოს გვერდით. საბოლოოდ მონტესკიე იხრება „ფაქტორების თეორიის“ პლურალიზმისაკენ.

2. ეკონომიკა საზოგადოების ცხოვრებაში.

მონტესკიეს, როგორც სოციოლოგის ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა ეკონომიკის საკითხების შესწავლა. „კანონთა გონის“ მეთვრამეტე წიგნში ის აღნიშნავს, რომ კარგი ნიადაგი თავისთავად არ იძლევა მაღალგანვითარებულ მიწათმოქმედებას; მას უნდა დაემატოს ადამიანის ინტენსიური შრომა. მეტიც, მწირი ნიადაგი ხშირად სტიმულია სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის, თავისთავად მიწათმოქმედებისათვის. ნაყოფიერი ბუნებრივი გარემო აზარმაცებს ადამიანებს, ინერტულად გახდის მას და უუნაროდ განავითაროს თავისი საწარმოო ძალები. საბოლოო ჯამში მონტესკიე გარკვეული დოზით აკრიტიკებს ფიზიოკრატების, ამ პერიოდში გავრცელებულ, შეხედულებებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქვეყნის სიმდიდრე მთლიანად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე. ამ წიგნის მეოთხე თავი სპეციალურადაა მიმართული ფიზიოკრატების წინააღმდეგ, მისი სათაურია „ქვეყნების შესახებ, რომლებიც შექმნეს შრომისმოყვარე ადამიანებმა“.

„ზედმეტი ღირებულების თეორიაში“ კ.მარქსი მოიხსენიებს ფიზიოკრატების ისტორიულ დამსახურებას და იქვე მიუთითებს მათს ძირითად მეთოდოლოგიურ ნაკლზე _ ესაა სოციალური ურთიერთობების დაყვანა ბუნების კანონებზე, საზოგადოების თვისობრივი სპეციფიკურობისა და კანონზომიერებების იგნორირება.

მონტესკიე რიგ პუნქტებში სოლიდურად უტყვევს ფიზიოკრატებს, ეწევა ისტორიის გეოგრაფიული გაგების პროპაგანდას, ამავე დროე თითქოს არადამაჯერებლად და სანახევროდ მიუთითებს სოციალური ცხოვრების სპეციფიკაზე, აქ მიმდინარე პროცესების განსხვავებაზე ბუნებაში მიმდინარე პროცესებისაგან. ამავე წიგნის მეჩვიდმეტე თავში, სათაურით „ადამიანის მიერ ხელით შექმნილის შესახებ“, მონტესკიე მსჯელობს იმაზე, თუ შრომის წყალობით როგორ შეძლეს ადამიანებმა დედამიწა გაეხადად უფრო კომფორტულ საცხოვრებელ ადგილად. „როგორც არსებობენ ბოროტების სამსახურში მყოფი ნგრევის მოყვარული ადამიანები, რომლებიც მისგანვე იღუპებიან, ასევე არსებობენ სიკეთის მოყვარულები, რომლებიც სიკეთეს ემსახურებიან და არ ქრებიან მასთან ერთად“.

მეთვრამეტე თავში _ „კანონთა ზოგადი მიმართება“ მონტესკიე გვამლევს ერთ ლამაზ ფორმულას: „კანონები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იმ საშუალებებთან, რომლებითაც განსხვავებული ხალხები მოიპოვებენ არსებობის საშუალებებს“. მოხდა ისე, რომ ფრანგულმა



განმანათლებლობამ ვერ შესძლო ამ შინაარსიანი დებულების შემდგომი განვითარება. სამრეწველო საქმიანობას ყოველ ნაბიჯზე ანიჭებენ არა იმდენად ეკონომიკურ, რამდენადაც მორაკურ მნიშვნელობას. ღირებულება მონტესკიეს ზოგიერთი განცხადებები ეკონომიკური თეორიის მერკანტილიზმის სასარგებლოდ, რომლებიც შემდგომი თაობის ეკონომისტების თვალსაზრისით წარმოადგენდა წარმოების კაპიტალისტური წესის პირველ თეორიულ დამუშავებას. მერკანტილისტების გვერდით მონტესკიე უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჭრობას, ბრუნვის პრობლემას, ვიდრე თვით წარმოებას.

მონტესკიეს აზრით მოგების წყაროა საქონლის ძვირად გაყიდვა. აქედან მონტესკიეს ინტერესი საგარეო ვაჭრობის განვითარების, მისი აქტიური ბალანსისაკენ. მონტესკიეს მიერ განვითარებული დებულებებიდან ვაჭრობის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ, კეთდება დასკვნა: თუ საფრანგეთი უფრო მეტს გაყიდის, ვიდრე შეიძენს, ის გახდება ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. რომის იმპერიის ისტორიის შესწავლისას მონტესკიე დაასკვნის, რომ რომაელთა სიძლიერის დაცემაში ყველაზე სამწუხარო შედეგია საშინაო და საერთაშორისო ვაჭრობის მოშლა. ბარბაროსებმა, რომელთა აზრით ვაჭრობა და ყაჩაღობა იგივეობრივია, დიდი ხნით გადააგდეს კაცობრიობა უკან. ამერიკის აღმოჩენას, მონტესკიე განიხილავს ვლავ ამ სავაჭრო ინტერესების კუთხით და ამ აზრით აკრიტიკებს ესპანელებს, რომლებიც ახალ კონტინენტში ხედავენ მხოლოდ დაპყრობის ობიექტს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ოცდამეოთხე წიგნი, რომელიც მთლიანად ეძღვნება ფულის პრობლემებს. აქ ფული განისაზღვრება, როგორც ყველა საგანთა ღირებულების გამომხატველი იმანი. ფულის საკითხში მონტესკიე ცდილობს დაძლიოს მერკანტილიზმის პოზიცია. ის ითვლება ფულის ე.წ. რაოდენობრივი თეორიის ერთ-ერთ შემქმნელად, რომლის თანახმად ფულის ღირებულება განისაზღვრება მისი ბრუნვაში არსებული რაოდენობით. მარქსი „კაპიტალში“ აკრიტიკებს ამ პოზიციას „საქონელი შედის ბრუნვაში ფასის, ხოლო ფული ღირებულების გარეშე, მხოლოდ ამ პროცესში ხდება საქონლის ნაწილის გაცვლა მეტალის შესაბამის ხროვაზე“.

მიუხედავად მონტესკიეს ფულის რაოდენობრივი თეორიის მცდარი არსისა, ეს იყო მერკანტილისტებთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი, რომლებიც ოქროს განიხილავდნენ სიმდიდრის ერთადერთ ხორცშესხმად.

მონტესკიე შეეცადა ყურადღება მიექცია ფულადი ბრუნვის ისტორიისადმი. კერძოდ, აღნიშნა, რომ ძველი ათენელები არ იცნობდნენ მეტალის ფულს _ მონეტებს და ფულის ნაცვლად ხარებს იყენებდნენ, რომაელები კი ცხვრებს. ოქროსა და ვერცხლის მუდმივი ზრდა, მონტესკიეს მიაჩნია ცივილიზაციის მთავარ ამოცანად. ასეთი ზრდა კი შესაძლებელია საგარეო ვაჭრობით. ამიტომ აქებს ის ინგლისს იმის გამო, რომ მთელი მისი პოლიტიკა განისაზღვრება საგარეო ვაჭრობის ინტერესით. ინგლისელებმა სხვებზე მეტად ისარგებლეს ვაჭრობის შესაძლებლობებით.

გამოდის რა საგარეო ვაჭრობის აპოლოგიით, მონტესკიე მასში ხედავს ხალხების ურთიერთობის ძლიერ ფაქტორს, ვაჭრობის ბუნებრივი წარმოება, აცხადებს ფრანგი განმანათლებელი, ადამიანებს მშვიდობისაკენ უბიძგებს, რადგან ორ ერთმანეთთან მოვაჭრე ხალხს შორის ჩნდება ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთდანიტერესება და მეგობრობა. მონტესკიე აღნიშნავს ვაჭრობის სხვა დადებით მომენტებსაც: „ვაჭრობის სული ადამიანებში აღვიძებს



სამართლიანობის გრძნობას; ეს გრძნობა, ერთი მხრივ, უპირისპირდება ძარცვისაკენ სწრაფვას, მეორე მხრივ კი, ასაზრდოებს იმ მორალურ სიკეთეს, რომელიც ჩვენში აღვიძებს არა მხოლოდ მუდმივ სწრაფვას საკუთარი მოგებისაკენ, არამედ ზოგჯერ სხვებისათვის დათმობასაც. ვაჭრობის სრული არარსებობა, პირიქით, იწვევს ძარცვას, რომელსაც არისტოტელე თვლის შეძენის ერთ-ერთ ფორმად, მრავალ სხვა ფორმებს შორის.

მონტესკიე ხედავს ვაჭრობის უარყოფით მხარეებსაც. ერთმანეთთან მოვაჭრები იწამლებიან ვაჭრობის სულისკვეთებით და საერთო ინტერესების საზიანოდ იწყებენ პირადულის წინა პლანზე წამოწევას. „კანონთა გონში“ მონტესკიე აღნიშნავს, რომ „ვაჭრობის სული ხალხებს აერთიანებს, მაგრამ არა კერძო პირებს. ვხედავთ, რომ ქვეყნებში სადაც ადამიანებს ვაჭრობის სული იპყრობს, ყველა მათი საქმეები და მორალური სიკეთე იქცევა ვაჭრობის საგნად. უმცირესი ნივთები, ისინიც კი, რომელთაც კაცთმოყვარეობა მოითხოვს იქ კეთდება მხოლოდ ფულზე“.

ყველა ბურჟუაზიული ეკონომისტების მსგავსად ფულად-სასაქონლო ურთიერთობების გაფეტიშებას მონტესკიე მიყავს არასწორი განცხადებისაკენ: თუ მდიდრები ცოტას დახარჯავენ, ღარიბები შიმშილით დაიხოცებიან; ამით მონტესკიე ამართლებს გაბატონებულთა პარაზიტობას. ეს თვალსაზრისი, მარქსის მიხედვით მოწმობს, რომ ფრანგი განმანათლებელი დგას რა ბურჟუაზიულ პოზიციებზე, ამავე დროს მოწამლულია შუასაუკუნეობრივი არისტოკრატიული შეხედულებებით.

ვაჭრობის როლის აღიარებასთან ერთად მონტესკიე სერიოზულ ყურადღებას უთმობს მრეწველობის განვითარებას. მას აინტერესებს მრავალრიცხოვანი ტექნიკური გამოგონებები, რომლებიც ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. „კანონთა გონის“ ერთ-ერთი თავი ეძღვნება მრეწველების წახალისებას. მონტესკიე თავაზობს წარმატებულ მიწათმოქმედებსა და მეწარმეებს დაუნიშნონ პრემიები. ასეთი ღონისძიებები ნებისმიერ ქვეყანას წაადგება.

აღარებდა რა მიწათმოქმედთა და მრეწველთა შემოსავალს, მონტესკიე ცდილობს დაასაბუთოს ინდუსტრიის განსაკუთრებული უპირატესობები. მიაქციეთ ყურადღება _ წერს ის _ რაოდენ დიდია მრეწველობის შემოსავლები. მიწაზე დახარჯული კაპიტალი იძლევა თავისი ღირებულების მეოცედი ნაწილის მოგებას, მხატვარი ერთი პისტულის საღებავებით შექმნის ორმოცდაათი პისტულის ღირებულების საქონელს. იგივე შეიძლება ითქვას ოქროზე მომუშავე ოსტატებზე, მუშებზე, რომლებიც ქმნიან შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს და საერთოდ, ყველა ხელოსნების მიმართ. მაგრამ მთლიანობაში მონტესკიე არ არის სწორი როდესაც სრულ უპირატესობას მაინც ვაჭრობას ანიჭებს. როგორი შეზღუდულის არ უნდა იყოს მონტესკიეს ეკონომიკური შეხედულებები, ისინი მიმართულია ფეოდალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას.

4. მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე.

ფეოდალური სახელმწიფოს გაქრობის წინახანებში საფრანგეთის ბურჟუაზია, პირველ რიგში, დაუფიქრდა სახელმწიფო ძალაუფლების ბუნებას. მონტესკიეს სოციოლოგიურ პრობლემებში დიდი ადგილი უკავია სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების პრობლემებს. მას არ სჯერა, რომ სახელმწიფო დამოკიდებულია ღვთიურ ნებაზე: ძალაუფლების ღვთიური



წარმოშობის თეორიული აღიარება მიგვიყვანს ყველაზე დახვეწილ თეოლოგიურ შეხედულებებთან, როგორც იცავდნენ „ეკლესიის მამები“ და თომა აქვინელი; პოლიტიკურად კი სამუდამოდ ამკვიდრებს დესპოტიზმს მისთვის დამახასიათებელ ვარიაციებში. შეიძლება დაუპირისპირდე სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას თუ ის ღვთაებრივი წარმოშობისაა, როგორი არასამართლიანიც არ უნდა იყოს ის? ამიტომ განმანათლებლები, მათ შორის მონტესკიე, ამოდის ხელშეკრულების თეორიიდან და ამტკიცებს, რომ პოლიტიკურ წყობას ქმნის არა მიღმური ძალები, არამედ ადამიანები, ადამიანების ინტერესებისათვის. ანიჭებდა რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სახელმწიფოს წარმოშობის ბიოლოგიურ და გეოგრაფიულ წანამდგრებს, მონტესკიე ამავე დროს დარწმუნებულია, რომ საბოლოო ჯამში სახელმწიფო არის ადამიანური გონის პროდუქტი. ადამიანებმა, გაიგეს, გააცნობიერეს, რომ სახელმწიფოს გარეშე ისინი ვერ შესძლებენ ნორმალურად არსებობასა და განვითარებას და ამიტომ მათ, ბუნებრივი მდგომარეობის საპირისპიროდ, უპირატესობა მიანიჭეს სახელმწიფოს.

საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი ასეთი მიდგომის ნაკლოვანი მხარეების მიუხედავად, მას აქვს სერიოზული პროგრესული მნიშვნელობა ფეოდალურ და საეკლესიო მოძღვრებებთან მიმართებასა და მათთან ჭიდილში.

ასევე მკაცრად დაუპირისპირდა მონტესკიე თეორიას, რომელიც აიგივებს სახელმწიფო ძალაუფლებასა და მამის ძალაუფლებას. არ შეიძლება სახელმწიფო წყობაზე, ამტკიცებს მონტესკიე, ისაუბრი ოჯახური ურთიერთობების ანალოგიურად. გლეხები არ არიან ფეოდალების შვილები და ფეოდალები არ გვანან მათ მშობლებს.

„კანონთა გონის“ პირველ წიგნში ვკითხულობთ – „იმაზე დაყრდნობით, რომ მამის ძალაუფლება თვით ბუნებითაა დადგენილი, ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ერთის მმართველობა ყველაზე ბუნებრივია. მაგრამ მამობრივი ძალაუფლების მაგალითები არაფერს არ ამტკიცებს, რადგან თუ მამის ძალაუფლება შეესაბამება ერთის ძალაუფლებას, მამის გარდაცვალების შემდეგ ძმების ძალაუფლება ან მათ შემდეგ ბიძაშვილების ძალაუფლება შეესატყვისება რამდენიმე პიროვნების ძალაუფლებას. პოლიტიკური ძალაუფლება აუცილებლად გულისხმობს რამდენიმე ოჯახის კავშირს“.

შემდგომი დროის ფრანგი ისტორიკოსები და ფილოსოფოსებიც მონტესკიეს მიიჩნევენ პროვინციული ელიტის იდეოლოგიად და კიდევ დასცინოდნენ მას ამის გამო. მაგრამ, სწორედ რომ პროვინციული ელიტა ასაბუთებდა და იცავდა თავის პრივილეგიებს პატრიარქალურ-ოჯახური ტრადიციებითურთ, მონტესკიე კი სწორედ ამ ტრადიციებს აკრიტიკებდა და იცავდა გამოღვიძებული მესამე ფენის ინტერესებს და ამით უპირისპირდებოდა ფეოდალურ-წოდებრივ წყობას.

მონტესკიე განმანათლებელთა მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელია და ნაკლებად სჯეროდა ხალხთა მასებისა და მათი რევოლუციური ენთუზიაზმის. მაგრამ თვით რუსო, დემოკრატი განმანათლებელი, ხალხთა სუვერენიტეტის ნამდვილი გულშემატკივარი და პროპაგანდისტი საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მშრომელებს შეზღუდულ ფუნქციებს ანიჭებდა. მით უფრო ნაკლები საფუძველი ქონდა მონტესკიეს დაეცვა ხალხთა მასები. მაგრამ, თუნდაც შეზღუდულად და ფორმალურად ის მაინც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ძალაუფლება არსებობს ხალხისათვის და შეესაბამება მის ხასიათს. მონტესკიეს ეზიზღება წყობა სადაც მასები



ხმაჩაკმენდილია. მონტესკიეს მიაჩნია, რომ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია და საჭიროცაა ხალხისაგან რაღაცეები ისწავლო.

მონტესკიე მიუთითებს სახელმწიფოებრივი ძალაუფლების სამ ძირითად ფორმაზე, რომლებსაც, მისი აზრით, შეუძლიათ გარკვეული დოზით შეასრულონ აუცილებელი სოციალური ფუნქციები; ესაა – რესპუბლიკა, მონარქია და დესპოტია. რესპუბლიკა მონტესკიესათვის არის მმართველობა, რომლის უმაღლესი ძალაუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ ხალხის ხელშია. მონარქია მას ესმის, როგორც ერთი ადამიანის მმართველობა, რასაც ის ახორციელებს კანონების საშუალებით. რაც შეეხება დესპოტიას, ის განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოებრივი წყობა, რომელიც სრულად ემორჩილება ერთი ადამიანის სურვილებს და ადგილი აქვს კანონების სრულ იგნორირებას.

რესპუბლიკურ წყობაზე საუბრისას მონტესკიე იცავს საყოველთაო საარჩევნო უფლებებს. ის ამტკიცებს, რომ ხალხს შეუძლია ღირსეული ხელმძღვანელის არჩევა და მისი კონტროლი. ამავე დროს ის წინააღმდეგება ხალხიდან გამოსულების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნას. ეს უნდა გავიგოთ როგორც მისი კომპრომისი პრივილეგიებულ ფენებთან მიმართებაში. ხალხი, წერს მონტესკიე, ძალზე ჭკვიანურად ირჩევს თავის ხელმძღვანელს, ვისაც ანდობს ძალაუფლებას. მან იცის, მაგალითად, რომ ვიღაც კარგი მეომარია და ირჩევს მას სამხედრო ხელმძღვანელად, იცის, რომ ვიღაც სამართლიანი და პატიოსანი მოსამართლეა და ყოყმანის გარეშე ანდობს მას ამ სფეროს ხელმძღვანელობას. „მაგრამ, შესძლებს კი თავად შეასრულოს რაიმე დიდი საქმე – კითხულობს მონტესკიე – შეისწავლოს ადგილი, ვითარება, შესაძლებლობა, ხელსაყრელი მომენტები, გამოიყენოს ეს ცოდნა? რა ის ამას ვერ შესძლებს.

ისევე, როგორც მოქალაქეთა უმრავლესობას შეუძლია იყოს ამომრჩეველი, მაგრამ არა აქვს ყველა აუცილებელი თვისება იყოს არჩეული, ასევე ხალხს შეუძლია გააკონტროლოს სხვისი საქმიანობა, მაგრამ თავად ძალიან გაუჭირდება სხვისი წაძლოა, ნეგატიური შედეგები კი მასვე დაუბრუნდება.

რესპუბლიკის მთავარ ნაკვს მონტესკიე იმაში ხედავს, რომ მას უშუალოდ ხელმძღვანელობს ხალხთა მასები, რომელთა ქმედებები განისაზღვრებიან „ვნებებით და არა გონებით“, ამიტომ ის უპირატესობას ანიჭებს გონიერ მონარქს, მაგრამ აღიარებს, რომ რესპუბლიკა რიგ შემთხვევებში არანაკლებ კანონზომიერია, ვიდრე მონარქია. ფრანგი განმანათლებლის ამ იდეას ქონდა ძალზე პროგრესული მნიშვნელობა.

მიუხედავად განათლებული მონარქისადმი თავისი თანაგრძნობისა, მსოფლიო ისტორიაში მონტესკიე პოულობს მონარქიულ წყობასთან შედარებით რესოუბლიკური წყობის უპირატესობების დასაბუთებებს. „სპარსულ წერილებში“ ის პოლემიკაშია ფეოდალურ ისტორიოგრაფებთან, რომლებიც ვერც კი ამჩნევდნენ მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას. ამისათვის ის მიმართავს არა მხოლოდ ძველ საბერძნეთს, ძველი რომის ან კართაგენის ისტორიებს, არამედ მიუთითებს, რომ განვითარების გარკვეულ სტადიაზე იტალიასა, ესპანეთსა და გერმანიაშიც არსებობდა მართვის რესპუბლიკური ფორმა. ძველი საბერძნეთის ისტორიას ის უყურებს, როგორც მონარქიული ძალაუფლებისაგან ბერძენი ხალხის თანდათანობით განთავისუფლების ისტორიას. მხოლოდ რესპუბლიკაში, ასკვნის მონტესკიე, შეიძინეს ძველმა ბერძნებმა ჭეშმარიტი თავისუფლება და მიაღწიეს მეურნეობისა და კულტურის აღმავლობას.



მონტესკიე წინააღმდეგია საფრანგეთის მონარქიის რევოლუციის გზით დამხობისა, მაგრამ იძულებულია აღიაროს ძველ სამყაროში არსებული რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობა. ის აღნიშნავს, რომ ძველ სამყაროში რესპუბლიკური წყობა დამკვიდრდა მონარქიის მხრიდან დაუნდობელი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად.

სუბიექტურად, მაგრამ მონტესკიეს არ სურს ასეთი ბრძოლა საფრანგეთში, აღნიშნავს კომპრომისის სამეფო ძალაუფლების მხრიდან. ბურჟუაზიული რევოლუციის მომხრენი სხვაგვარად აფასებენ მის გამოსვლებს. ისინი სწორედ მონტესკიეს შრომებზე დაყრდნობით ასაბუთებდნენ საფრანგეთში რესპუბლიკური წყობის დამკვიდრების აუცილებლობას.

„სპარსულ წერილებში“ გატარებულია მშვენიერი აზრი რესპუბლიკური რეჟიმის ეკონომიკური უპირატესობების შესახებ. მონტესკიე ღიად აცხადებს, რომ სამოქალაქო თანასწორობა ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობას, მაშინ როდესაც დესპოტიზმს მივყევართ მოსახლეობის დიდი ნაწილის გადატაკებამდე. რესპუბლიკაში ქვეყნის სიმდიდრეს მივყევართ მოსახლეობის ზრდისაკენ. „მართვის სირბილე – წერს მონტესკიე – საოცრად უწყობს ხელს ადამიანის მოდგმის გამრავლებას. ყველა რესპუბლიკა ამის დადასტურებაა, ყველაზე მეტად კი შვეიცარიის და ჰოლანდიის, ევროპის ყველაზე ცუდი ქვეყანა, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი ტერიტორიების ბუნებრივ პირობებს, და მაინც ყველაზე მეტად დასახლებული ქვეყნებია.

არაფერი ისე არ იზიდავს უცხოელებს, როგორც თავისუფლება და მისი მუდმივი თანმდევი სიმდიდრე: პირველი მიმზიდველია თავისთავად; ჩვენს მოთხოვნილებებს თავისით მივყავართ მეორისაკენ.

ადამიანები მრავლდებიან იმ ქვეყნებში, სადაც ბარაქა იძლევა ბავშვების დაპურების შესაძლებლობას და რაც არანაირად არ ამცირებს მშობლების კეთილდღეობას.

სამოქალაქო თანასწორობასაც კი, რომელსაც მოყვება სიმდიდრის თანასწორობაც, ბარაქა და სიცოცხლე შეაქვს პოლიტიკური ცხეულის ყველა ნაწილში და ავრცელებს ყველგან.

ეს არაა იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია უსამართლობა: მეფე, სამეფო კარი და კერძო პირთა შეზღუდული რაოდენობა ფლობს მთელ სიმდიდრეს, სხვა ყველა სიღარიბის მარწუხებშია მოქცეული.

თუ ადამიანი სიღარიბით იხრჩობა და გრძნობს, რომ მისი შვილებიც უარეს დღეში იქნებიან, ის არც დაქორწინდება ან თუ დაქორწინდა, შეეცდება ცოტა იყოლიოს ბავშვები. მას არ სურს, რომ მისი მემკვიდრეები მასზე დაბლა იდგნენ ქონებრივი თუ სოციალური კიბის საფეხურებზე.

მონტესკიეს ეს სიტყვები პირდაპირ ასხავს წყალს მალთუსიანელების, წისქვილზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მშრომელთა გაღარიბება შედეგია მათი ზედმეტი გამრავლებისა. მონტესკიეს ესმოდა, რომ სიღარიბის მიზეზები ეს არ არის, მაგრამ ვერ ჩაწვდა იდეას, რომ ფართო მასების კეთილდღეობა მიუღწეველია გარკვეული სოციალური წყობების ჩარჩოებში.

მნიშვნელოვანია მონტესკიეს იდეური დაპირისპირება საფრანგეთში დესპოტურ რეჟიმთან. „სპარსულ წერილებში“ ის ატარებს აზრს, რომ ფრანგი მეფეების არასამართლიანი, ხალხთა მასების საწინააღმდეგო ქმედებები აღემატება აღმოსავლეთის სულთანებისა და ფადიშახების ტირანულ ძალაუფლებებს. თუ სპარსელები უსიტყვოდ ემორჩილებიან თავიანთ მონარქს, მონტესკიეს აზრით, ისინი ამას აკეთებენ დაუფიქრებლად. საფრანგეთში კი მეფის მორჩილებაშია ადამიანთა აზრებიც. ესენი გააზრებულად ემსახურებიან თავიანთ დესპოტს, ანუ არიან მეფის მონები. ამავე დროს, მონტესკიეს აზრით, მასები არსებითად იგნორირებენ მეფეს.



მისგან მომავალი არც სიკეთე და არც ბოროტება არ სჭირდებათ მათ, მესამე ფენას. „თუნდაც რომ ათმა მეფემ, ერთმანეთი ამოხოცოს ხალხი ვერავითარ სხვაობას ვერ დაინახავს, სულერთია, თითქოს აქამდე ათიოდე სული თანმიმდევრულად განაგებდა მათ”.

ფრანგი მეფე ყველაზე ძლიერი ხელმწიფეა ევროპაში – აგრძელებს მონტესკიე – მას არა აქვს ოქროს საბადოები ესპანელი მეფის მსგავსად, მაგრამ სხვა მეფეებზე მეტი სიმდიდრე აქვს, რადგან ის უნამუსოდ მარცვავს მთელს ხალხს, სხვა ხალხების გასამარცვად ეწევა არასამართლიან ომებს, აწარმოებს თაღლითურ ფინანსურ ოპერაციებს. ფრანგი მეფე, ირონიულად შენიშნავს მონტესკიე, ერთნაირი გენიალობით მართავს თავის ოჯახსა და თავის სახელმწიფოს. ის აჯილდოვებს იმას, ვინც ემსახურება საფრანგეთს, ვინც მის წინაშე წარმატებით მლიქვნელობს, თან ეს ბოლო პირველს ურჩევნია.

„სპარსულ წერილებში” მონტესკიე აკრიტიკებს დესპოტიზმს კონკრეტული ფაქტებითა და მათი ილუსტრირებით, როგორც წარსულის მაგალითებით, ასევე მისი თანამედროვე ეპოქიდან აღებული ფრაგმენტებით. „კანონთა გონში” კი მონტესკიე ცდილობს თეორიულად გამოაშკარაოს დესპოტიზმის უვარგისობა, მისი ბოროტი ბუნება, მიუხედავად მმართველთა ხასიათისა. არცერთ დესპოტურ სახელმწიფოში, აცხადებს ის, არავითარი კანონი არ არსებობს. თუმცა კანონები რომც არსებობდნენ მათ რეალურად ნოლზე დაიყვანდნენ, რადგან არ არსებობს დაწესებულება ამ კანონების დასაცავად. შეუზღუდავი მონარქი, როგორც წესი, თავის ძალაუფლებას ანდობს მატყუარებსა და უსინდისო ხალხს, რომლებიც ნაკლებ ფიქრობენ ქვეყნის სიკეთეზე, უფრო საკუთარ სიმდიდრეზე. რაც შეეხება თვით დესპოტს, ის იმდენად შეეჩვია მლიქვნელობას, უსინდისობასა, უმეცრებასა და სიცრუეს, რომ კარგავს ყველა დადებით თვისებებს და გადაიქცევა ამოროლაურ არსებად, ცხოველური ინსტინქტების ტყვედ. დესპოტურ სახელმწიფოში, თვლის მონტესკიე, ადამიანი, რომელსაც ყველა ხუთი გრძნობა ეუბნება, რომ ის არის ყველაფერი და სხვა არაფერს არ წარმოადგენს, ბუნებრივია არის ზარმაცი, უმეცარი და გახრწნილი. დესპოტური რეჟიმი, ამტკიცებს ის, იგივე ტერორისტული რეჟიმიც, რომელმაც მხოლოდ ერთი გზა იცის – მოქალაქეთა დაშინება. ამიტომ, ასკვნის მონტესკიე, დესპოტიზმი არ არის მყარი და სიცოცხლისუნარიანი.

„კანონთა გონის” მეხუთე წიგნის XIII თავში მონტესკიე დესპოტურ მმართველობას ადარებს ლუიზიანას ჩვეულებრივ ველურებს, რომლებიც ნაყოფის მოსაწყვეტად ძირში ჭრიან ხეს. ასე მოქმედებს დესპოტური მმართველობა, თავადვე ჭრის ტოტს, რომელზედაც თავადვე ზის.

ფეოდალურ-დესპოტურ რეჟიმს მონტესკიე უპირისპირებს კონსტიტუციურ მონარქიას ან რესპუბლიკურ რეჟიმს და ლოკის მსგავსად ანვითარებს ძალაუფლების დანაწილების კომპრომისულ თეორიას – ძალაუფლებას ანაწილებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ძალაუფლებად, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. მონტესკიე დარწმუნებულია, რომ თუ მონარქი მართვისას არ ჩაერევა სასამართლო ფუნქციებში, ხოლო საკანონმდებლო ორგანო მხოლოდ კანონებს დაადგენს და არ მართავს ქვეყანას, ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენა კმაყოფილი დარჩება, კერძოდ, ბურჟუაზია არ გადაეკიდება მტრად არისტოკრატიულ ელიტას. ამ საკითხში მონტესკიე, ლოკის მსგავსად ორიენტირებულია ინგლისის 1688-1689 წლების სახელოვან რევოლუციაზე, როდესაც გაფორმდა კლასობრივი კომპრომისი ბურჟუაზიასა და ფეოდალურ არისტოკრაციას შორის. ასეთ კომპრომისზე ოცნებობდა მონტესკიე საფრანგეთისათვის. თავისთავად, ძალაუფლების დანაწილების თეორია



პროგრესულ როლს ასრულებდა მონტესკიეს ეპოქაში, რადგან გარკვეული დოზით ზღუდავს მონარქის საკანონმდებლო და სასამართლო უფლებებს. მაგრამ არსებითად, ქონდა დიდი ნაკლი, რადგან ანადგურებდა სახელმწიფო ერთიანობის ძალას. აღმასრულებელ ძალაუფლებას ანიჭებდა დამოუკიდებლობას საკანონმდებლო ძალაუფლებისაგან და ფაქტობრივად კონტროლის გარეშე აყენებდა მას, ხოლო საკანონმდებლო ძალაუფლება გადააქცია ორგანიზაციად, რომელიც ქმნის კანონებს, ადევნებს ყურადღებას მათ ქმედითუნარიანობას, შესრულებას. ძალაუფლებებს შორის ჩნდებოდა კონფლიქტები. ძალაუფლების დანაწილების თეორია ფრანგი განმანათლებლის კომპრომისის ტიპიური მაგალითია.

ასევე მოზომილი და კომპრომისული ხასიათისაა მონტესკიეს მცდელობა პრინციპულად განეცალკეებინა მონარქიული და დესპოტური რეჟიმები. რესპუბლიკაში, ირწმუნებოდა მონტესკიე, ბატონობს სიკეთის პრინციპი, მონარქიაში – ღირსების პრინციპი, ხოლო დესპოტურ რეჟიმს ახასიათებს შიშის პრინციპი. მარქსი, ერთ-ერთ წერილში მკაცრად აკრიტიკებს მონტესკიეს ამ დებულებას. მონარქიის პრინციპია არაადამიანურობა და მონტესკიე არ არის მართალი, როდესაც ღირსებას მონარქიის პრინციპად სახავს. ის ცდილობს გაექცეს სიძნელეს, როდესაც სურს განასხვავოს მონარქია, დესპოტია და ტირანია. მაგრამ ეს ერთი და იგივეა, უკეთეს შემთხვევაში მიუთითებს ზნეობის სხვადასხვაობაზე ერთსა და იმავე პრინციპის ჩარჩოებში. სადაც მონარქიულ პრინციპს უმრავლესობა ემხრობა იქ ადამიანი უმცირესობაშია, ხოლო სადაც მონარქიული პრინციპი ექვს არ იწვევს, იქ ადამიანი საერთოდ გამქრალია – თვლის კ.მარქსი.

როდესაც იცავს მონარქიის პრინციპს მონტესკიე, დემოკრატი რუსოსაგან განსხვავებით, ამოდის ბურჟუაზიული ზედაფენების ინტერესებიდან. ის თავადაც გულახდილად აღიარებს, რომ შეუძლებელია მოიაზრო მონარქიული მმართველობა პრივილეგირებული უმცირესობის გარეშე, მდიდარი ვაჭრების, მეწარმეების, დიდგვაროვნების არსებობის გარეშე. მაგრამ მთელი თავისი კლასობრივი შეზღუდულობის მიუხედავად მონტესკიე აქაც ბევრად მაღლა დგას ბურჟუაზიის უფრო გვიანდელ იდეოლოგიებთან შედარებით. ის იცავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებას და მოითხოვს, რომ მონარქიული ძალაუფლება მთელი პატივით მოეკიდოს ხალხს. მონარქიის პრინციპი იწყებს ლპობას, ამტკიცებს მონტესკიე, როდესაც სახელმწიფოში მაღალი თანამდებობები უკავიათ დიდგვაროვნებს, რომელთაც ხალხი არ ენდობა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ყველაფრით ვალში არიან ხელმწიფესთან და არავითარი ვალდებულება არ აკავშირებთ სახელმწიფოსთან. მონარქიული რეჟიმი ვალდებულია მისცეს ყოველ მოქალაქეს პოლიტიკური თავისუფლების მინიმუმი. ხელმწიფემ არ უნდა შეურაცხყოს მოქალაქეები და არ უნდა დაარღვიოს კანონები. თუ ხელმწიფე თავს დააყენებს კანონებზე მაღლა, ის გადაიქცევა დესპოტად.

პოლიტიკურ თავისუფლებასთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისების შედარებისას მონტესკიე აღნიშნავს, რომ ზოგიერთს პოლიტიკური თავისუფლება ესმის როგორც შესაძლებლობა დაამხონ ის ვისაც მათვე მიაჩნის ტირანიული უფლებები, და ასევე თავისუფლება გონიათ იმის არჩევის უფლება, ვისაც თავად უნდა დაემორჩილონ. მონტესკიეს ამ განცხადებაში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ავტორები (მაგალითად, მარატი, სენ-ჟიუსტი და სხვები) ხედავენ საფრანგეთის მეფეთა ტირანული ძალაუფლების ჩამოგდების იდეურ საფუძველს.



თვით მონტესკიე ორიენტირებულია რევოლუციაზე ზემოდან, პროგრესულ კანონმდებლობაზე. მისი მთავარი ნაშრომი შემთხვევით არ იწოდება „კანონთა გონად“; აქ მონტესკიე დეტალურად აანალიზებს კანონმდებლობების სხვადასხვა ფორმებს ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე. ის ხაზს უსვამს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების აბსოლუტიზირების საშიშროებას, რომლის შემდეგაც ისინი გადაიქცევიან საქმისათვის უვარგის და გაყინულ რამედ. „ადამიანურ კანონებს – ასკვნის მონტესკიე – ბუნებრივად ახასიათებს სინამდვილის ყველა სახეცვლილებებისადმი დაქვემდებარება“.

ამით მონტესკიე გადჭრით ემხრობა ფეოდალური კანონების, როგორც მოძველებული კანონების ახლით შეცვლის იდეას, რომლებიც შეესაბამებიან მესამე ფენის ინტერესებს, სხვა სიტყვებით, საფრანგეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გადაქცევის ინტერესებს. ის ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე მოითხოვს მხოლოდ „კარგი“ კანონების შექმნას, ანუ კანონებისა, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებრივ სიკეთეს. თუ საზოგადოებრივი კანონები ეწინააღმდეგებიან ბუნებრივ სამართალს, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბუნებრივ სამართალს. სამაგიეროდ, თუ სამოქალაქო კანონები წინააღმდეგობაში აღმოჩნდებიან რელიგიის კანონებთან, პირველს უნდა მიეცეს პრივილეგია (მონტესკიე ათეისტია, ის უპირისპირდება შუასაუკუნეების რელიგიის ხასდიათს).

„კანონთა გონის“ ოცდამეექვსე წიგნში არის ერთი თავი საინტერესო სათაურით: „რომელ შემთხვევაში უნდა დაუჯერო სამოქალაქო კანონს, რომელიც გპასუხობს და არა რელიგიის კანონს, რომელიც გეკითხება“. არიდებს რა თავს დევნას რელიგიის მხრიდან, ფრანგი განმანათლებელი, ფორმალურად აღიარებს „რელიგიური ნორმების სიდიადეს, თუმცა იქვე დეტალურად ახსნის, თუ რატომაა აუცილებელი სახელმწიფო კანონების დაცვა ყველა მოქალაქის მიერ, ხოლო რელიგიის კანონებისა მორწმუნე ადამიანების მიერ ნებაყოფლობით და იმ ზომით, რა ზომითაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან დადგენილ საერთო კანონებს. „რელიგიის კანონები – წერს მონტესკიე – უფრო დიადია, სამოქალაქო კანონები კი უფრო ფართოა. რელიგიიდან აღებული ადამიანის სრულყოფის კანონებს მხედველობაში აქვთ არა იმდენად საზოგადოება, სადაც ამ კანონებს იცავენ, რამდენადაც ამ კანონების მიმდევარი ცალკეული ადამიანების თვისობრივი მხარეები; სამოქალაქო კანონებს კი პირიქით, მხედველობაში აქვთ ადამიანების ზნეობრივი ღირსებები ზოგადად, ვიდრე ცალკე ადამიანისა.

ამგვარად, რა ღირსეულიც არ უნდა იყვნენ რელიგიიდან წამოსული კანონები და ცნებები, ისინი ყოველთვის ვერ იქნებიან სამოქალაქო კანონებისათვის სახელმძღვანელო და დასაყრდენი, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის საწყისი სხვაა – ესაა მთლიანად საზოგადოება, მისი სიკეთე. აქ ფრანგი ცხადად გამოყოფს სამოქალაქო სამართლის პრინციპებს რელიგიური კანონებისაგან და ფაქტობრივად ამ თემის ლოგიკური გაგრძელების შემდეგი ეტაპი იქნება ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის საკითხი, რაც მონტესკიეს იდეაცაა.

არანაკლებ პროგრესულად მსჯელობს მონტესკიე კანონების შედგენის საშუალებებზე. ამ პრობლემას ეძღვნება ოცდამეცხრე წიგნი. აქ გადაჭრით იქნა დაგმოხილი აბსოლუტისტური რეჟიმი, როდესაც ბატონობს უკანონობა. ამავე დროს ავტორი არ ეთანხმება კანონმდებლებს, რომლებიც კანონებში ხედავენ რაღაც თვითნებურს და შემთხვევითს და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფორმალურ მხარეს. მონტესკიე მსჯელობს, რომ არ ღირს კანონების განხილვა მიზნისა და გარემოების გაუთვალისწინებლად, რომელთათვის და რომელთა გამოც



ისინი არიან შექმნილი. ის აღშფოთებული კიცხავს არაადამიანურ კანონებს, რომლებიც არღვევენ მოქალაქეების ელემენტარულ უფლებებს; ასეთი ძველ ათენში იყო კანონი, რომელიც მოითხოვდა ქალაქის გარმოცვის (მტრის მიერ) შემთხვევაში დაეხოცათ ყველა მოქალაქე, ვინც უვარგისი იყო ქალაქის დასაცავად; ეს საზიზღარი პოლიტიკური კანონი შედეგია არანაკლებ საზიზღარი საერთაშორისო სამართლისა; ძველ საბერძნეთში დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობა კარგავდა სამოქალაქო თავისუფლებას და მონებად იყიდებოდნენ. ეს კანონი იწვევდა გარემოცვაში მყოფი მთელი მოსახლეობის სასტიკ წინააღმდეგობას, მათ კაპიტულაციას სიკვდილი ერჩიათ. ამგვარად, უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ კანონებს ზიანი მოაქვთ, როგორც დამარცხებულთათვის ასევე გამარჯვებულთათვის.

მრავალი საინტერესო გვერდი მიუძღვნა მონტესკიემ ინკვიზიციის ტრიბუნალში მოქმედ არაადამიანურ იურიდიულ ნორმებს. „ინკვიზიციის სასამართლო – მიუთითებდა ის – დაკანონებული ქრისტიანი ბერების მიერ და ორგანიზებული მსგავსად მონანიე ცოდვილთა მიმართ უზენაესი სასამართლოსი, მიუღებელია ყოველგვარი სახის სამოქალაქო წესრიგისათვის. მან დაიმსახურა საყოველთაო ზიზღი და გახდებოდა კიდევ მის მიმართ აგორებული პროტესტის მსხვერპლი, რომ არა მისი მომხრეების უნარი შემოებრუნებინათ პროტესტი თავისი ინტერესების შესაბამისად.

ეს სასამართლო აუტანელია ნებისმიერი მმართველობისათვის; მონარქიაში ის ბადებს მხოლოდ ენატანიებსა და მოღალატეებს; რესპუბლიკაში აჩენს უსინდისო ადამიანებს; დესპოტურ სახელმწიფოში ისევე დამანგრეველია, როგორც თავად ეს სახელმწიფო.

საბოლოო ჯამში მონტესკიე მიდის დასკვნამდე: კანონი უნდა იდგას თავისუფლებისა და ყველა მოქალაქის, მიუხედავად მათი წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსისა, ფორმალური თანასწორობის, კერძო საკუთრებისა და თავისუფალი ვაჭრობის სადარაჯოზე. ეს დასკვნა გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ლოზუნგი მომავალი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციისა.

5. ომი და სამხედრო ხელოვნება.

მონტესკიეს მოძღვრება სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ უშუალოდაა დაკავშირებული მის მოძღვრებასთან ომის შესახებ. ფრანგი განმანათლებელი გადაჭრით განერიდა ომებზე თეორიული შეხედულებებს. ომს ადამიანები ეწევიან და არავითარი კავშირი არა აქვს ღმერთთან, ზებუნებრივ მიზეზებსა და მიზეზთან. ისტორიის ბიოლოგიზირების მომხრე მონტესკიე, როგორც ადრე ავლნიშნეთ, უცხოა იმ სოციოლოგებისათვის, რომელთა მიხედვით ომი „ბუნებრივი კანონია“. ამ მიმართებით ის ჰობსზე მაღლა დგას. ომის საკითხებს მონტესკიე უფრო მეცნიერულად და უფრო ღრმად იკვლევს, ვიდრე სხვა სოციოლოგები, მათ შორის XX საუკუნის სოციოლოგებიც კი, რომელთა მიხედვით ომის მიზეზია ადამიანთა თავებში ჩადებული მიდრეკილება ჩხუბისადმი. უახლესი გეოპოლიტიკოსები ომში ხედავენ ხალხებისა და სახელმწიფოების ბრძოლას „სასიცოცხლო სივრცისათვის“. მონტესკიე, მიუხედავად მისი გეოგრაფიზმისა ამ თვალსაზრისს ვერ იზიარებს; ბოლოს, მისი კონცეფციისათვის მიუღებელია ომების რასისტული გაგება. ფრანგი განმანათლებელი საერთოდ ვერ ხედავს უმაღლესი რასის ბრძოლისუნარიანობის ნიშნებს. ის ღრმადაა დარწმუნებული, რომ ომი არ არის დაკავშირებული კანის ფერთან ან თავის ქალის ზომებსა და ფორმასთან. მონტესკიესათვის ომი – სოციალური



მოვლენაა. ის ცდილობს ომებს მიუდგეს ისტორიულად, კონკრეტული ფაქტების და არა ხელოვნურად შეთხზულ სქემებზე დაყრდნობით. მისი ნაშრომი რომალების შესახებ ეძღვნება სწორედ ძველი სამყაროს ომების ისტორიის ანალიზს. ის არ ერიდება შეეხოს ომების მატერიალურ ქვეტექსტს და რიგ შემთხვევაში თავს არიდებს ვოლუნტარისტულ მიდგომას ომებზე, როგორც მონარქების ან რესპუბლიკის ბელადების ნების შემთხვევით პროდუქტზე.

რომაელებზე ნაშრომის პირველ თავში მონტესკიე ეხება და ხსნის რომულისა და მისი მომხრეების მეომრულ ჟინს, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ისინი არსებობდნენ დამარცხებულებისათვის წართმეული ნადავლით. რომი არ იყო სავაჭრო ქალაქი, მსჯელობს „განაზრებები. . .ის“ ავტორი, იქ თითქმის არ იყვნენ ხელოსნები, ამიტომ ომი იყო მისი მოქალაქეების გამდიდრების ერთადერთი გზა. „თვით მარცვაში დაცულია ცნობილი დისციპლინა: ეს მიმდინარეობდა დაახლოებით ისევე, როგორადაც ახლა ვხედავთ ყირიმელ თათრებში. ნადავლის პატრონად ითვლებოდა ყველა და არ ნაწილდებოდა მეომრებს შორის; არაფერი არ იკარგებოდა იმიტომ, რომ ომში წასვლის წინ ყველა დებდა ფიცს, რომ ის არაფერს არ მოიპარავს ნადავლიდან საკუთარი თავისთვის. ხოლო რომაელები მსოფლიოში ყველა ხალხებზე პატიოსნად იცავდნენ ფიცს, რაც ყოველთვის იყო მათი სამხედრო დისციპლინის მამოძრავებელი ძალა. ქალაქში დარჩენილი მაცხოვრებლებიც ასევე იძვიდნენ გამარჯვების შედეგებს. დამარცხებულთა მიწის ნაკვეთი კონფისკაციას ექვემდებარება, თანაც ის იყოფა ორ ნაწილად: ერთი გაიყიდებოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ, მეორე გადანაწილდებოდა ღარიბ მოქალაქეებზე და ესენი რენტას უხდიდნენ რესპუბლიკას.

ძველი რომის ომების ახსნა „მარადიული ქალაქის“ პარაზიტობით, რადგანაც თავს ძალადობითა და ყაჩაღობით ირჩენდა, იცის მონტესკიემ და ამის შემდეგ ირონიულად უდგება რომაელი დამპყრობლების „ჰუმანურ“ განცხადებებს. რომაელებს ის თვლიდა ძველი სამყაროს „მაკიაველისტებად“, რომლებიც მზად იყვნენ ყველაზე სამარცხვინო, უპრინციპო მეთოდებით მიეღწიათ გამარჯვებისათვის.

ფრანგი მოაზროვნე აღნიშნავდა, როდესაც რომაელებს რამდენიმე მოწინააღმდეგე ყავდათ, როგორც წესი, ზავს დებდნენ სუსტებთან, რომლებიც კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ ამის გამო, გამოიყენებდა მათ ძალებსაც და ძლიერის დამარცხების შემდეგ დაარღვევდა ადრე დადებულ ზავს და სასტიკად უსწორდებოდა სუსტებს. მისი მშვიდობიანი მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, მცირე წყვეტილი იყო ხანგრძლივ ომებში. ისეთ ხელშეკრულებებს დებდნენ, რომლებიც მოგვიანებით იწვევდა ქვეყნის დაღუპვას. მოლაპარაკებებით აიძულებდნენ ჯარის გამოყვანას სიმაგრეებიდან, სამხედრო გაერთიანებათა შემცირებას, ზოგჯერ მოწინააღმდეგეებს აიძულებდნენ რომაელებისათვის სპილოებისა და ცხენების გადაცემას, თუ მოლაპარაკების მხარე ძლიერი იყო ზღვაზე, რომაელები მათ აიძულებდნენ დაეწვათ სამხედრო გემები. მოწინააღმდეგე ჯარების ფიზიკური განადგურების შემდეგ იწყებოდა დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკური გაჩანაგება, გადასახადების მეშვეობით. ზოგჯერ დაპყრობილ ქვეყნებსა და ქალაქებს რომი ჩუქნიდა თავისუფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ სახელი იყო.

ზოგჯერ რომაელები ხელში იგდებდნენ ქვეყნებსა და ტერიტორიებს თითქოსდა ანდერძის შესაბამისად. ასე შევიდნენ ისინი აზიაში, ვიფინიასა და ლივანში, ათალას, ნიკომედისა და აპიონის ანდერძებით. ეგვიპტე მიიტაცეს მეფე კირენის ანდერძით. როდესაც რომელიმე ორი ერთმანეთს ეომებოდა და რომი არცერთთან არ იყო კავშირში, ის მაინც გამოდის სცენაზე.



რომაელები ყოველთვის ცდილობდნენ ხალხების დამორიშორებასა და ურთიერთდაპირისპირებას.

როდესაც რომელიმე ქვეყანაში იწყებოდა ქიშპი და წინააღმდეგობა, რომაელები საკუთარ თავზე იღებდნენ მოსამართლის როლს. მათ იცოდნენ, რომ უკმაყოფილო იქნება მხოლოდ დასჯილი მხარე. თუ ტახტის პრეტენდენტებს საერთო წინაპრები ყავდათ, მათ ორივეს მეფედ გამოაცხადებდნენ; თუ ერთერთი მცირეწლოვანი იყო დავა მის სასარგებლოდ წყდებოდა, ხოლო მასზე მეურვეობას რომაელები კისრულობდნენ. შედეგად მეფეცა და ხალხიც მათი ქვესევდრომი ხდებოდა, ზოგჯერ არც კი იყო გარკვეული თუ რომელ იურიდიულ საფუძველზე, რადგან რომაელები თვლიდნენ, რომ საკმარისი იყო რომელიმე ხალხს გაეგო მათი არსებობის შესახებ და ამით უკვე ხდებოდნენ ქვეშევდრომები.

რომაელები არ ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს თუ მის ახლობლად არ დაიგულებდნენ ერთგულ მომხრეებს, რომლებიც საჭირო შემთხვევაში დახმარებას გაუწევდნენ. რადგან დამხმარე ჯარი ყოველთვის მცირერიცხოვანი იყო რომაელებს მზად ყავდათ მტერთან ახლოს განლაგებული მეორე ჯარი, ხოლო მესამე ყოველთვის იყო რომში და ყოველთვის მზად იყო საომრად. ამ ნაბიჯებით რომაელები საფრთხეში აგდებდნენ საკუთარი ძალების მცირე ნაწილს, მოწინააღმდეგეს კი მთელი ძალები გამოყავდა.

ზოგჯერ რომაელები ბოროტად იყენებდნენ თავისი ენის ტერმინების ნიუანსებს. მათ დაანგრის კართაგენი დაპირებით, რომ დაანგრევდნენ ქალაქს და არა სახელმწიფოს. ცნობილია თუ როგორ მოტყუვდნენ ეტოლელები, რომლებიც ენდნენ რომაელებს. გვიან რომაელებმა განუმარტეს მათ, რომ „ენდო მტერს“ ნიშნავს დაკარგო ყველაფერი, ნივთები, ადამიანები, ტერიტორიები, ქალაქები, ტაძრები, აკლდამებიც კი. რომაელებს თავისებურად ესმით „ხელსეკრულების“ ცნებაც. რომის დამპყრობლური პოლიტიკის შეჯამებისას, რომლის შედეგად რომი გახდა „მსოფლიოს“ მპყრობელი და მბრძანებელი, მონტესკიე რომაელებს უწოდებს ადვირახსნილ მძარცველებს. მონტესკიე არ მალავს, რომ რომაელთა კრიტიკა გავრცელებულია მისი თანამედროვე დამპყრობლების წინააღმდეგაც.

„კანონთა გონში“ მონტესკიე აანალიზებს გვიანდელ ომებს. ის აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნას – ომების ხასიათი დამოკიდებულია მეომარი ქვეყნების პოლიტიკურ წყობასთან. დესპოტური მთავრობა, რომელიც მტრულადაა მიმართული საკუთარი ხალხის მიმართ, არ შეიძლება მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას ატარებდეს სხვა ხალხების მიმართ. დესპოტიზმს მიყვევართ არასამართლიანი, მძარცველური ომებისაკენ, რაც, საბოლოო ჯამში, ზიანს აყენებს მოსახლეობის გართო ფენებს.

თუ ორი არმია თითქმის თანაბარია მორალური სულისკვეთებითა და დისციპლინით, მაშინ გაიმარჯვებს ის, რომელსაც აქვს უკეთესი სამხედრო აღჭურვილობა. ამ თეზისის ილუსტრირებისათვის მონტესკიე იყენებს რომაელების ბრძოლას გალებთან. ორივე ჯარი ერთნაირი იყო დიდებითა და გამარჯვებისაკენ სწრაფვით, მხედართმთავრებსა და ჯარისკაცებს სიკვდილი არ აშინებდათ. მაგრამ მათ ქონდათ განსხვავებული იარაღი, სამხედრო ტენიკა: გალებს – პატარა ფარი და ცუდი ხმალი; რომაელებს კი იმ დროისათვის მშვენიერი შეიარაღება. ბუნებრივია, რომაელები ჯობდნენ გალებს. ახალ დროშიც – მსჯელობს მონტესკიე – შეიარაღება ძირითადად განაპირობებს ბრძოლის შედეგს. ამიტომ უთმობს მონტესკიე დიდ ყურადღებას სამხედრო ტენიკას.



ის დადებითად აფასებს დენტის გამოგონებას – დიდი საშუალებაა მტაცებლებისაგან თავის დასაცავად, მაგრამ, ამავე დროს აღნიშნავს, რომ დენტი დიდ საშიშროებასაც შეიცავს. დენტის გამოგონების შემდეგ აღარ არსებობს უსამართლობისა და ძალადობისაგან ჭეშმარიტი თავშესაფარი. ამიტომ აუცილებელია დენტი არ მოხდეს დამნაშავეთა ხელში. მონტესკიე აყენებს კითხვას – რა მოხდება თუ ადამიანი გამოიგონებს უფრო ძლიერ იარაღს? ხომ არ მოუტანს ეს დიდ უბედურებას ადამიანებს? თავადვე უარყოფდა ამ შესაძლებლობას. თუ იქნება ასეთი საბედისწერო აღმოჩენა, ადამიანების უფლებებით ის მალევე აიკრძალება და ადამიანთა ერთსულოვანი შეთანხმება დაასამარებს მას (გენიალური მიხვედრისა და ადამიანის გონის შესაძლებლობებისადმი მიაბიტიური იმედის ბრწყინვალე ნაზავი).

XVIII საუკუნის მოწინავე ფრანგი განმანათლებლის განცხადება ჩვენს დროში განსაკუთრებით საინტერესო ხდება. შემთხვევითი არაა, რომ მსოფლიოს მშვიდობის საბჭომ ფრანგ განმანათლებელს მიანიჭა დიდი და მცირე ხალხების მშვიდობიანი ურთიერთობების იდეური მომხრის საპატიო სახელი.

6. საზოგადოება და ოჯახი.

თანამედროვეებისაგან განსხვავებით მონტესკიეს განსაკუთრებით აინტერესებდა ოჯახისა და ქორწინების საკითხები. როგორც ბევრ სხვა საკითხებში, მონტესკიე აქაც ცდილობს აღნიშნული საკითხი შეისწავლოს კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით. „სპარსული წერილები“ გაჯერებულია ოჯახური ურთიერთობების მაგალითებითა და საოჯახო მორალის საკითხებით; „კანონთა გონი“ ასევე ბლომად იძლევა ოჯახური ცხოვრების ამსახველ სურათებს, ქალის მდგომარეობას ოჯახში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე.

ფრანგი განმანათლებელი დამლევს ოჯახისადმი „ევროპულ“ მიდგომას, რომელიც აგდებით უყურებდა სხვა კონტინენტებისა და ქვეყნების ოჯახურ მორალს.. ზოგჯერ მეტი ინტერესით ეკიდება აზიურ ოჯახებს ვიდრე ევროპულს და ფრანგულს. თუმცა აბსტრაქტულად, ზომიერი ბურჟუაზიული ჰუმანიზმის პოზიციიდან, მაგრამ მონტესკიე მაინც იცავს ქალის მხარეს, როდესაც საკითხი ეხება ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს.

დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს „კანონთა გონის“ იმ თავებს, სადაც საუბარია სქესთა უთანასწორობის, მრავალცოლიანობის აღმოცენების საკითხებზე. გამოყოფილად განიხილება ექვიანობისა და სირცხვილის საკითხები.

ოცდამესამე წიგნში პირველ თავში დაისმება ზოგადი პრობლემა ადამიანებსა და ცხოველებთან გვარის გაგრძელების თაობაზე. ამავე წიგნის მეორე თავში გახსნილია ქორწინების შინაარსი. საინტერესოა X-თავი, სათაურით „რა აიძულებს ადამიანებს ქორწინებას“. სხვა თავებში საუბარია ქორწინების იურიდიულ ასპექტებზე, კონკრეტულად, „კანონიერ“ და „არაკანონიერ“ შვილებზე, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ხელშემწყობ კანონმდებლობაზე და ა.შ.

ოჯახისა და ქორწინების საკითხს მონტესკიე უდგება ზოგჯერ, როგორც სოციოლოგი, ზოგჯერ, როგორც ისტორიკოსი ან სამართალმცოდნე, ზოგჯერ ძალზე მარტივად და ბუნებრივად, საღი გონების პოზიციიდან. ყურადღებას მიიქცევს ფრანგი განმანათლებლის ჭეშმარიტად ენციკლოპედიური ერუდიცია.



ზოგჯერ მისი განაზრებები ძალზე მიაბიძგურია, ზოგჯერ მონტესკიე ეკლექტიურად გამოიყენებს სხვადასხვა თვალსაზრისებს ოჯახის წარმომავლობის, პირობებისა და განვითარების შესახებ. მაგრამ ყველგან იგრძნობა ღრმა, შემოქმედებითი და მაძიებელი გონი, ტალანტი და ცეცხლოვანი ტემპერამენტი. ჩვენს წინაშეა არა მშვიდი დამკვირვებელი, არამედ ცხოვრებისეულ ორომტრიალში მუდმივი ჩარევის მსურველი გმირი.

მონტესკიე ოჯახის ბიოლოგიურ, სოციალურ, ისტორიულ და ა.შ. საზრისს ხედავს ადამიანური გვარის კვლავწარმოებისადმი ე.ი. გაგრძელებისადმი დახმარებასა და თვითშენახვის პრინციპის განხორციელებაში. ამ კუთხით ადამიანი განეკუთვნება ცხოველურ სამყაროს, ყოველ შემთხვევაში, მონტესკიეს აზრით, ის სულაც არ არის ღვთიური ქმნადობის გვირგვინი. ამავე დროს ადამიანი, ცხოველებისაგან განსხვავებით ცხოვრობს საზოგადოებაში, დაჯილდოვებულია ინტელექტით, ეგუება პოლიტიკურ ვითარებას და ა.შ ამიტომ ოჯახი მისაღებია და გასაგები თუ მას მივუდგებით ბიოლოგიურად და სოციოლოგიურად. მონტესკიე აღნიშნავს ეკონომიკის გავლენას ოჯახისა და ქორწინების ფორმებზე. კერძოდ, მრავალცოლიანობას ის განიხილავს, როგორც ცალკეული მამაკაცების სიმდიდრის შედეგს. კონომიკური ვითარება გავლენას ახდენს ქალის სამართლებრივ მდგომარეობაზე, ქორწინების ე.წ. სიწმინდეზე, მის დარღვევასა და დაურღვევლობაზე.

საინტერესოა მონტესკიეს აზრი იმის შესახებ, რომ არცთუ იშვიათად ოჯახის ხასიათი დამოკიდებულია ცოლისა და ქმრის საწყისი სოციალური ფენების განსხვავებულობაზე. ზოგჯერ, საკუთარი გეოგრაფიზმის გავლენით, ოჯახის ხასიათი ახსნილია კლიმატური პირობებით.

კანონი, რომელიც მამაკაცს მხოლოდ ერთი მეუღლის უფლებას აძლევს უფრო ევროპულ კლიმატს შეესატყვისება, ვიდრე აზიურს. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ისლამი აზიაში ასე ადვილად გავრცელდა და გაუჭირდა თავის დამკვიდრება ევროპაში. რატომ შეინარჩუნა ქრისტიანობამ თავი ევროპაში და ნაკლებად დამკვიდრდა აზიის კონტინენტზე, რატომ აქვთ ასეთი განსხვავებული წარმატებები ამ რელიგიებს ჩინეთის ტერიტორიაზე – ადამიანი ექვემდებარება უმაღლეს მიზეზს, რომელიც აკეთებს რაც სურს და არ აკეთებს რაც არ სურს.

რადაც მიზეზებით ვალენტინიანმა ნება დართო მრავალცოლიანობას იმპერიაში. მაგრამ ეს კანონი ეწინააღმდეგება ჩვენს ბუნებრივ პირობებს შემდეგში აკრძალულ იქნა თეოდოსიის, არკადიასა და ჰონორეას მიერ – აღნიშნავს მონტესკიე.

საბოლოო ჯამში მონტესკიე დაასკვნის, რომ ურთიერთობები ოჯახში უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, გეოგრაფიულ პირობებს, რომელშიც ცხოვრობს და სოციალურ ვითარებას. ამ სამ პრინციპს უნდა დაეფუძნოს კანონები ოჯახსა და ქორწინებაზე.

კანონმდებელი ყოველთვის უნდა იცავდეს სქესთა პრინციპულ თანასწორობას. ის უნდა ებრძოდეს ოჯახური ურთიერთობების როგორც გარყვნილებას ისევე ასკეტურ გაგებას. უდიდესი ბედნიერება – ამბობს მონტესკიე – შენც გიყვარდეს და შენც უყვარდე, ამის უფლება აქვს ყოველივეს და თუ კანონმდებლობა იგნორირებს უფლებას სიყვარულზე ის უგონო და უაზროა.

ზოგჯერ მონტესკიე ოჯახის საკითხებში რელიგიის ჩარევის წინააღმდეგია, საბოლოოდ ის უფრო მომხრეა სამოქალაქო ქორწინებისა. მშობლებმა უნდა იზრუნონ შვილებზე და შვილებმა



მშობლებზე, არა იმიტომ რომ ამას წმინდა წერილები გვასწავლიან, არამედ იმიტომ რომ ბუნებრივია და სამოქალაქო კანონებითაა დაკანონებული.

მონტესკიეს შრომებში შევხვდებით არისტოკრატია-ქალების მკაცრ კრიტიკას, „რომელთა გონი ვერ აზროვნებს, გული ვერა გრძნობს, თვალები ვერ ხედავენ და ყურები ვერ ბედავენ გაგონებას. რომლებიც საზოგადოებაში მხოლოდ იმიტომ არიან, რომ გამოავლინონ თავიანთი სიშტერე, რომლებიც განწირულნი არიან უსასრულო სისულელეებსა და სამარცხვინო ქცევებისათვის.“ ასეთ ქალებს მონტესკიე უპირისპირებს ქალებს, რომლებიც აფასებენ გონებასა და თავისუფლებას, მოქალაქეობრივი სიკეთით სავსენი არიან და არიან წესიერი მამაკაცების წესიერი მხარდამჭერნი.

მონტესკიემ გადჭრით შესძლო ბიბლიურ-რელიგიური შეხედულების დამღევა ოჯახზე, და ასევე ის შეხედულება, რომ ოჯახი რაღაც მარადიული და უცვლელია; მის შრომებში არის სქესების ურთიერთობებისადმი ისტორიული მიდგომის ჩანასახები. ფრანგი ოჯახს განიხილავს არა მხოლოდ ბუნებრივ-ბიოლოგიური კუთხით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური კუთხითაც. ბოლოს ის დიდ ყურადღებას უთმობს საოჯახო სამართლის საკითხებს.

მონტესკიეს შეხედულებები ოჯახსა და ქორწინებაზე ეხმაურება განმანათლებლობის მემარცხენე ლიდერის, რუსოს უფრო რადიკალურ შეხედულებებს.

7. აღზრდისა და მორალის პრობლემები.

როგორც ყველა განმანათლებელს, მონტესკიესაც მიაჩნია, რომ საბოლოო ჯამში საზოგადოების ცხოვრება დამოკიდებულია მასში გაბატონებული ზნეობის ხასიათზე, ამ კანონების სისწორე-სამართლიანობაზე, იმაზე თუ რა მონარქი ზის ქვეყნის სათავეში – განათლებული და კეთილშობილი, თუ მკაცრი და უზნეო. ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ მონტესკიეს გვერდი აეყცია მორალის საკითხებზე. მით უმეტეს, რომ განმანათლებლებთან ერთ შემთხვევაში მორალი სოციალური ცვლილებების მიზეზია, მეორე შემთხვევაში თავად არის სოციალური გარემოს შედეგი: მონტესკიესთანაც ზუსტად ასეა მორალისა და კონსტიტუციური წყობის ურთიერთობა – კანონი მორალზეა დამოკიდებული და პირიქით.

საკუთარი შეხედულებების სიღრმეში აღფრთოვანებას იწვევს მონტესკიეს მშვენიერი მიხვედრები მორალის სოციალური ბუნების შესახებ და ამით დიდად გაასწრო XVIII საუკუნის ბევრ მოაზროვნეს. მონტესკიეს შრომებში მოცემულია მორალის განსაზღვრება, რომელშიც მორალის მთელი შინაარსია მოქცეული. მორალის ქვეშ მონტესკიეს ესმის სოციალური პროგრესისათვის გამიზნული ადამიანური ქცევის ნორმები და წესები. მონტესკიესათვის მიუღებელია იმქვეყნიური ძალების სამსახურში ჩამდგარი თეოლოგიური მორალი, მაგრამ ის არც აკრიტიკებს რელიგიურ მორალს, როგორც ეს გააკეთეს ფრანგმა მატერიალისტებმა და ათეისტებმა. მეტიც, ის მზადაა აღიაროს რელიგიის როლი ადამიანის გაკეთილშობილების საქმეში. მორალზე საუბრისას, მონტესკიე სხვა განმანათლებლებთან ერთად აღნიშნავს მის ადამიანურ შინაარსს. ის შესაბამისობაში უნდა იყოს ადამიანის ბუნებასთან, ემსახუროს მისი ინტელექტის განვითარებას. ზოგადად, მორალს მონტესკიე ანაალიზებს ბურჟუაზიული ჰუმანიზმის პოზიციებიდან.



მონტესკიე გვასწავლის, რომ მორალს ბედნიერებისაკენ მივყავართ; რაც უფრო კეთილია ხალხი, მით უფრო ბედნიერია ის. მორალის შინაარსში მონტესკიე ჩართავს თანასწორობისა და ზომიერების სიყვარულს. ამავე დროს ზომიერების ცნებას განასხვავებს ასკეტიზმისაგან. ასკეტი კლავს, გააზრებულად ამბობს უარს სიცოცხლის სიყვარულზე; ზომიერი ადამიანი სიცოცხლით დატკბება.

დაახლოებით ასევე განიხილავს ავტორი „კანონთა გონში“ „ქველმოქმედების“ ცნებას. ის არ ეთანხმება ამ ცნების ეკლესიურ, სენტიმენტალურ გაგებას; იყო ქველმოქმედი – ნიშნავს კეთილ განწყობას არა მხოლოდ სხვათა მიმართ, არამედ საკუთარი თავის მიმართაც. ქველმოქმედებას კმაყოფილება მოაქვს იმისათვის ვისაც ეხმარებიან და ასევე იმისათვის ვინც ეხმარება. მეექვსე წიგნში – „ხელმწიფის ქველმოქმედება“ მონტესკიე ფარულად ეკამათება მაკიაველს. მკაცრი მეფე – ამტკიცებს ფრანგი მაკიაველის წინააღმდეგ, კი არ აძლიერებს თავისი სიმკაცრით ტახტს, არამედ პირიქით არყევს მას. ხელმწიფე, რომელიც მიმართავს ქველმოქმედებას გადაიქცევა უძლიერეს მონარქად. „მონარქებს ბევრის მოგება შეუძლიათ ქველმოქმედებით – აცხადებს მონტესკიე – ისეთ სიყვარულსა და დიდებას მოიმკის, რომ ქველმოქმედების ყოველი შესაძლებლობა მისთვის უზარმაზარი ბედნიერებაა, ჩვენთან ამ შესაძლებლობის ნაკლებობა არაა“.

აქ თავისებური ფორმით ხორციელდება XVIII საუკუნეში გავრცელებული გონიერი ეგოიზმის თეორია. ჩემთვის მომგებიანია ვიყო ქველმოქმედი – თითქოს აცხადებს მონტესკიე, სხვებისადმი თანაგრძნობით, ახლობლისათვის დახმარებით მე ვაღწევ უდიდეს ცხოვრებისეულ წარმატებას. სხვისადმი ზიანის მიყენება, საბოლოო ჯამში, საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენებაა.

როგორც სწავლულ იურისტს, მონტესკიეს აინტერესებს მორალისა და სამართლის ურთიერთკავშირი. მას მიაჩნია, რომ სამართალმა უნდა დაიცვას მორალი, იდგეს პიროვნული და საზოგადოებრივი ზნეობრიობის სადარაჯოზე და მხოლოდ მას შეუძლია ბევრის მიღწევა. მაგრამ, აღშფოთებულია ფრანგი განმანათლებელი, ბევრი კანონმდებელი მხოლოდ გარეგნულად ე.ი. სიტყვით და არა საქმით „იღწვის“ მოქალაქეთა ზნეობრიობაზე, ამიტომაც მათი კანონები ასეთი უძლურები არიან.

აღვირახსნილობის შესახებ ძველ რომში გამოცემული კანონები მიუთითებენ და მოწმობენ ზნეობის სიწმინდის საჭიროებაზე და ავლენენ მისი ნეგატიური ბუნების საშიშროებას.. „აღვირახსნილი ზნეობა აიძულებდა იმპერატორებს შეექმნათ კანონები უსირცხვილობის შესაზღუდად. თუმცა ზნეობის ზოგადი გაუმჯობესება და დახვეწა მათ გეგმებში არ შედიოდა“. კერძოდ ავგუსტინე და ტიბერიუსი თითქოსდა ზნეობის გასაუმჯობესებლად სჯიდნენ პიროვნებებს, რომლებიც არ ავლენდნენ სათანადო მორჩილებას იმპერატორის წინაშე. საბოლოოდ მონტესკიე გააკეთებს იმ დროისათვის საკმაოდ საშიშ დასკვნას, რომ მორალის დამცველი კანონმდებლობა და მონარქიული წყობა შეუთავსებელია. „მორალის სიწმინდე არაა ერთმმართველობის პრინციპი“ – ასეთია საბოლოო განაჩენი. მერვე თავში მონტესკიე ღიად იცავს რესპუბლიკურ ტრადიციციებს. „კარგი კანონმდებლები ქალებისაგან მოითხოვენ ზნეობრივ სიმკაცრეს. ისინი დევნიდნენ თავიანთი რესპუბლიკიდან არა მხოლოდ ბოროტებას, არამედ მის აჩრდილსაც“.

ამგვარად, მონტესკიე განათლებული მონარქის მომხრეა, მაგრამ მეტი სიმპათიით უყურებდა რადიკალური ანტიფეოდალური კანონმდებლობის მქონე რესპუბლიკას. მას მიაჩნია, რომ



რესპუბლიკები, განსაკუთრებით მცირე ტერიტორიის რესპუბლიკები უფრო არიან თანხმობაში ბუნებრივ კანონებთან, ბუნება კი ზნეობის აღვირახსნილობის წინააღმდეგია.

„ყველა ხალხებში ერთსულოვანი ძიძღია აღვირახსნილი ქალების მიმართ და ეს იმიტომ, რომ ბუნება ყველას ერთნაირად წვრთნის. ის (ბუნება) ერთნაირად უტევს და იცავს კიდეც ორივე მხარეს, მანვე ჩაუნერგა მათ სურვილი, თუმცა ერთს მიანიჭა თავხედობა და უტიფრობა, მეორეს კი სირცხვილის მოჭარბებული გრძნობა. ბუნებამ დიდი დრო მისცა ადამიანებს დაფიქრებულიყვნენ თვითშენახვაზე და მისცა რაღაც წამები გვარის გასაგრძელებლად.“ ამიტომ არ არის სწორი, რომ თითქოსდა თავშეუკავებლობა ადამიანის ბუნებითაა გაპირობებული, პირიქით ის არღვევს ბუნების კანონებს; საკუთარი თავის ფლობა და საღი გონება – აი რას გვასწავლის ბუნების კანონები. აქ ცხადად შეიმჩნევა მონტესკიეს გადახრა ზნეობის კანონების ბიოლოგიური კანონებით განსაზღვრულობის პოზიციაზე.

ზოგჯერ მონტესკიე ამორალიზმს უკავშირებს კლიმატს, პირდაპირ აცხადებს, რომ ცხელ ქვეყნებში ვნებები ადრე იღვიძებენ.

მგვარად, მონტესკიესთან შეთავსებულია მორალის სამი კონცეფცია: სოციალურ-პოლიტიკური, რომელიც მორალურ ნორმებს ადგენს საზოგადოებრივი წყობიდან და პოლიტიკური დაწესებულებებიდან გამომდინარე; ბიოლოგიური, რომელიც მორალს ახსნის ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების ბუნებით; და გეოგრაფიული, რომლის მიხედვით ზნეობა ეფუძნება ადგილის, რელიეფის, კლიმატის ხასიათს. აღნიშნული პლურალიზმი და ეკლექტიზმი აიხსნება არ მისი, როგორც სწავლულის სუსტი მხარეებით, არამედ XVIII საუკუნის ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის ზოგადი დონით. ცნობილია, რომ ბუნების გაგებაში, თანმიმდევრული ფრანგი მატერიალისტები და ათეისტები, საზოგადოების გაგებაში იდეალისტებად რჩებოდნენ. მონტესკიე ბუნების გაგებაში არ იყო არც მატერიალისტი და არც ათეისტი, მაგრამ უზარმაზარი ისტორიული ცოდნის წყალობით, მას არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფები შეეცდებიან მორალის თავისი ინტერსებისათვის გამოყენებას. ეს განაპირობებს მონტესკიეს მოძღვრებას მორალზე, როგორც აღმრდის მნიშვნელოვან მომენტზე.

ფრანგი განმანათლებელი. XVIII საუკუნის გენიალური პედაგოგია, ამ აზრით ის შეიძლება შევადაროთ რუსოს. მონტესკიეს მიერ აღზრდის პრინციპების ჩამოყალიბება ეფუძნება ორ ძირითად წანამძღვრს: ცოდნისა და ქცევის ერთობლიობას. აუცილებელია ადამიანებს მისცე კონკრეტული ცოდნა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ; ამავე დროს უნდა ასწავლო მათ სწორი ქცევები, შთაუნერგო მაღალი ზნეობრიობის პრინციპები. ყოველ ეპოქას, ამტკიცებს მოაზროვნე, და ყოველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობას აქვს მორალური აღზრდის თავისი მორალური მიზნები და მორალური შეფასებები. ყოველ ეპოქას სჭირდება მისი შესაბამისი ადამიანები და ამ მიზანს ემსახურება განათლებაცა და აღზრდაც. „კანონთა გონის“ მეოთხე წიგნი ასეა დასათაურებული: „იმის შესახებ, რომ აღზრდის კანონები უნდა შეესაბამებოდეს მართვის პრინციპებს“, სადაც სპეციალური თავები მიძღვნილია მონარქიაში, დესპოტურ სახელმწიფოებში და რესპუბლიკაში აღზრდის საკითხებისადმი.

მივცეთ თავს უფლება და ავღნიშნოთ, რომ მონტესკიეს ყველაზე სუსტად გამოუვიდა აღზრდის მონარქიული სისტემის ანალიზი. ზემოთ ჩვენ მივუთითეთ მონტესკიეს შეცდომაზე, როდესაც მან მონარქიის პრინციპად ღირსება აღიარა. მაგრამ, მონარქიისადმი დიდი სიმპათიის



მიუხედავად ის ვერ ამბობს უარს მონარქიული წყობისათვის დამახასიათებელ ფეოდალურ_წოდებრივი აღზრდის პრინციპების კრიტიკაზე. სამეფო არისტოკრატის ახალგაზრდა თაობის მირ გაგებულ მორალურ ვალდებულებებს მონტესკიე აძლევს დახასიათებას, რომელშიც გამოაშკარავებულია მისი არსი: მათ ქცევებში დაფასებულია არა სიკეთე, არამედ მოჩვენებითი სილამაზე, არა სამართლიანობა, არამედ გაქანება, არა გონიერება და კეთილსინდისიერება, არამედ უჩვეულობა. მონარქიაში აღზრდის პრინციპებისათვის დასაშვებია ზედმეტობა და გაჭიანურება, თუ რა თქმა უნდა საბოლოოდ შედეგი მაინც იქნება, ამიტომაც, რომ მონარქიაში ზნეობას აკლია სიწმინდე, რომელიც რესპუბლიკურ სახელმწიფოებში ძალზე ფასდება. მონარქიის პრინციპებისათვის დასაშვებია სიცრუე, მზაკვრობა, რადგან ესენი ასოცირდება „დიდ გონებას“ და „დიდ საქმეებთან“, ნიჭთან და მოხერხებულობასთან. ამიტომ დასაშვებია და არ არის იშვიათობა მოღალატეობრივი ხაფანგები პოლიტიკაში. აკრძალულია პირფერობა, თუ ის არ არის დაკავშირებული დიდ მოგებასთან. მონარქიულ სახელმწიფოში ადამიანისაგან მოითხოვენ სიმართლეს, არა იმიტომ რომ ის უყვართ, არამედ იმიტომ, რომ სიმართლის მთქმელი ადამიანი თამამსა და თავისუფალს გავს, კმაყოფილდებიან არა სიმართლით, არამედ მისი იმიტაციით. აი რატომ არ უყვარს მონარქიას ხალხი, რომლებიც ყოველთვის ემყარება თავის უბრალოებასა და ნამდვილ სამართლიანობას. აღზრდა მონარქიაში გულისხმობს პატივისცემას ურთიერთობებში. ადამიანები გაჩენილი არიან ერთობლივი ცხოვრებისათვის და ამიტომ მათ ერთმანეთი უნდა მოსწონდეთ. ადამიანი, რომელიც უპატივცემულობით შეურაცხყოფას მიაყენებს ახლობელს, საზოგადოების თვალში დაკარგავს ავტორიტეტს და იმდენად, რომ ეჭვს ქვეშ დადგება მისი საჭიროება ამ საზოგადოებისათვის, ის შეიძლება ზედმეტიც კი გახდეს. მაგრამ ამ წმინდა წყაროდან არ მოედინება თავაზიანობის ჩვეულება. მას ბადებს განსხვავების სურვილი, სურვილი იყო სხვებისაგან გამორჩეული. ჩვენ თავაზიანები ვართ ამპარტავნობის გამო: ჩვენ სიამოვნებას გვანიჭებს იმის გაცნობიერება, რომ, და ჩვენი მიმართების წესები ამას ადასტურებენ, ჩვენ არ ვეკუთვნივთ საზოგადოების დაბალ ფენებს და არასოდეს არც კი ვიცნობდით ამ ხალხს. მონარქიაში თავაზიანობა თავს იყრის სამეფო კარზე. ერთი ადამიანის მიუღწეველი სიდიდის გამო, ყველა ყველა დანარჩენი ერთნაირად გამოიყურება. ეს ბადებს ყურადღებას ერთმანეთის მიმართ, თავაზიანობას, რომელიც ერთნაირადაა მისაღები თავაზიანობის ობიექტისა და სუბიექტისათვის და იმის მაჩვენებელიცაა, რომ ყველა ვეკუთვნივთ სამეფო კარს და ამის ღირსნიცა ვართ. ადვილი მისახვედრია განმანათლებლის უარყოფითი დამოკიდებულება პრივილეგირებული ფენების ცხოვრების წესისადმი. ბევრად უფრო მკაცრად აკრიტიკებს მონტესკიე აღზრდას დესპოტურ სახელმწიფოში. მართალია, ის არაა სწორი, როდესაც მონარქიას ანსხვავებს და გამოაცალკევებს დესპოტური სახელმწიფოსაგან, მაგრამ მისი გამოკვლევა დესპოტიზმის წინააღმდეგ ფაქტობრივად მონარქიული რეჟიმის ზოგადი კრიტიკაა. დესპოტურ სახელმწიფოში აღზრდის საბოლოო მიზანია ადამიანის დამცირება, მიაჩვიო ის უსიტყვო მორჩილებას. ბრმა მორჩილება, აგრძელებს მონტესკიე, გულისხმობს იმის უმეცრებას, ვინც მორჩილებს და ასევე იმის უმეცრებასაც, ვისაც მორჩილებენ. მბრძანებელს არ სჭირდება მოაზრება, დაეჭვება, განსჯა, მისთვის საკმარისია ბრძანება. დესპოტურ სახელმწიფოში ყოველი ოჯახი, როგორც ცალკე სახელმწიფო, ერთიმეორისაგან იზოლირებულად ცხოვრობს. ამიტომ აღზრდას არა აქვს სოციალური მიზანი,



არ გვასწავლის ურთიერთობასა და ურთიერთგაგებას. აღზრდის სისტემის მიზანია ადამიანის სულსა და გონებაში შიშის დანერგვა, უკეთეს შემთხვევაში, რელიგიის მარტივი წესების დანერგვა. დესპოტიზმის პირობებში ცოდნა საშიშია, შეჯიბრება დამღუპველი, სიკეთე ზედმეტი; თავიდან ადამიანისაგან ამზადებენ სულელ მორჩილს, ქვეშევდრომს, რათა მოგვიანებით მიირონ კარგი მონა. ყოველივე ეს ძალზე ამცირებს აღზრდის ამოცანებს და ფაქტობრივად ნოლზე დაყავს ის. მონტესკიე განსაკუთრებით იმითაა აღშფოთებული, რომ დესპოტურ სახელმწიფოში არ ცდილობენ ადამიანები გადააქციონ მამულიშვილებად. ის ასკვნის, რომ მოქალაქეობრიობა და დესპოტიზმი შეუთავსებელია.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონტესკიეს გამონათქვამები რესპუბლიკურ სახელმწიფოში აღზრდის შესახებ. არც ერთი მმართველობა, არც ერთი საზოგადოებრივი წყობა. აღნიშნავს მოაზროვნე, არ საჭიროებს ისეთ დახმარებას აღზრდაში, როგორც რესპუბლიკა. დესპოტურ სახელმწიფოს ორიენტაცია აღებული აქვს მუქარასა და დასჯაზე, მონარქი საყრდენს პოულობს ადამიანის ვნებებში. რესპუბლიკა ეფუძნება თავისი მოქალაქეობის პოლიტიკური ნების კეთილგანწყობას, საერთო საქმისადმი მათს თავდადებასა და ერთგულებას. პოლიტიკურ კეთილგანწყობას მონტესკიე განსაზღვრავს, როგორც კანონების პატივისცემასა და მამულის სიყვარულს. ფრანგი განმანათლებელი აღნიშნავს, რომ ეს სიყვარული მუდმივად მოითხოვს, რომ საზოგადო სიკეთე მუდამ პიროვნულზე წინ უნდა იდგეს. ეს სიყვარული შეიძლება ჩაუნერგოს და შთააგონოს ბრძნულად გათვლილმა აღზრდის სისტემამ. რესპუბლიკურ სახელმწიფოში აღმზრდელად ითვლება ოჯახი, სკოლა და პოლიტიკური დადგენილებები. ამასთან დაკავშირებით მონტესკიე აკრიტიკებს მონარქიული საფრანგეთის აღზრდის სიტემას. ჩვენთან, აცხადებს ის, აღმზრდელია მასწავლებელიც და მშობელიც, მაგრამ აღზრდას ეწევა მაღალი საზოგადოებაც, რომელიც მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ გაანადგუროს სკოლასა და ოჯახში შეძენილი მორალური ნორმები და ჩვევები. მონტესკიე ოცნებობს იმ დროზე, როდესაც სკოლა აღზრდის და ჩამოაყალიბებს მაღალი ზნეობის ადამიანებს და ვერანაირი გარეშე ძალა ვერ შესძლებს ხელი შეუშალოს სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე.

ბუნებრივია, რომ ფრანგი განმანათლებლის ზნეობრივი იდეალები ვერ სცილდება ბურჟუაზიული მორალის იდეალებს, თუმცა, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ არც მონტესკიე და არც მისი მიმდევრები და მომხრეები არასოდეს არ ხელმძღვანელობდნენ ანგარებითი მოტივებითა და მიზნებით. იმ დროისათვის ხომ ახალგაზრდა ბურჟუაზია და განსაკუთრებით რევოლუციური საფრანგეთის ბურჟუაზია საკუთარ თავს აიგივებდა ყველა ჩაგრულის ინტერესების გამომხატველთან. ალბათ ამიტომაცაა, რომ დღეს დასავლეთის იდეოლოგიები განუდგნენ მონტესკიეს შეხედულებებს მორალისა და აღზრდის საკითხებზე.